ეფექტური გამოკითხვის პრინციპები გამოძიების და ინფორმაციის შეგროვებისთვის

მაისი, 2021 წელი

გამოცემა მომზადდა შემდეგ ორგანიზაციათა და ინსტიტუციათა მხარდაჭერით:

association pour la prévention de la torture
asociación para la prevención de la tortura
association for the prevention of torture

AMERICAN UNIVERSITY WASHINGTON COLLEGE OF LAW
CENTER FOR HUMAN RIGHTS & HUMANITARIAN LAW
Anti - Torture

UiO : Norwegian Centre for Human Rights
University of Oslo

თარგმანი შესრულებულია შემდეგ ორგანიზაციათა და ინსტიტუციათა მხარდაჭერით:

cost
EUROPEAN COOPERATION IN SCIENCE & TECHNOLOGY

Funded by the European Union

ეფექტური გამოკითხვის პრინციპები გამოძიების და ინფორმაციის შეგროვებისთვის

ეს დოკუმენტი მიღებული იქნა 2021 წლის მაისში, წამებასთან ბრძოლის ინიციატივის, წამების პრევენციის ასოციაციის და ნორვეგიის ადამიანის უფლებათა ცენტრის მხარდაჭერით. დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: www.interviewingprinciples.com

წამებასთან ბრძოლის ინიციატივა (ATI) მომზადდა 2012 წელს, როგორც ამერიკული უნივერსიტეტის, ვაშინგტონის სამართლის კოლეჯის, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ცენტრის ძირითადი პროექტი. პროექტის მიზანი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფილი სპეციალური მომხსენებლის, ხუან ე. მენდეზის, სამუშაოს გავრცელების გაფართოება და პრაქტიკული დანერგვა. ATI მიზნად ისახავს წამების და სხვა არაადამიანური მოპყრობის პრევენციას მსოფლიოში, რისთვისაც ხელს უწყობს სამართლის და ანგარიშვალდებულების წამების მსხვერპლებისთვის ხელმისაწვდომობას, ნერგავს ცნობიერებას, რომელიც უარყოფს წამებას როგორც ლეგიტიმურ პრაქტიკას და აძლიერებს ინსტიტუტებს, ადვოკატირებას უწევს გლობალურ ქსელებს, რომელთა მიზანია წამების პრევენცია. სტრატეგიული კვლევების, მიზანმიმართული ადვოკატირების, შესაძლებლობების განმავითარებელი ტრენინგებისა და სასამართლო დავების გზით, ATI-მ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სხვა ფორმებთან ბრძოლისა და პრევენციის კუთხით, გაძლიერდა და გაღრმავდა წამებასთან ბრძოლის გლობალური კამპანიის მოძრაობაც. www.wcl.american.edu/impact/initiatives-programs/center/

წამების პრევენციის ასოციაცია (APT) არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა ჟენევაში და მუშაობს მსოფლიო მასშტაბით წამებისა და სხვა სახის არაადამიანური მოპყრობის პრევენციისთვის. ორგანიზაცია 1977 წელს დაარსდა და მისი მიზანია შეამციროს წამების და არაადამიანური მოპყრობის რისკები ისეთი პრაქტიკული ზომების წახალისებისა და დანერგვის გზით როგორიც არის დაკავების ადგილების მონიტორინგი, უსაფრთხოების ზომების დანერგვა და მოწყვლად სიტუაციაში მყოფი დაკავებული პირების დაცვა. APT საკვანძო როლს ასრულებს წამების პრევენციის ხელშემწყობი ისეთი საერთაშორისო სტანდარტების და მექანიზმების დანერგვაში, როგორიც არის გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის (OPCAT) დამატებითი ოქმი და ეროვნული პრევენციული მექანიზმები. წამებისგან თავისუფალი საზოგადოების ხედვის დანერგვისთვის APT მუშაობს ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე, რათა მხარდაჭერა აღმოუჩინოს სხვადასხვა პარტნიორებს, მათ შორის, სახელმწიფო უწყებებს, ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს. www.apt.ch

1987 წელს დაარსდა ნორვეგიის ადამიანის უფლებათა ცენტრი (NCHR), რომელიც წარმოადგენს ოსლოს უნივერსიტეტის მულტიდისციპლინურ ცენტრს. ცენტრის აქტივობები მოიცავს კვლევებს, სწავლებასა და გამოყენებით საერთაშორისო პროგრამებს. NCHR-ის პერსონალი დაკომპლექტებულია იურისტებით, პოლიტიკური მეცნიერების სპეციალისტებით, სოციალური ანთროპოლოგებით, სოციალური გეოგრაფიის სპეციალისტებითა და ფილოსოფოსებით. ცენტრი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კვლევით განათლებას და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას შორის კავშირს. www.jus.uio.no

ამ გამოცემაში წარმოდგენილი მასალები თავისუფლად შეიძლება იქნეს გამოყენებული ციტირების ან ბეჭდვისთვის, იმ პირობით, რომ მითითებული იქნება წყარო: „ეფექტური გამოკითხვის პრინციპები გამოძიების და ინფორმაციის შეგროვებისთვის, მაისი, 2021 წელი. დოკუმენტი აღებული იქნა ბმულიდან: www.interviewingprinciples.com"

თარგმანი:
ხათუნა ბარქაია

რედაქტირება:
მარიამ წურწუმია
რუსუდან ბერიაშვილი

დიზაინი და ილუსტრაცია:
მაგდალენა კასტრიასი, 2021 წელი

This publication is based upon work from COST Action, CA22128, supported by COST (European Cooperation in Science and Technology).

COST (European Cooperation in Science and Technology) is a funding agency for research and innovation networks. Our Actions help connect research initiatives across Europe and enable scientists to grow their ideas by sharing them with their peers. This boosts their research, career and innovation.

www.cost.eu

EUROPEAN COOPERATION IN SCIENCE & TECHNOLOGY

Funded by the European Union

წინასიტყვაობა

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სხვა ფორმების ამკრძალავი ფართო ნორმატიული სამართლებრივი ჩარჩოები, რომელიც მოქმედებს ყველა დროსა და ადგილას, შეიარაღებული კონფლიქტის ან საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი, ჯერჯერობით ვერ გარდაიქმნა მათი აღმოფხვრის გარანტიად სახელმწიფო აგენტების მიერ დაკითხვის პროცესში, მთელ მსოფლიოში. არც თავისუფლებააღკვეთილი პირების დასაცავად გათვალისწინებული სამართლებრივი გარანტიების ეფექტიანი გამოყენება ხდება პრაქტიკაში. ჩემი, როგორც გაეროს წამების საკითხებში სპეციალური მომხსენებლის, უფლებამოსილების დროს, მე შევნიშნე, რომ ყველაზე ხშირი გარემოება, სადაც წამება და იძულება ხდება, არის ეჭვმიტანილთა დაკითხვა და ეს ხდება აღიარებითი ჩვენებების ან სხვათა საწინააღმდეგო განცხადებების მოპოვების მიზნით. ამ მიზეზით, 2016 წელს, მე წარვადგინე თემატური მოხსენება გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, რომელმაც, თავის მხრივ, აღიარა არსებული შესაძლებლობა და წარმოადგინა შემდგომი განვითარების გზა.[1]

მოხსენება მიუთითებდა მასშტაბური და მზარდი სამეცნიერო ცოდნის არსებობაზე, რომელიც ადასტურებს, რომ ნდობაზე დამყარებული, არაძალადობრივი დაკითხვის მეთოდები ყველაზე ეფექტურია ინფორმაციის შეგროვებისათვის. ამავე დროს, ვრცელმა ემპირიულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ წამება და სხვა სახის არაადამიანური მოპყრობა წარმოადგენენ არაეფექტურ და არაპროდუქტიულ მეთოდებს. ამ კონტექსტში, ანგარიში მოითხოვდა დაკითხვის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას, რომელიც ბუნებრივად მოიცავს სამართლებრივი და პროცედურული გარანტიების გამოყენებას შესაბამისი უწყებების მიერ.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ზემოთაღნიშნულის შედეგს. ხსენებული პრინციპები წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებების ერთობლიობას, სადაც სამართალდამცავი და უსაფრთხოების ძალები იყენებენ ეფექტური გამოკითხვის მეთოდებს, რაც, თავის მხრივ, აუმჯობესებს მიღებული ინფორმაციის როგორც სიზუსტეს, ასევე სანდოობას. ამ გზით შეგროვებული ინფორმაცია დამატებით იცავს გამოკითხვაში მონაწილე პირის კეთილსინდისიერებას და პროფესიონალიზმს და აძლიერებს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოებრივ ნდობას.

პრინციპები, რომლებსაც ამ დოკუმენტში წარმოგიდგენთ, არის იმის აღიარება, რომ გამოკითხვის შედეგი დაკავშირებულია პიროვნების მიერ სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაციის ყველა ეტაპზე უფლებების სარგებლობის შესაძლებლობასთან და არ აქვს მნიშვნელობა რა ფორმატში ხდება ურთიერთობა - უბრალო გასაუბრების, გამოკითხვის, დაკითხვის თუ საუბრის ფორმატში.

1. A/71/298, წამებაზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, 5 აგვისტო, 2016 წელი. იხილეთ *A/HRC/RES/31/31*, ადამიანის უფლებათა საბჭოს გადაწყვეტილება, 24 მარტი, 2016 წელი.

ამ პრინციპების დაცვა არის დაშინების და წამების საფუძველზე მიღებული ჩვენების რისკისგან დაცვის შესაძლებლობა და იმის აღიარება, რომ ეს ტაქტიკები ხელს უწყობენ ცრუ აღიარებით ჩვენებას, არასამართლიან სასამართლო პროცესებსა და აკნინებენ სამართლის აღსრულების პროცესებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ვერცერთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია სამართლის უზენაესობაზე, ვერ დაუშვებს ისეთი მტკიცებულების მიღებას, რომელიც მოპოვებულია წამების საფუძველზე. სამართლის უზენაესობის ერთ-ერთ საფუძველს სამართლიანი სასამართლო პროცესი წარმოადგენს და წამების გამოყენებით მიღებული მტკიცებულება გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მას.[2]

ეს პრინციპები მომზადდა გამოკითხვის, სამართალდაცვის, სისხლის სამართლის გამოძიების, ეროვნული უსაფრთხოების, სამხედრო, სადაზვერვო, ფსიქოლოგიის, კრიმინალისტიკის და ადამიანის უფლებების მსოფლიო ექსპერტების მიერ. პროცესს ხელმძღვანელობდა საერთაშორისო მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც 15 წევრისგან შედგებოდა. კომიტეტი მიზნად ისახავდა შესრულებული სამუშაოს ემპირიულ კვლევაზე, დოკუმენტირებულ საუკეთესო პრაქტიკაზე, არსებულ საერთაშორისო სამართალსა და პროფესიულ ეთიკაზე დაფუძნებას. საბოლოო ტექსტი წარმოადგენს კომიტეტის წევრების ოთხწლიანი ანალიზის და კვლევის შედეგს, რომელზეც დამატებითი კონსულტაციები ჩატარდა საკონსულტაციო საბჭოს 40-ზე მეტი ქვეყნის 80-ზე მეტ ექსპერტთან. დამატებით, მუდმივმოქმედმა კომისიამ ისარგებლა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით, რომლებიც გაიმართა ბრაზილიაში, ტუნისსა და ტაილანდში.

დადგა დრო, როდესაც ეს კარგი პრაქტიკები უნდა დაინერგოს უნივერსალურ დონეზე და გაზიარდეს სისხლის სამართლის გამომძიებლებისათვის, ყველა სამართლებრივ სისტემაში და პროფესიონალებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნებისთვის ატარებენ გამოკითხვებს. ამ პრინციპებს შეუძლიათ საერთაშორისო საზოგადოებისთვის სახელმძღვანელოს როლი შეითავსონ და დაეხმარონ მას ნორმატიული ჩარჩოს განსავითარებლად ეფექტური გამოკითხვების წარმოებისთვის, რათა მოხდეს ადამიანის უფლებების დარღვევის პრევენცია, კერძოდ, წამების და არაადამიანური მოპყრობის თავიდან არიდება, ასევე, დანაშაულის გამოძიების და პრევენციის ეფექტიანობის და თანამიმდევრულობის უზრუნველყოფა.



ხუან ე. მენდესი
ექსპერტთა მუდმივმოქმედი კომიტეტის თამჯდომარის მოადგილე

2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR), ცვიკი პოლონეთის წინააღმდეგ, N31454/10, გადაწყვეტილება, 5 ნოემბერი,, 2020 წელი.

მონაწილეები

მუდმივმოქმედი კომიტეტი

(ჩამოთვლილი პირები მოქმედებდნენ ინდივიდუალური უფლებამოსილების ფარგლებში)

ხუან ე. მენდეზი, თანათავმჯდომარე (გაეროს ყოფილი სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე; ფაკულტეტის ხელმძღვანელი, წამების საწინააღმდეგო ინიციატივა, ამერიკული უნივერსიტეტი, ვაშინგტონის სამართლის სკოლა)

მარკ ტომსონი, თანათავმჯდომარე (ყოფილი გენერალური მდივანი, წამების პრევენციის ასოციაცია)

რეი ბული (სისხლის სამართლის გამოძიების პროფესორი, დერბის უნივერსიტეტი; სასამართლო ექსპერტიზის ფსიქოლოგიის პროფესორი, ლესტერის უნივერსიტეტი)

მარკ ფალონი (ყოფილი სპეციალური აგენტი/ტერორიზმთან ბრძოლის სპეციალისტი, საზღვაო კრიმინალური გამოძიების სამსახური, თავდაცვის დეპარტამენტი, აშშ; პროექტ ,,ALETHEIA" - ს თანადამფუძნებელი, ჯონ ჯეის სისხლის სამართლის კოლეჯი)

ვერონიკა ჰინესტროზა არენა (ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ექსპერტი; ყოფილი უფროსი იურისტი, ადვოკატების საერთაშორისო ასოციაციის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი, ლათინური ამერიკა)

ზაზა ნამორაძე (დირექტორი, ღია საზოგადოება მართლმსაჯულების ინიციატივა, ბერლინის ოფისი)

გავინ ოქსბურგი (პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, ნორთუმბრიას უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო; გადამდგარი სამეფო საჰაერო ძალების პოლიციის სპეციალური საგამოძიებო დანაყოფი)

პაუ პერეზ სალესი (კლინიკური დირექტორი, ცენტრი ,,SiRa", მადრიდი; რედაქტორი, ჟურნალი ,,TORTURE")

ასბორნ რაჩლევი (ნორვეგიის პოლიციის სუპერინტენდენტი, ოსლო; მოწვეული მკვლევარი ნორვეგიის ადამიანის უფლებათა ცენტრში)

ტერეს რიტერი (იურიდიული დირექტორი, ,,DIGNITY"; ვიცე-პრეზიდენტი, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი)

მარი შოლუმი (კონსულტანტი; ყოფილი მრჩეველი, ახალი ზელანდიის პოლიცია და დიდი ბრიტანეთის პოლიციის კოლეჯი)

რებეკა შაეფერი (იურიდიული დირექტორი, ,,FAIR TRIALS INTERNATIONAL", ამერიკა)

რუთ სეკინდი (დირექტორი, უგანდას ადამიანის უფლებათა კომისია)

ლილიან მ. სტეინი (ფსიქოლოგიის პროფესორი, ,,Pontifícia Universidade Católica do Rio Grande do Sul", ბრაზილია)

შონ ტაიტი (დირექტორი, აფრიკის პოლიციის სამოქალაქო ზედამხედველობის ფორუმი)

სამი ინსტიტუციის კოორდინაცია

association pour la prévention de la torture
asociación para la prevención de la tortura
association for the prevention of torture

AMERICAN UNIVERSITY WASHINGTON COLLEGE OF LAW
CENTER FOR HUMAN RIGHTS & HUMANITARIAN LAW
Anti - Torture

UiO : Norwegian Centre for Human Rights
University of Oslo

სამუშაო ჯგუფები

(ჩამოთვლილი პირები მოქმედებდნენ ინდივიდუალური უფლებამოსილების ფარგლებში)

სოლომონ არასე (იურისტი და უსაფრთხოების კონსულტანტი; ყოფილი ინსპექტორი, ნიგერიის პოლიცია)

სტივენ ჯ. ბარელა (უფროსი მკვლევარი, გლობალური კვლევების ინსტიტუტი, ჟენევას უნივერსიტეტი)

ალექსის კომნინო (იურიდიული მრჩეველი, წამების პრევენციის ასოციაცია)

ვანესა დრუმონდი (დირექტორის ასისტენტი, წამების საწინააღმდეგო ინიციატივა)

ლუის ედვარდსი (კვლევის და პროგრამების დირექტორი, აფრიკის პოლიციის სამოქალაქო ზედამხედველობის ფორუმი)

ვერონიკა ჰინესტორზა არნასი

ჯონათან ჰოროვიცი (ყოფილი უფროსი იურიდიული ოფიცერი, ღია საზოგადოება მართლმსაჯულების ინიციატივა)

სიუზან კემპი (კომისარი, შოტლანდიის ადამიანის უფლებათა კომისია)

გისლე კვანვიგი („UNPOL" - ის სამდივნოს უფროსი, ნორვეგიის ადამიანის უფლებათა ცენტრი)

ანნე ლარდი (იურიდიული კოორდინატორი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი; ყოფილი იურიდიული და დაკავების მრჩეველი, წამების პრევენციის ასოციაცია)

კრისტინა მეისნერი (ფსიქოლოგიის პროფესორი, აიოვას შტატის უნივერსიტეტი)

ანდრა ნიკოლესკუ (უფროსი იურიდიული და პოლიტიკის მრჩეველი, წამების პრევენციის ასოციაცია)

გავინ ოქსბურგი

ალკა პრადანი (ადამიანის უფლებათა საბჭო გვატემალაში, სამხედრო კომისიები; სამართლის ლექტორი; პენსილვანიის უნივერსიტეტი)

ასბორნ რაჩლევი

ტერეს რიტერი

მარი შოლუმი

რუთ სეკინდი

შონ ტაიტი

ვაილდერ ტაილერი (საერთაშორისო პრევენციის მექანიზმის ხელმძღვანელი, ურუგვაი)

თავმჯდომარეების საგამომცემლო ჯგუფი

სტივენ ჯ. ბარელა, რედაქტორი

ნარნარა ბერნათი (გენერალური მდივანი, წამების პრევენციის ასოციაცია)

ალექსის კომნინო

ვანესა დრუმონდი

ანდრა ნიკოლესკუ

საკონსულტაციო საბჭო

(ჩამოთვლილი პირები მოქმედებდნენ ინდივიდუალური უფლებამოსილების ფარგლებში; შემადგენლობა 2021 წლის 27 აგვისტოს მდგომარეობით)

უჯუ აგომოჰი (აღმასრულებელი დირექტორი, მოქმედება პატიმრების რეაბილიტაციის და კეთილდღეობისთვის, ნიგერია)

ლოურენსე ალისონი (სასამართლო და საგამოძიებო ფსიქოლოგიის თავმჯდომარე, ლივერპულის უნივერსიტეტი)

რაშიდ ალმანსორი (სასამართლო სამეცნიერო და კრიმინალისტიკის დეპარტამენტი, დუბაის პოლიცია, არაბთა გაერთიანებული საამირო; სასამართლო გამოკითხვის ცენტრი, პორტსმუტის უნივერსიტეტი)

პოლ ანგამანი (პრეზიდენტი, წამების აღმოფხვრის ქრისტიანული მოქმედების საერთაშორისო ფედერაცია)

იგორ არეჰი (სასამართლო ფსიქოლოგიის ასოცირებული პროფესორი, სისხლის სამართლისა და უსაფრთხოების ფაკულტეტი, მარიბორის უნივერსიტეტი, სლოვენია)

რომელ რაგალადო ბაგარესი (ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი, საერთაშორისო სამართლის ცენტრი, ფილიპინები)

სტივენ ჯ. ბარელა

გარი ბარი (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (გადამდგარი), ,,ICITAP" - ის პროგრამა, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი)

რაფაელ ბარეტო სოუზა (ინიციატივის კოორდინატორი, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა, ბრაზილია და იუსტიციის ეროვნული საბჭო; მკვლევარი, სისხლის სამართლის პოლიტიკის მართვის ლაბორატორია, ბრაზილიის უნივერსიტეტი)

სარა ბელალი (აღმასრულებელი დირექტორი, მართლმსაჯულების პროექტი, პაკისტანი)

გრაჰამ დოსეტი (ყოფილი პოლიციელი, გაერთიანებული სამეფო; მოწვეული მკვლევარი, ესექსის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ცენტრი)

ჰატემ ესაიემ (კომისარი, აფრიკის ადამიანის და ხალხთა უფლებების კომისია)

მალკოლმ ევანსი (გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე)

ივარ ა. ფასინგი (უფროსი დეტექტივი და ასოცირებული პროფესორი, ნორვეგიის პოლიციის უნივერსიტეტის კოლეჯი)

ლორენ ე. ფლეტჩერი (სამართლის კლინიკური პროფესორი, კალიფორნიის უნივერსიტეტი, ბერკლი, სამართლის სკოლა)

საბინა ფრედერიკი (უშიშროების მინისტრი, არგენტინა)

ჯონა ფრიესტდეტი (განყოფილების ყოფილი უფროსი, ევროპის წამების პრევენციის კომიტეტის სამდივნო)

ფიონა გაბბერტი (პროფესორი, გოლდსმიტის კოლეჯი, ლონდონის უნივერსიტეტი)

ანდრიუ გილმორი (გაეროს ყოფილი ასისტენტი, ადამიანის უფლებების მიმართულებით; აღმასრულებელი დირექტორი, ბერგოფის ფონდი)

მიკოლა გნატოვსკი (ყოფილი პრეზიდენტი, ევროპის წამების პრევენციის კომიტეტი; პროფესორი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი)

მარინა ილმინსკა (პოლიციის უფროსი ოფიცერი, ღია საზოგადოება მართლმსაჯულების ინიციატივა)

სიუზენ ჯაბორი (თავმჯდომარე, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის; უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი, ,,RESTART" - ის წამების და ძალადობის მსხვერპლის რეაბილიტაციის ცენტრი, ლიბანი)

ტაგრედ ჯაბერი (რეგიონალური დირექტორი, ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონი, ,,PENAL REFORM INTERNATIONAL-PRI")

სტივენ მ. კლეინმანი (საჰაერო ძალების პოლკოვნიკი, თადარიგის დაზვერვის ოფიცერი, აშშ)

ჩენგ ლი (პროფესორი, რენმინის უნივერსიტეტი, ჩინეთის სამართლის სკოლა)

რიჩარდ ა. ლეო (პროფესორი, სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტი)

ჰუგო ლეონარდო (პრეზიდენტი დაცვის უფლებების დაცვის ინსტიტუტი - IDDD, ბრაზილია)

მაშა ლისიტინა (უფროსი მმართველი ოფიცერი, ღია საზოგადოება მართლმსაჯულების ინიციატივა)

მარგარეტ მეი მაკალი (კომისარი, ინტერამერიკული კომისია ადამიანის უფლებებისთვის; ყოფილი მოსამართლე, ამერიკის ადამიანის უფლებათა სასამართლო)

ლუჩიანო მარიზ მაია (ასოცირებული გენერალური პროკურორი, ფედერალური პროკურატურის სამსახური, სასამართლო)

დევიდ მარშალი (მოწვეული ლექტორი, იელის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა; მართლმსაჯულების მრჩეველი, გლობალური ურთიერთობები, კანადა)

რობერ მაკფადენი (ყოფილი სპეციალური აგენტი, საზღვაო სისხლის სამართლის საგამოძიებო სამსახურები, აშშ)

ნილს მელზერი (გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე; ადამიანის უფლებათა კათედრის ხელმძღვანელი, ჟენევის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა აკადემია)

მარგარეტ სატერვაითი (პროფესორი, ადამიანის უფლებების და გლობალური სამართლის ცენტრი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა)

სტეფანი სელგი (ყოფილი მრჩეველი წამების პრევენციის საკითხებში, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების სამსახური)

კრისტოფე სელიე (პოლიციის უფროსის მოადგილე, შვეიცარია)

მანდირა შარმა (დამფუძნებელი, ადვოკატირების ფორუმი, ნეპალი, უფროსის საერთაშორისო მრჩეველი, იურისტების საერთაშორისო კომისია)

მაიკლ სკერკერი (პროფესორი, აშშ-ის საზღვაო აკადემია)

რუპერტ სკილბეკი (დირექტორი, ,,REDRESS")

კევინ სმიტი (ეროვნული მოწყვლადი მოწმეების მრჩეველი, მნიშვნელოვანი დანაშაულის გამოძიების მხარდაჭერა, ეროვნული სისხლის სამართლის სააგენტო, გაერთიანებული სამეფო)

სტავროლა სოკარა (ასოცირებული პროფესორი, სასამართლო ფსიქოლოგია, სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტი, ნიკოსიას უნივერსიტეტი, კვიპროსი)

იური ბელოუსოვი (დეპარტამენტის უფროსი, სამართალდამცავ და პენიტენციურ სფეროში ადამიანის უფლებათა დარღვევებზე რეაგირება; გენერალური პროკურორის ოფისი, უკრაინა; ყოფილი უკრაინელი პოლიციელი; ეროვნული პრევენციის მექანიზმის ხელმღვანელი უკრაინაში)

გრეგ ბლოჩი (პოლიტიკისა და ეთიკის პროფესორი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი)

სიუზენ ბრანდონი (ყოველი კვლევით პროგრამის მენეჯერი, მაღალი ღირებულების დაკავებულების გამოკითხვის ჯგუფი- აშშ)

ილზე ბრანდს კერისი (გაეროს ადამიანის უფლებათა გენერალური მდივნის ასისტენტი, ნიუ-იორკი)

ედ კეიპი (ემერიტუს პროფესორი, დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, ბრისტოლი)

ენდრიუ კლაფამი (პროფესორი, ჟენევა)

ჯამილ დაკვარი (დირექტორი, ადამიანის უფლებათა პროგრამა, ამერიკის სამოქალაქო თავისუფლების გაერთიანება)

ლუის დეკმარი (პოლიციის უფროსი, პოლიციის დეპარტამენტი, აშშ; ყოფილი პრეზიდენტი; ,,IACP")

კატალინა დევანდას აგუილარი (კოსტა რიკას ელჩი გაეროში, ჟენევა, გაეროს ყოფილი სპეციალური მომხსენებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უფლებებზე)

სანტანე დიცაიაბუტი (სახელმწიფო პროკურატურის ექსპერტი, სამდივნო სამსახურის დირექტორი, ნიტივაჯრას ინსტიტუტი, გენერალური პროკურორის ოფისი, ტაილანდი)

რობერტ გოლდმანი (პრეზიდენტი, იურისტთა საერთაშორისო კომისია)

ალის ედვარდსი (სამდივნოს უფროსი, წამების წინააღმდეგ ინიციატივის კონვენცია)

ენდი გრიფიტი (ყოფილი პოლიციელი, დიდი ბრიტანეთი, დეტექტივი; მოწვეული მკვლევარი, პორტსმუტის უნივერსიტეტი, ასოცირებული მკვლევარი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტი)

გისლი გუჯონსონი (ემერიტუს პროფესორი, სასამართლო ფსიქოლოგია, მეფის კოლეჯი, ლონდონი, ფსიქიატრიის, ფსიქოლოგიისა და ნეირომეცნიერების ინსტიტუტი)

ჯილ ჰეინი, პირველი რედაქტორი (ყოფილი იურიდიული მრჩეველი)

ლიზა ჰენრი (გენერალური მდივანი, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო)

ჯოელ ჰერნანდეზი (კომისარი, ინტერამერიკული კომისია ადამიანის უფლებებისთვის)

კრისტოფ ჰეინსი, რომელიც სამწუხაროდ გარდაიცვალა 2021 წლის 28 მარტს (ყოფილი წევრი, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი; პროფესორი, პრეტორიას უნივერსიტეტი)

ლორეინ ჰოუფი (პროფესორი, პორტსმუტის უნივერსიტეტი)

ჩინ-იუ ჰუანგი (ლექტორი, კილის უნივერსიტეტი)

ვინსენტ იაკოპინო (ყოფილი უფროსი სამედიცინო მრჩეველი, ექიმები ადამიანის უფლებებისთვის, მედიცინის პროფესორი, მინესოტას უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლა)

რებეკა მილნე (პროფესორი, პორტსმუტის უნივერსიტეტი)

ჯენს მოდვიგი (სამედიცინო დირექტორი, ,,DIGNITY", ყოფილი თავჯდომარე, გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი)

ანაბელა მუსერი (კრიმინოლოგიის მაგისტრი, ლიტორალის ეროვნული უნივერსიტეტი, ქ. სანტა-ფე, არგენტინა არგენტინა)

მაკიკო ნაკა (ფსიქოლოგიის პროფესორი, რიცუმეიკანის უნივერსიტეტი; საპატიო პროფესორი, ჰოკაიდოს უნივერსიტეტი, იაპონია)

მანფრედ ნოვაკი (გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტი თავისუფლებააღკვეთილ ბავშვთა საკითხებზე; ყოფილი გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე)

შეინ ო' მარა (ტვინის ექსპერიმენტალური კვლევის პროფესორი, ფსიქოლოგიის სკოლა და ნეირომეცნიერების ინსტიტუტი, სამების კოლეჯი, დუბლინი - დუბლინის უნივერსიტეტი, ირლანდია)

გუსტავო პალმიერი (დირექტორი, Universidad Nacional de Lanus; წევრი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, არგენტინა)

ელენა პეჯიკი (უფროსი იურიდიული მრჩეველი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი)

მარტინ პოველი (პროფესორი, გრიფიტის უნივერსიტეტი, ქვინსლენდი; დამფუძნებელი დირექტორი, საგამოძიებო გამოკითხვის ცენტრი, გრიფიტის კრიმინალისტიკის ინსტიტუტი)

დევიკა პრასადი (უფროსი კონსულტანტი, პროექტი 39A, დელის სამართლის ეროვნული უნივერსიტეტი და ყოფილი უფროსი, პოლიციის რეფორმების პროგრამა, ადამიანის უფლებების ინიციატივა)

დინა პრაპტო რაჰარჯა (ყოფილი წარმომადგენელი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ASEAN), ადამიანის უფლებათა მთავრობათაშორისი კომისია; ასოცირებული პროფესორი; ბინუს უნივერსიტეტი, დასავლეთ ჯაკარტა)

სეემა საიფე (მკვლევარი, პენსილვანიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა; ყოფილი უფროსი ადვოკატი და კლინიკური დირექტორი, პროექტი უდანაშაულობა)

მარტა სანტოს პაისი (ყოფილი სპეციალური წარმომადგენელი, გაეროს გენერალური მდივანი ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებში)

გერალდ სტაბეროკი (გენერალური მდივანი, წამებასთან ბრძოლის მსოფლიო ორგანიზაცია - „OMCT")

მიშელ სენ ივი (სასამართლო ფსიქოლოგი, კვებეკის უსაფრთხოების სამსახური, კვებეკის ეროვნული პოლიციის აკადემია, მონრეალის უნივერსიტეტი

ნატალია ტაიბინა (დირექტორი, „PUBLIC VERDICT FOUNDATION", რუსეთი)

სერა ტეკინი (ფსიქოლოგიის ლექტორი, ლონდონის სამხრეთ სანაპიროს უნივერსიტეტი)

მორის ტიდბოლ-ბინზი (კლინიკური პროფესორი სასამართლო მედიცინის მიმართულებით, მონაშის უნივერსიტეტი, მელბურნი; გაეროს სპეციალური მომხსენებელი სასამართლო ან თვითნებური აღსრულების საკითხებზე)

სოლედად ვილაგრა დე ბიედერმანი (გაეროს თვითნებური დაკავების სამუშაო ჯგუფის ყოფილი წევრი; პროფესორი, კათოლიკური უნივერსიტეტი, პარაგვაი)

პეტერ ვედელ კესინგი (გაეროს წამებასთან ბრძოლის კომიტეტის წევრი; უფროსი მკვლევარი, დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი)

მაიკლ ზანდერი (სამართლის საპატიო პროფესორი, ლონდონის ეკონომიკის სკოლა)

შინაარსი

i წინასიტყვაობა
iii მონაწილეები

1 შესავალი

7 პრინციპი 1 – საფუძვლები
7 სამეცნიერო საფუძვლები
12 სამართლებრივი საფუძვლები
17 პროფესიული ეთიკის საფუძვლები

19 პრინციპი 2 – პრაქტიკა
19 ყოვლისმომცველი პროცესი
20 ზუსტი და სანდო ინფორმაცია
21 სამართლებრივი დაცვის ზომები
22 გამოკითხვამდე - არაძალადობრივი გარემოს უზრუნველყოფა
31 გამოკითხვის დროს - თანამშრომლობის დამყარება და შენარჩუნება
35 გამოკითხვის დასრულება - შეფასება და ანალიზი

36 პრინციპი 3 – მოწყვლადობა
36 გამოკითხვა, როგორც მოწყვლადი მდგომარეობა
37 მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირები
39 მომატებული მოწყვლადობის შეფასება და რეაგირება

41 პრინციპი 4 – სწავლება
41 მიზნობრივი სწავლება
43 უწყვეტი პროფესიული განვითარება

45 პრინციპი 5 – ანგარიშვალდებულება
45 ინსტიტუციური პროცედურები და განხილვა
46 ჩანაწერების ეფექტური შენახვა
47 პრევენცია და ანგარიშგება
48 გარე ზედამხედველობა და დამოუკიდებელი მონიტორინგი
49 საჩივრები და გამოძიებები
50 რეაგირება და რეპარაცია

52 პრინციპი 6 – იმპლემენტაცია
53 ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო დოკუმენტები
53 ინსტიტუციური კულტურა და შესაძლებლობები
54 სასამართლო უწყებები
55 გავრცელება

შესავალი

1. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები და სხვა საგამოძიებო ორგანოები - მათ შორის, დაზვერვისა და სამხედრო სამსახურები - სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებისთვის დახმარების აღმოჩენისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების შენარჩუნების კუთხით, რისთვისაც უზრუნველყოფენ დანაშაულის გამოვლენას, პრევენციას და გამოძიებას, ასევე, ადამიანის დაცვის უზრუნველყოფას. გამოკითხვის და დაკითხვის ჩატარება წარმოადგენს ნებისმიერი გამოძიების და დაზვერვის საფუძველს - ინფორმაციის შეგროვების პროცესს, რომელიც ხორციელდება ამ უწყებების მიერ.

2. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, გამოკითხვა განისაზღვრება როგორც სტრუქტურულად ჩამოყალიბებული საუბარი, რომელშიც ერთი ადამიანი („ინტერვიუერი") ცდილობს მეორე პირისგან („რესპონდენტი") ინფორმაციის მიღებას ნებისმიერი გამოძიების ან სადაზვერვო ოპერაციის მიზნებისთვის. პროცესის მიზანი არის ზუსტი და სანდო ინფორმაციის შეგროვება და ამ პროცესში ადამიანის უფლებების დაცვა. პროცესის უმთავრესი მიზანია სამართალდამცავმა უწყებებმა მოიპოვონ მტკიცებულებები და პირის მხრიდან არ მოხდეს მხოლოდ დანაშაულის აღიარება.

ამოცანები და მიზნები: რატომ არის პრინციპები საჭირო?

3. მსოფლიოს მასშტაბით, ცრუ ჩვენება და მცდარი ინფორმაციის არასანდოობა, რაც გამოწვეულია დაკითხვის დროს ძალადობრივი პრაქტიკების გამოყენებით, იწვევს გადაწყვეტილების მიღების ხარვეზებს, არასწორ მსჯავრდებას და სამართლის არასათანადო აღსრულებას. ფართოდ გავრცელებული მცდარი შეხედულების გამო, თითქოს „წამება მუშაობს", დაკითხვა, განსაკუთრებით კი - ეჭვმიტანილთა დაკითხვა, თავისთავად ასოცირდება დაშინების, იძულების და არასათანადო მოპყრობის რისკებთან.[3] ასეთი პრაქტიკების გამოყენება გამოკითხვის დროს არის როგორც არაეფექტური, ასევე არაპროდუქტიული და მსხვერპლს, მოძალადეს, ინსტიტუტსა და ზოგადად საზოგადოებას ძვირად უჯდება, განსაკუთრებით, როდესაც ხდება წამების, სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის გამოყენება (ასევე სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმების), რაც კატეგორიულად არის აკრძალული საერთაშორისო სამართლით.

4. საჭიროა დაკითხვის კულტურის ცვლილება და ბრალდების დაშინების, მანიპულაციური და აღიარებაზე ორიენტირებული პრაქტიკების ჩანაცვლება ურთიერთობაზე დაფუძნებული პრაქტიკებით. აქ იგულისხმება გამოკითხვის მთელს პროცესში ისეთი სამართლებრივი და პროცედურული მექანიზმების გამოყენება, რაც ამცირებს არაადამიანური მოპყრობის რისკებს, გვაძლევს უფრო

3. A/71/298, წამებაზე სპეციალური რეპორტიორის ანგარიში, 5 აგვისტო, 2016 წელი, პარაგრაფი 8.

სანდო ინფორმაციას და გვეხმარება გამოძიების ან სადაზვერვო ოპერაციის კანონიერი შედეგების მიღწევაში.

5. წინამდებარე გამოძიებისა და ინფორმაციის შეგროვების ეფექტური პრინციპები ახდენს სამართლის ინტეგრაციას იმ მყარ და მზარდ სამეცნიერო კვლევებთან, რომლებიც შეეხება კითხვების დასმის იმ მეთოდებს, რომლებიც ყველაზე ეფექტიანად მოიპოვებენ ზუსტ და სანდო ინფორმაციას ინტერვიუირებული პირისგან. აღნიშნული პრინციპები:

   ა. დაეხმარება უწყებებს გააუმჯობესონ დაკითხვის და სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების ეფექტიანობა, სამართლიანობა და შედეგიანობა. ამავდროულად, უზრუნველყოფენ ყველა გამოსაკითხი პირის ღირსებისა და ადამიანის უფლებების დაცვას. პრინციპები სამართალდამცავ უწყებებს დაეხმარებიან განავითარონ პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესი და ხელს უწყობენ მათი ეთიკური ფორმით დანერგვას, ასევე, შესაბამისი უწყებებისთვის გამოკითხვის ეფექტური ჩარჩო დოკუმენტების მომზადებას.
   ბ. ეხმარებიან უწყებებსა და სამსახურებს ყოვლისმომცველი, ინსტიტუციონალური დონის რეფორმების გატარებაში, ასევე, მიდგომების და გამოკითხვის ჩატარების გზების გაუმჯობესებაში, მათ შორის, დაგეგმვის, სწავლების, რესურსების უზრუნველყოფის და შეფასების მიმართულებით.
   გ. ხელს უწყობენ სასწავლო პროგრამის, სახელმძღვანელოებისა და სხვა საგანმანათლებლო მასალების მომზადებას.
   დ. ეხმარებიან სამართალდამცავ და სხვა სამსახურებს დამოკიდებულებებისა და ინსტიტუციონალური კულტურის ცვლილებაში, რაც ეხმარება მათ აღიარებაზე ორიენტირებული პრაქტიკებიდან თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გამოკითხვაზე გადასვლაში.

6. პრინციპები ხელს უწყობენ ისეთი მიდგომის ჩამოყალიბებას, რომელიც ეხმარება უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას და პრაქტიკაში დანერგვას. პრინციპები უზრუნველყოფს, რომ ბრალი დაუდგინდეს მხოლოდ დამნაშავეს, უსაფუძვლოდ ბრალდებული პირები გათავისუფლდნენ, რათა სამართალი აღსრულდეს როგორც მსხვერპლების, ასევე, საზოგადოების სასარგებლოდ.

7. პრინციპები ხელს უწყობენ გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვას, რისთვისაც უზრუნველყოფენ სამართლიანი, უსაფრთხო და ინკლუზიური საზოგადოებების განვითარებას, რომელსაც ამყარებენ ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები, შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

გამოკითხვების ჩატარება

გამოკითხვის დროს უფრო ზუსტი და სანდო ინფორმაციის **მიღება.**

გამომძიებლების შესაძლებლობების, ეფექტურობის და პროფესიონალიზმის **გაძლიერება**.

უკანონო, არაეფექტური და არაპროდუქტიული დაკითხვის ტექნიკებზე დამოკიდებულების **აღმოფხვრა.**

წარმატებული და ხელმისაწვდომი მეთოდებისა და პრაქტიკების **მიწოდება** მინიმალური რესურსებით.

ინფორმაციის შეგროვების უფრო ეფექტურად **ჩატარება**.

სასამართლო სისტემები

საზოგადოებრივი ნდობის და სისხლის სამართლის ინსტიტუტებთან თანამშრომლობის **ხელშეწყობა**.

კანონის უზენაესობის **დაცვა**.

წამების გზით მიღებული მტკიცებულების და ცრუ ჩვენების მიღების **გამორიცხვა**.

არასანდო ინფორმაციის, უსამართლო ბრალდებების და სამართლის აღუსრულებლობის **შემცირება**.

სამართლის პროცესების მთლიანობის და ეფექტური ადმინისტრირების **დაცვა**.

ადამიანის უფლებები

იმის **უზრუნველყოფა**, რომ არცერთი ადამიანი არ გახდეს დაშინების, წამების ან სხვა ფორმით არაადამიანური მოპყრობის ობიექტი.

სახელმწიფო ორგანოებთან მომუშავე ყველა პირის ფიზიკური და მენტალური მდგრადობის **დაცვა.**

მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების უფლებების დაცვის პატივისცემის **გაუმჯობესება**.

უსაფრთხოებისა და პროცედურების დაცვის გარანტიების **გაუმჯობესება** ყველა გამოკითხული ადამიანისთვის.

ისეთი ინიციატივების **შემცირება**, რომლებიც ხელს უწყობენ სამართლის პროფესიონალების მიერ დაშინების ტაქტიკების გამოყენებას.

მოქმედების სფერო: რა სიტუაციებზე ვრცელდება პრინციპები?

8. პრინციპები ვრცელდება ყველა ინტერვიუერზე, ინფორმაციის შეგროვებაზე პასუხისმგებელ უწყებაზე, როგორიც არის პოლიცია, დაზვერვის სამსახური, სამხედრო, ადმინისტრაციული უწყებები ან სხვა პირები, რომლებიც მოქმედებენ შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში. აქ იგულისხმება სხვადასხვა ფორმის დაკითხვა სადაზვერვო პერსონალის მიერ, მათ შორის, ტაქტიკური და სტრატეგიული ბრიფინგები და დაკითხვა სამხედრო და სადაზვერვო სამსახურების მიერ.

9. პრინციპების შემდგომ აღწერილი მიდგომა მისაღებია როგორც პირდაპირი, ასევე, კომპლექსური გამოკითხვების დროს და შეიძლება მარტივად იქნეს გამოყენებული განმეორებითი გამოკითხვის პირობებში.

10. პრინციპებით გათვალისწინებული ყველაზე ფართოდ გავრცელებული სცენარი არის ეჭვმიტანილის გამოკითხვა სისხლის სამართლის გამოძიების დროს. თუმცა, პრინციპები ასევე შეიძლება გამოვიყენოთ მოწმეების, მსხვერპლების ან სხვა გამოძიებისთვის საინტერესო პირების გამოკითხვის დროს (მიუხედავად მათი როლისა), რაც შეიძლება უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი იყოს გამოძიებისთვის, ვიდრე ეჭვმიტანილის შემთხვევა. ანალოგიური პროფესიული უნარები და ტექნიკა არის აუცილებელი ყველა ინტერვიუერის გამოკითხვისთვის.

11. პრინციპები ფარავს დროის ხანგრძლივ მონაკვეთს, დაწყებული სახელმწიფო უწყების მიერ პოტენციურ გამოსაკითხ პირთან პირველი კონტაქტიდან, დასრულებული ყველა ჩატარებული გამოკითხვით. ამავე დროს, გრძელდება შესაბამისი დაცვის მექანიზმების ეფექტური დანერგვა, სულ მცირე, ყველა აუცილებელი სამართლებრივი წარმოების დასრულებამდე.

12. გამოსაკითხი პირის სამართლებრივი სტატუსი და ვალდებულებები და მათი დაცვა გამოკითხვის დროს შეიძლება განსხვავდებოდეს გამოსაკითხი პირის სტატუსის მიხედვით, არის იგი ეჭვმიტანილი თუ ბრალდებული, მსხვერპლი თუ მოწმე, ან გამოძიებისთვის საინტერესო სხვა პირი, მაგალითად, სამხედრო ან სადაზვერვო კონტექსტში. ასეთი უსაფრთხოების ზომების ბუნების ან გამოყენების ცვალებადობა, ან ნებისმიერი გასათვალისწინებელი ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია დასაკითხ პირთან, განხილულია წინამდებარე პრინციპებში.

13. შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში, როდესაც პირის დაკითხვა ხდება არა სისხლის სამართლის გამოძიების, არამედ რაიმე სხვა მიზნით (როგორიც არის ტაქტიკური ან სტრატეგიული გარემო სამხედრო და დაზვერვის ოფიცრებისთვის), სამართლებრივი დაცვის ზომები შეიძლება განსხვავდებოდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ადამიანის უფლებათა სამართლის და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში გამოკითხვა უნდა ჩატარდეს მოცემული პრინციპების დაცვით.

14. პრინციპები შემუშავდა იმის აღიარებით, რომ თითოეული სახელმწიფო, იურისდიქცია და ორგანიზაცია განსხვავებულია და განსხვავებული კანონმდებლობა, პოლიტიკა და პროცედურები გააჩნია. შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს სხვადასხვა სტრატეგია და ტაქტიკა ეჭვმიტანილებთან, დაზარალებულებთან, მოწმეებთან და სხვა ინტერესის მქონე პირებთან მიმართებით და ეს მიდგომა შეიძლება გარკვეულწილად იცვლებოდეს გამოკითხვის ბუნებისა და კონტექსტის მიხედვით. ამ მიზეზით, პრინციპები ადგენს ზოგად მიდგომას ეფექტური გამოკითხვის ჩატარების მიმართ და არ უწევს პროპაგანდას რაიმე კონკრეტულ მოდელს. თუმცა, მიუხედავად ინტერვიუს გარემოში, ტიპსა და მიზანში არსებული ვარიაციებისა, პრინციპები ვრცელდება ყველა გამოკითხვაზე და ეფუძნება მეცნიერების, სამართლისა და ეთიკის იმ საფუძვლებს, რომლებიც ყველა გარემოებაში მოქმედებს.

აუდიტორია: ვისზე ვრცელდება ეს პრინციპები?

15. პრინციპები ძირითადად შეეხება პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელ სპეციალისტებსა და უწყებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გამოკითხვის და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცესების შემუშავებაზე, მიღებასა და აღსრულებაზე. აქ იგულისხმება აღმასრულებელი სამსახურები, კანონმდებლები, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები, სასწავლო დაწესებულებები, დისციპლინური საბჭოები ან ნებისმიერი სხვა უწყება, რომელიც მონაწილეობს იმ კანონების, პოლიტიკების, ჩარჩოების ან პრაქტიკების შემუშავებასა და დანერგვაში, რომლებიც შეეხება პირების გამოკითხვას.

16. პრინციპები ვრცელდება გამოკითხვაში მონაწილე პროფესიონალებსა და უწყებებზე, რომლებიც ჩართული არიან გამოკითხვის ჩატარების პროცესში, მათ შორის, სამართალდამცავი, პროკურატურის, ან სადაზვერვო სამსახურები, მიუხედავად კონკრეტულ იურისდიქციაში მათი დანიშნულებისა.[4]

17. სხვა უწყებები, რომლებიც ეკონტაქტებიან პირებს გამოკითხვის პროცესში, მაგალითად იურისტები, მათ შორის, მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები, ასევე შეძლებენ ამ პრინციპების გამოყენებას. დამატებით, პრინციპების გამოყენება შეუძლიათ საზედამხედველო ორგანოებს, სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, ადამიანის უფლებადამცველებს და სხვა სუბიექტებს, რომლებიც შეისწავლიან კონკრეტულ ვითარებას.

18. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა ეს პრინციპები გათვალისწინებული იქნეს ადგილობრივ კანონმდებლობაში, რეგულაციებში, სწავლების ტექნიკებში, პროცედურებსა და პრაქტიკებში. საჭიროა ამ პრინციპების სამართალდამცავ, იურიდიულ და სხვა უწყებებში გამოყენების ხელშეწყობა და იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა გამოკითხული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს მაქსიმალური დაცვა და ამავე დროს, მიღებული იქნეს ყველაზე ზუსტი და სანდო ინფორმაცია.

19. სახელმწიფოებს, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულების ხელშემკვრელი მხარეები არიან, შეიძლება ნაკისრი ჰქონდეთ კონკრეტული ვალდებულებები, რომლებიც სცდება წინამდებარე პრინციპებით დადგენილ მითითებებს. ანალოგიურად, ყველა სახელმწიფო ემორჩილება საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს, საერთაშორისო სამართლის ემპირიულ ნორმებს. წინამდებარე პრინციპების არცერთი დებულება არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც შესაბამისი საერთაშორისო კანონმდებლობის გათვალისწინებული ვალდებულებებისგან გათავისუფლების საფუძველი.

4. აქ იგულისხმება იურისდიქციები, რომლებიც იყენებენ განსხვავებულ ტერმინოლოგიას სისხლის სამართლის გამოძიების მიზნებისთვის ან სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებისთვის გამოკითხვის გამოყენების ნეიტრალურობის აღსაწერად. შესაბამისად, შეეხება იმ პროფესიონალებს, რომლებიც იყენებენ „დაკითხვას“, როგორც არაძალადობრივ მეთოდს ზუსტი და სანდო ინფორმაციის შესაგროვებლად. იხილეთ A/71/298, შენიშვნა 1 (შენიშვნა 3).

ეფექტური გამოკითხვის პრინციპები გამოძიების და ინფორმაციის შეგროვებისთვის

პრინციპი 1 - საფუძვლები

ეფექტური გამოკითხვა ტარდება მეცნიერების, კანონისა და ეთიკის საფუძველზე.

პრინციპი 2 - პრაქტიკა

ეფექტური გამოკითხვა არის კომპლექსური პროცესი, რომელიც მოიცავს ზუსტი და სანდო ინფორმაციის შეგროვებას და პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი უსაფრთხოების ზომების დანერგვას.

პრინციპი 3 - მოწყვლადობა

ეფექტური გამოკითხვა მოითხოვს მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი გამოსაკითხი პირის საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათზე რეაგირებას.

პრინციპი 4 - სწავლება

ეფექტური გამოკითხვა არის პროფესიონალური ვალდებულება, რომელიც კონკრეტული სწავლების/ ტრენინგის გავლას მოითხოვს.

პრინციპი 5 - ანგარიშვალდებულება

ეფექტური გამოკითხვის პროცესს სჭირდება გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ინსტიტუტები.

პრინციპი 6 - დანერგვა

ეფექტური გამოკითხვის პრაქტიკაში დანერგვა მოითხოვს მძლავრ ეროვნულ ზომებს.

პრინციპი 1 ▸ საფუძვლები

ეფექტური გამოკითხვა ხდება მეცნიერების, სამართლის და ეთიკის საფუძველზე.

20. ემპირიული სამეცნიერო კვლევების დასკვნები, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები და ღირებულებებზე დაფუძნებული პროფესიული მოვალეობები ეფექტური გამოკითხვის საფუძველია. პრაქტიკაში ინტეგრირებისას, ეს ფუნდამენტური ელემენტები გამომკითხველებს აძლევს შესაძლებლობას, შეაგროვონ ზუსტი და სანდო ინფორმაცია და ამავდროულად, უზრუნველყონ ადამიანის უფლებების რეალიზაცია.

სამეცნიერო საფუძვლები

არაეფექტური პრაქტიკის კვლევა

21. ბოლო დროს სხვადასხვა დისციპლინების წარმომადგენელი პროფესიონალებისა და პრაქტიკოსების მიერ, მათ შორის, ფსიქოლოგიის, კრიმინალისტიკის, სოციოლოგიის, ნეირომეცნიერების და მედიცინის, ჩატარებული კვლევის მიგნებები მიუთითებენ მნიშვნელოვან მტკიცებულებაზე, რომ დაშინების გამოყენებამ შესაძლოა გააძლიეროს როგორც გამოსაკითხი პირის წინააღმდეგობა, ასევე, უწყვეტი გამოყენების შემთხვევაში, მიიყვანოს იგი ცრუ ინფორმაციის მიწოდებამდე და ცრუ აღიარებით ჩვენებამდე.[5] ისტორიული შეფასებები და კვლევები გვიჩვენებს, რომ დაშინების გამოყენებამ შესაძლოა შეაფერხოს რეალური ინფორმაციის

5. გ. ჰ. გუდჯონსონი, *ცრუ აღიარების ფსიქოლოგია: მეცნიერების და პრაქტიკის ორმოცი წელი* (ჰობოკენი, ნჯ, ჯონ ვილი და შვილები, 2018); ა. ვრიჯ, ც. ა. მეისსნერი, ს. მ. კასსინი, ა. მორგან მესამე, რ. პ. ფიშერი და ს. მ. კლეინმანი, „დაკითხვის ფსიქოლოგიური პერსპექტივები", *ფსიქოლოგიური მეცნიერების პერსპექტივები*, ტომი 12, N6 (სექტემბერი, 2017 წელი); ს. ომარა, *რატომ არ მუშაობს წამება: დაკითხვის ნეირომეცნიერება* (კემბრიჯი, ჰარვარდის უნივერსიტეტის გამოცემა, 2015 წელი); ს. მ. კასსინი, ს. ა. დრიზინი, ტ. გრისსო, გ. ჰ. გუდჯონსონი, რ. ა. ლეო და ა. დ. რედლიჩი, „პოლიციის მიერ გამოწვეული აღიარებები: რისკ ფაქტორები და რეკომენდაციები", *კანონი და ადამიანის ქცევა*, ტომი 34, N1 (თებერვალი, 2010 წელი).

შეგროვება. მეტიც, ნეირომეცნიერების კვლევები მიუთითებს, რომ დაშინების მეთოდები აზიანებს ტვინის მიერ მეხსიერების აღდგენის პროცესს.[6]

22. კვლევამ აჩვენა, რომ არასანდო ინფორმაცია და ცრუ აღიარებითი ჩვენება,რაც განპირობებულია არასათანადო მოპყრობის გამოყენებით, დაბალი ხარისხის გამოკითხვის ხშირი და პროგნოზირებადი შედეგებია.[7] ისინი იწვევენ უსაფუძვლო მსჯავრდებას და არაზუსტი სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებას მსოფლიოს მასშტაბით, რითაც აკნინებენ სამართალდამცავი ორგანოებისა და სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების ობიექტურობასა და ეფექტიანობას.[8]

23. სამეცნიერო მტკიცებულებები მიუთითებს, რომ გამოკითხვის დროს დაშინების გამოყენება ამცირებს გამოსაკითხი პირის თანამშრომლობის მზაობას და იწვევს წინააღმდეგობის ზრდას, მაშინაც კი, თუ გამოსაკითხი პირი სხვა პირობებში აქტიურად უპასუხებდა შეკითხვებს.[9] იმ შემთხვევებში, როდესაც გამოსაკითხი პირები არაადამიანური მოპყრობის შედეგად ემორჩილებიან ინტერვიუერის მოთხოვნებს, მიწოდებული ინფორმაციის სანდოობა სათუოა, რადგან ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდება ხშირად ხდება არასათანადო მოპყრობის თავიდან არიდების ან შეჩერების მიზნით.[10]

24. გამოკითხვაში ფსიქოლოგიური დაშინების მეთოდების გამოყენება, როგორიც არის გამოსაკითხი პირის ბრალეულობით (მაგალითად, ცრუ მტკიცებულების წარდგენა), ან აღიარებასთან დაკავშირებული შედეგების აღქმით მანიპულირება (მაგალითად, სავარაუდო დანაშაულის აღიარებასთან დაკავშირებული შედეგების დაკნინება ან გადაჭარბება), იწვევს არასწორი ინფორმაციის მიწოდებას და

6. *იხილეთ, მაგალითად, ო'მარა რატომ არ მუშაობს წამება* (შენიშვნა 5); კ. ა. მორგან მესამე, ს. სოუტჰვიკი, გ. სტეფფიანი, გ. ა. ჰაზლეტი და ე. ფ. ლოფტუსი, „არასწორმა ინფორმაცია შესაძლოა გავლენა იქონიოს ბოლო დროს განცდილ მეხსიერებაზე, მაღალი სტრესის პირობებში", *სამართლისა და ფსიქიატრიის საერთაშორისო ჟურნალი*, გამოცემა 36, N1 (იანვარი/თებერვალი, 2013); კ. იანგი, ვ. დრევეტსი, ჯ. შულკინი, კ. ერიქსონი „ჰიდროკორტისონის ინფუზიის დოზაზე დამოკიდებული გავლენა ავტობიოგრაფიული მეხსიერების აღდგენაზე", *ქცევითი ნეირომეცნიერება*, გამოცემა 125, N5 (ოქტომბერი, 2011 წელი).

7. იხილეთ ს. ა. დრიზინი და რ. ა. ლეო, "ცრუ აღიარების პრობლემა დნმ-ს შემდგომ სამყაროში", *ჩრდილოეთ კაროლინას კანონის განხილვა*, ტომი 82, (2004); ა. დ. რედლიჩი და ც. ა. მეისნერი. "ეჭვმიტანილების დაკითხვის ტექნიკები და წინააღმდეგობები" *ფსიქოლოგიური მეცნიერების ოთახი*, ჯ. ლ. სკემი, კ. ს. დუგლასი და ს. ო. ლილიენფელდი, (ნიუ-იორკი, გუილფორდის გამომცემლობა, 2009). იხილეთ ჯ. ვ. შიმანი, *მუშაობს თუ არა წამება?* (ოქსფორდი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016).

8. იხილეთ მაგალითად, დ. სტარი, „აღიარება", მეცნიერება (2019); ბ. ლ. კატლერი, კ. ა. ფინდელი და ტ. ე. მორი, „დაკითხვები და ცრუ აღიარება: ფსიქოლოგიური პერსპექტივა", *კანადის სისხლის სამართლის მიმოხილვა*, ტომი 18, N2 (2014 წლის ივნისი); გ. ლასიეტერი და ც. ა. მეისსნერი, *პოლიციის დაკითხვები და ცრუ აღიარებები: მიმდინარე კვლევა, პრაქტიკა და პოლიტიკის რეკომენდაციები*, (ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაცია, ვაშინგტონი, 2010).

9. ვრიჯი და სხვები "დაკითხვის ფსიქოლოგიური პერსპექტივები" (შენიშვნა 5); ს. ჩ. ჰუკი და ლ. გ. კონვეი, "წამების ეფექტურობის ეთიკური მოკვლევა: ახალი მეთოდოლოგია ფიზიკური ტკივილის გავლენაზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე ექსპერიმენტალური დაკითხვის სცენარებში", *ჟურნალი გამოყენებითი უსაფრთხოების კვლევა*, გამოცემა 10, N4 (2015); მ. ა. კოსტანზო და ე. გერიტი, "წამების, როგორც დაკითხვის ხელსაწყოს გამოყენების ეფექტები და ეფექტურობა: კვლევის გამოყენება პოლიტიკური დებატებისთვის", *სოციალური პრობლემები და პოლიტიკის განხილვა*, გამოცემა 3, N1 დეკემბერი, 2009 წელი).

10. ა. დ. ბიდერმანი, „სოციალურ-ფსიქოლოგიური საჭიროებები და „უნებლიე" ქცევა, როგორც დაკითხვასთან შესაბამისობა", სოციომეტრი, გამოცემა 23, N2 (1960 წლის ივნისი); დ. რეჯალი, *წამება და დემოკრატია* (პრინსტონი, ნიუჯერსი, პრინსტონის უნივერსიტეტის გამოცემა, 2007); ა. მაკკოი, *წამების საკითხი: CIA დაკითხვა ცივი ომიდან ტერორის ომამდე* (ნიუ-იორკი, მეტროპოლიტან წიგნები, 2007).

ზრდის ცრუ აღიარებითი ჩვენების ალბათობას.[11] მუქარა ან ფიზიკური ზიანის მიყენების გამოყენება იწვევს სტრესს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეხსიერებაზე და გამოსაკითხ პირს უჭირს ზუსტი ან სანდო ინფორმაციის გახსენება.[12]

25. კვლევებით დადასტურებულია, რომ წამყვანი ანუ მიმანიშნებელი კითხვები იწვევს გამოკითხული პირის მეხსიერების კონტამინაციას (დაბინძურებას) და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამახინჯებას.[13] ეჭვმიტანილთა შემთხვევაში, ასეთი მიმანიშნებელი და მანიპულაციური მეთოდები ამცირებს მოპოვებული ინფორმაციის სანდოობას, ამასთანავე, ზრდის ცრუ აღიარებებისა და უსაფუძვლო მსჯავრდებების რისკს.[14]

26. როდესაც ინტერვიუერი გამოკითხვას უდგება ჩანაფიქრით, რომ მან მთავარია მიიღოს აღიარება, მაშინ ის დიდი ალბათობით მოექცევა „დადასტურების მიკერძოების" გავლენის ქვეშ და შეეცდება მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტირება მოახდინოს მისი რწმენის დასადასტურებლად. აღნიშნულს ასევე შეუძლია გავლენა იქონიოს ფიზიკური მტკიცებულების ინტერპრეტაციაზე ან სხვა სახის მონაცემების ანალიზზე. პრაქტიკაში, ეს ნიშნავს, რომ მსგავსი ადამიანები, დიდი ალბათობით, იყენებენ მინიშნებით შეკითხვებს გამოკითხვის დროს, ასევე იყენებენ დაშინებას, მანიპულაციას და ზეწოლის ტაქტიკას, რათა დაადასტურონ მათი ჰიპოთეზა ან წინასწარ არსებული რწმენა გამოსაკითხი პირის ჩართულობის ან ბრალეულობის საკითხზე.[15] დადასტურებულია, რომ ასეთი ადრეული ვარაუდები იწვევს უსაფუძვლო მსჯავრდებებს, მცდარ გადაწყვეტილებებსა და რეალურ დამნაშავეთა დაუსჯელობას.[16]

27. ზოგიერთი ადამიანი განსაკუთრებით მოწყვლადია მინიშნებით კითხვებთან მიმართებით. გამოსაკითხი პირის პირადი მახასიათებლები, როგორიც არის ასაკი, ფსიქოსოციალური ან ინტელექტუალური შეზღუდვები, ზრდიან არასანდო ინფორმაციის მიწოდების ან ცრუ აღიარებითი ჩვენების ალბათობას, რაც ნიშნავს, რომ ასეთი ადამიანები უფრო მარტივად ექცევიან გამოკითხვის წნეხის, ცბიერების

11. ც. ა. მეისნერი, ა.დ. რედლიჩი, ს. ვ. მაიკლი, ჯ. რ. ევანსი, ს. რ. ცამილეტი, ს. ბჰატი და ს. ბრადონი, „ბრალდებითი და ინფორმაციის შეგროვების მიზნებისთვის დაკითხვის მეთოდები და მათი გავლენა ნამდვილ და ცრუ აღიარებებზე: მეტა-ანალიტიკური განხილვა", *ექსპერიმენტალური კრიმინალისტიკის ჟურნალი*, გამოცემა 10, N4 (2014); კასინი და სხვები, „პოლიციის მიერ გამოწვეული აღიარებები" (შენიშვნა 5).

12. რ. ს. სტავსკი, მ. ჯ. სლივინსკი და ჯ. მ. სმიტი, „მწვავე ფსიქო-სოციალური სტრესის გავლენა ეპიზოდურ მეხსიერებაზე", *შემეცნებითი ფსიქოლოგიის ევროპული ჟურნალი*, გამოცემა 21, N6 (2009).

13. ე. ფ. ლოფტუსი, "სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება 9/11-ის შემდეგ", *ამერიკელი ფსიქოლოგი*, გამოცემა 66, N6 (2011).

14. ბ. ლ. გარეტტი, „ცრუ ჩვენების გადასინჯვა", *ვირჯინიას კანონის გადასინჯვა*, ტომი 101, N2 (2015 წლის აპრილი); რ. ა. ლეო, „რატომ ხდება აღიარების დაბინძურება", *ოჰაიოს შტატის სისხლის სამართლის ჟურნალი*, გამოცემა 11, N1 (2013).

15. ც. ა. მეისნერი და ს. მ. კასინი, „შენ დამნაშავე ხარ, ამიტომ აღიარე!": შემეცნებითი და ქცევითი აღიარება დაკითხვების ოთახში" *დაკითხვები, აღიარებები და ხაფანგები*, გ. დ. ლასოტერი (კლუერის აკადემიური გამომცემლობა, 2004).

16. ფ. მ. ნარჩეტი, ც. ა. მეისნერი და მ. ბ. რუსანო, „გამომძიებლის მიკერძოების გავლენის მოდელირება ნამდვილი და ცრუ აღიარების განსხვავებისთვის", *სამართალი და ადამიანის ქცევა*, გამოცემა 35, N6 (2011 წლის დეკემბერი); ა. ა. ს. ცუკერმანი, „სამართლის აღუსრულებლობა -საფუძვლებზე რეაგირება", *სისხლის სამართლის განხილვა*, 323 (1992 წლის მაისი); კ. ა. ფინდლი, მ. ს. სკოტი, „სისხლის სამართლის საქმეებში ვიწრო ხედვის სხვადასხვა განზომილებები", *ვისკონსინის სამართლის განხილვა*, ტომი 2 (ივნისი, 2006 წელი).

და მოტყუების გავლენის ქვეშ.[17] ცრუ აღიარებების არქივის ანალიზმა რამდენჯერმე აჩვენა, რომ არასრულწლოვნები და ფსიქოსოციალური ან ინტელექტუალური შეზღუდვების მქონე პირების რაოდენობა მეტად ჭარბობს ცრუ აღიარებებში.[18]

28. არსებობს მცდარი მოსაზრება, რომ არავერბალურ ქცევებზე დაყრდნობით შესაძლებელია სიცრუის ზუსტი იდენტიფიკაცია.[19] ზოგიერთი ადამიანი აცხადებს, რომ სწავლება საშუალებას აძლევს ინტერვიუერს განასხვავოს, სიმართლეს ამბობს თუ არა გამოსაკითხი პირი, რისთვისაც აკვირდება ემოციურ პასუხებს, სხეულის ენას ან ფსიქოლოგიურ რეაქციებს. ეს არ არის სიცრუის სანდო ინდიკატორი.[20] დამატებით, უამრავმა სამეცნიერო კვლევამ დაადგინა, რომ „სიცრუის დეტექტორის" ტექნოლოგიები ზუსტად არ ადგენენ სიცრუეს[21] და გამოყენების შემთხვევაში განაპირობებენ არასწორი გადაწყვეტილების მიღებას და აღუსრულებლობას.[22]

ეფექტური პრაქტიკის კვლევა

29. აქტიური კვლევა ხელს უწყობს ინფორმაციის შეგროვების მიდგომის ეფექტიანობას. თანამშრომლობაზე დაფუძნებული დაშინებისგან თავისუფალი მეთოდები გვთავაზობენ ტექნიკების ეფექტიან ნაკრებს, რომელიც წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული პროფესიონალების მიერ სისხლის სამართლის და სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებისას - მათ შორის, სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების, მსხვერპლების, მოწმეებისა და დაზვერვის წყაროებიდან.

30. თანამშრომლობის დამყარება და შენარჩუნება არის ადაპტაციის უნარი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანებს შორის სამუშაო ურთიერთობის ჩამოყალიბებას და უკეთეს კომუნიკაციას.[23] აღნიშნული მიიღწევა ინტერვიუერის მიერ გამოსაკითხ პირთან ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოყალიბების

17. ა. ვრიჯი, *ტყუილების და სიცრუის აღმოჩენა: ხარვეზები და შესაძლებლობები*, მეორე გამოცემა (დასავლეთ სასექსი, ინგლისი, ჯონ ვილი და შვილები, 2011); ვრიჯი და სხვები „დაკითხვის ფსიქოლოგიური პერსპექტივები" (შენიშვნა 5); გუდჯონსონი, *ცრუ აღიარების ფსიქოლოგია* (შენიშვნა 5).

18. დრიზინი და ლეო „ცრუ აღიარების პრობლემა" (შენიშვნა 7). ს. რ. გროსი, კ. ჯაკობი, დ. ჯ. მათესონი, ნ. მონტგომერი და ს. პატილი, „გათავისუფლებები ამერიკის შეერთებულ შტატებში 1989-2003 წლებში", *სისხლის სამართლისა და კრიმინალისტიკის ჟურნალი*, გამოცემა 95, N2 (2005).

19. იხილეთ, მაგალითად, ფ. ინბაუ, ჯ. ბაკლი და ბ. ჯეინი, *სისხლის სამართლის დაკითხვები და აღიარებები*, მე-5 გამოცემა (ბურლინგტონი, ჯონსი და ბარტლეტის გამომცემლობა, 2011).

20. პ. ა. გრანჰაგი, ა. ვრიჯი და ბ. ვერშუერი, *სიცრუის აღმოჩენა: ახალი გამოწვევები და შემეცნებითი მიდგომები* (ჩიჩესტერი, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, ჯონ ვილი და შვილები, 2015).

21. ჯ. სინოტი, დ. დიეცელი და მ. იოანოუ, „პოლიგრაფის განხილვა: ისტორია, მეთოდოლოგია და მიმდინარე სტატუსი" *დანაშაულის ფსიქოლოგია*, გამოცემა 1, N1 (2015); ე. რუსკონი და ტ. მიჩენერ-ნისენი „მაგნიტო რეზონანსული გამოსახულების ფუნქციურობა ტყუილის აღმოჩენაში", *ადამიანის ნეირომეცნიერების მედროშეები*, გამოცემა 7, N594 (2013 წლის სექტემბერი); ეროვნული კვლევის საბჭო, *პოლიგრაფი და სიცრუის აღმოჩენა* (ვაშინგტონი, ეროვნული აკადემიური პრესა, 2003).

22. დ. ჩურჩი, "ნეირომეცნიერება სასამართლოში: საერთაშორისო პრობლემა", *უილიამის და მერის კანონის განხილვა*, გამოცემა 53, N5 (2012); ჯ. ჰ. მარქსი, „დაკითხვის ნეირო-გამოსახულება ტერორიზმთან ბრძოლაში: არსებობს თუ არა საფრთხე ტვინის ან ადამიანის უფლებებისთვის?", *სამართლისა და მედიცინის ამერიკული ჟურნალი*, გამოცემა 33, N2-3 (2007).

23. ფ. გაბერტი, ლ. ჰოუფი, კ. ლუთერი, გ. რაითი, მ. ნგ და გ. ე. ოქსბური, „თანამშრომლობის გამოყენება პროფესიონალური ინფორმაციის შეგროვების კონტექსტში მტკიცებულების სისტემატური მონიშვნით", *გამოყენებითი შემეცნებითი ფსიქოლოგია* (ნოემბერი, 2020); ა. აბე და ს. ე. ბრანდონი, „თანამშრომლობის როლის გამოკითხვაში: განხილვა", *საგამოძიებო ფსიქოლოგიისა და დამნაშავის პროფილის ჟურნალი*, გამოცემა 10, N3 (2013).

შედეგად.[24] ეს, თავის მხრივ, მოითხოვს გულწრფელი ემპათიის გამოვლენას[25], ასევე, გამოსაკითხი პირის იმაში დარწმუნებას, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნება სამართლიანი მოპყრობა.

31. თანამშრომლობაზე დაფუძნებული ტექნიკები გვთავაზობს გამოსაკითხი პირის ავტონომიას - მას ეძლევა შესაძლებლობა ისაუბროს ან არ ისაუბროს, ხელს უწყობს პროცესის მონაწილეებს შორის დადებითი ურთიერთობის ჩამოყალიბებას[26], რაც ზრდის სწორი ინფორმაციის შეგროვების ალბათობას.[27]

32. თანამშრომლობის ხელშეწყობის გზები მოიცავს ინტერვიუერის მიერ ისეთი ქცევების გამოყენებას, როგორიც არის საერთო საფუძვლების განსაზღვრა ყოველგვარი სიცრუის გარეშე, საერთო ინტერესების, იდენტობის პატივისცემას, ან დამოკიდებულებას და აქტიური მოსმენის უნარების გამოყენებას.[28]

33. ადამიანის მიერ მეხსიერების კოდირების, შენახვის და ამოღების კვლევის მიგნებები მიგვითითებენ გამოკითხვის მეთოდებზე, რომლებიც ეფექტურია როგორც ინფორმაციის დეტალურობის და სიზუსტისთვის, ასევე იმ ფაქტორების შემცირებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ ამ მახასიათებლებზე ზემოქმედება. აქ იგულისხმება ღია, არადირექტიული კითხვების გამოყენება[29] და ადამიანისთვის

24. ლ. ბრიმბალი, ს. მ. კლეინმანი, ს. ოლესზკიევიჩი და ც. ა. მეისნერი, „თანამშრომლობისა და ნდობის ჩამოყალიბება გამოკითხვის კონტექსტში: ემპირიული და ეთიკური ალტერნატივა დაკითხვის პრაქტიკებში" *დაკითხვა და წამება: გამოკითხვის ეფექტურობა კანონითა და მორალით*, ს. ჯ. ბარელა, მ. ფალონი, გ. გაგიოლი, ჯ. დ. ოლინი, (ოქსფორდი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2020).

25. ემპათია მრავალმხრივი ფენომენია, რომელიც შედგება როგორც შემეცნებითი პროცესებით და ემოციური შესაძლებლობებით. აქ საუბარია შესაძლებლობაზე გესმოდეს გამოსაკითხი პირის მდგომარეობა და შეგეძლოს შესაბამისი ემოციების და სტრესის დაფასება. როგორც წესი არის წინასწარი გაცნობიერების ფენომენი და შეიძლება შეიცვალოს ან დაირღვეს. იხილეთ მაგალითად, გ. ე. ოხბურგი და ჯ. ოსტი, „პოლიციის მიერ სექსუალურ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების გამოკითხვისას ემპათიის გამოყენება და ეფექტურობა", *საგამოძიებო ფსიქოლოგიისა და დამნაშავეთა პროფილის ჟურნალის სპეციალური გამოცემა*, გამოცემა 8, N2) 2011 წლის ივნისი); ბ. ბაკერ-ეკსი, რ. ბული და დ. ვალში, „საგამოძიებო ემპათია: ემპათიაზე დაფუძნებული ევროპული პოლიციის პერსპექტივები", *ფსიქიატრია, ფსიქოლოგია და კანონი*, გამოცემა 27, N3 (2020).

26. რ. ბული და ა. რაჩლევი, „საგამოძიებო გამოკითხვა: ინგლისიდან ნორვეგიამდე და სხვაგან" *დაკითხვა და წამება*, ბარელა და სხვები (შენიშვნა 24); ლ. ჯ. ალისონი, გ. ნოონი, ს. ელნითი და პ. ჩრისტიანსენი, „რატომ არ მუშაობს მკაცრი ტაქტიკა და რატომ გვაძლევს შედეგებს თანამშრომლობა: თანამშრომლობაზე დაფუძნებული ინტერპერსონალურ ტექნიკებზე დაკვირვება, რათა მივიღოთ სასარგებლო ინფორმაცია ტერორისტებისგან"; *ფსიქოლოგია, საჯარო პოლიტიკა და კანონი*, გამოცემა 19, NN4 (2013).

27. ს. ე. კელი, ჯ. ს. მილერი და ა. დ. რედლიჩი, „დაკითხვის დინამიკური ხასიათი", *სამართალი და ადამიანის ქცევა*, გამოცემა 40, N3 (2016 წლის ივნისი); ჯ. მ. კეჩაეფერი, ჯ. პ. ვალანო და ნ. შრეიბერ კომპო, „თანამშრომლობის დადებითი შედეგების შემოწმება: როდის და რატომ არის თანამშრომლობა სასარგებლო ზრდასრული მოწმეების მეხსიერებისთვის?" *მეხსიერება*, გამოცემა 22, N8 (2014); უ. ჰომბერგი და კ. მადსენი, „თანამშრომლობის ოპერაციას გამოყენება ადამიანური გამოკითხვის დროს", *ფსიქიატრია, ფსიქოლოგია და კანონი*, გამოცემა 21, N4 (2014).

28. კ. ჯ. დანდო და გ. ე. ოქსბურგი "ემპათია: ემპათიური კომუნიკაციის ტაქსონომია სექსუალურ ძალადობაში ეჭვმიტანილი პირების გამოკითხვისას", *სამართლებრივ კონტექსტში გამოყენებული ფსიქოლოგიის ევროპული ჟურნალი*, გამოცემა 8, N 1 (2016 წლის იანვარი); ალისონი და სხვები „რატომ არ მუშაობს მკაცრი ტაქტიკები" (შენიშვნა 26).

29. დ. ვოლში და რ. ბული „რა არის ნამდვილად ეფექტური ეჭვმიტანილის გამოკითხვისას? გამოკითხვის უნარების შედარება გამოკითხვის შედეგებთან", *სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია*, გამოცემა 15 (2010); მ. ბ. პოველი, რ. პ. ფიშერი და რ. რაითი, „საგამოძიებო გამოკითხვა", *ფსიქოლოგია და კანონი: ემპირიული პერსპექტივა*, ნ. ბრევერი, დ. კიპლინგი და დ. უილიამსი (ნიუ-იორკი, ნიუ-იორკი, გილფორდის გამომცემლობა, 2005).

მოვლენის ან ინფორმაციის თავისუფლად გახსენების შესაძლებლობის მიცემა ჩარევის გარეშე.[30]

34. გამოკითხვა, რომელიც სტრატეგიულად არის დაგეგმილი, ორიენტირებულია გამოკითხვის საკვანძო საკითხებზე. ეს ტექნიკა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ შეესაბამება თუ არა შეგროვებული ინფორმაცია ადრე მიღებულს.[31]

35. სიღრმისეული კვლევა გვიჩვენებს, რომ თანამშრომლობაზე დაფუძნებული და დაშინებისგან თავისუფალი გამოკითხვა:

    ა. ხელს უწყობს მხარეებს შორის კომუნიკაციას;
    ბ. აძლიერებს მეხსიერებას;
    გ. ზრდის მიღებული ინფორმაციის სიზუსტესა და სანდოობას;
    დ. შესაძლებელს ხდის ინფორმაციის სანდოობის გადამოწმებას;
    ე. ზრდის ინფორმაციის მრავალფეროვნების ალბათობას;
    ვ. ამცირებს ცრუ ინფორმაციის მიწოდების ან ცრუ აღიარებითი ჩვენების ალბათობას.

სამართლებრივი საფუძვლები

36. ფუნდამენტური სამართლებრივი სტანდარტები საფუძვლად უდევს პრინციპებს და მყარად არის დანერგილი საერთაშორისო სამართალში. ეს სტანდარტები გამომდინარეობს იმპერატიული ნორმებიდან, საერთაშორისო სამართლიდან, სახელშეკრულებო ვალდებულებებიდან და საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული სამართლებრივი სისტემებიდან. ხსენებული სტანდარტები ვრცელდება ყველა სამართლებრივ სისტემაზე და შესაძლებელს ხდის ადგილობრივ დონეზე მრავალფეროვანი სამართლებრივი პროცედურების გათვალისწინებით დანერგვას.

37. ეფექტური გამოკითხვა ეფუძნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და სტანდარტებს.[32] ქვემოთ მოცემული სამართლებრივი ნორმები უმნიშვნელოვანესია ამ პრინციპებში დეტალურად გაწერილი გამოკითხვის ჩარჩოს ეფექტური, პრაქტიკული იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად:

30. რ. პ. ფიშერი და რ. ე. გეისელმანი, *მეხსიერების გაძლიერების ტექნიკა საგამოძიებო გამოკითხვებისთვის: შემეცნებითი გამოკითხვა* (სპრინგფილდი, ილინოისი, ჩარლზ ს. ტომასი, გამომცემლობა, 1992); რ. პაულო, პ. ალბუკერკე, ფ. ვიტორინო და რ. ბული, „შემეცნებითი გამოკითხვის გაძლიერება მოწმის შესაბამისი ალტერნატიული პროცედურების გამოყენებით: კლასტერული გახსენება“, *ფსიქოლოგია დანაშაული და კანონი*, გამოცემა 23, N10 (2017); ა. მემონი, კ. ა. მეისერი და ჯ. ფრასერი, „შემეცნებითი გამოკითხვა: მეტა-ანალიტიკური განხილვა და ბოლო 25 წლის კვლევა“, *ფსიქოლოგია, სასჯარო პოლიტიკა და კანონი*, გამოცემა 16, N4 (2010).

31. გ. ნაჰარი და ა. ვრიჯი, „გადამოწმებადი მიდგომა: უპირატესობები, გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები“, სამართლის და საგამოძიებო ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო; რ. ბული და ლ. ბლანდონ-გიტლინი (ნიუ-იორკი, ნიუ-იორკის შტატი, როტლეჯი, 2019); პ. ა. გრანჰაგი და მ. ჰარტვიგი, „მტკიცებულების ტექნიკის სტრატეგიული გამოყენება“, გრანჰაგი, ვრიჯი და ვერშუერი, *მოტყუებით აღმოჩენა* (შენიშვნა 20); ს. ოლესზკიევიჩი და ს. ჯ. ვატსონი, „ეჭვმიტანილების დაკითხვის დროს მტკიცებულების გამოჩენის დროულობის მეტა-ანალიტიკური განხილვა“, გამოყენებით შემეცნებითი ფსიქოლოგია, გამოცემა 35, N2 (2020).

32. კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR), გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 217 A (III), 10 დეკემბერი, 1948 წელი; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმება (ICCPR), გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 2200 A (XXI), 16 დეკემბერი, 1966 წელი.

ა. წამების და სხვა სახის არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა (ჰუმანური მოპყრობის უფლება);
ბ. თვითნებური დაკავების და დაპატიმრების აკრძალვა (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება);
გ. უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება;
დ. დუმილისა და საკუთარი თავისთვის არახელსაყრელი ჩვენების მიცემისგან დაცვის უფლება;
ე. სამართლიანი სასამართლოს უფლება;
ვ. დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება.

38. წამების აკრძალვა არის უპირატესი, სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსთვის და ვრცელდება ყველა გარემოებაზე.[33] გამოკითხვის დროს დაშინების მეთოდების ან სხვა მოქმედებების გამოყენება, რომლებიც მიმართულია ადამიანის დამცირების, შიშის აღძვრის, ინფორმაციის მიღების ან იძულებითი აღიარებისკენ, ან მოქმედება, რომელიც სხვაგვარად აზიანებს მოპასუხის შესაძლებლობას ან გადაწყვეტილების მიღების უნარს, წარმოადგენს წამებას ან არაადამიანური მოპყრობის სხვა ფორმას.[34]

39. დასაშვებობის გამორიცხვის წესი, რომელიც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმაა, თანმდევია წამებისა და სხვა სახის არაადამიანური მოპყორობის აკრძალვისა. ეს წესი მოითხოვს, რომ ნებისმიერი ინფორმაცია ან განცხადება, მათ შორის, ბრალის აღიარება, რომელიც მიღებულია წამების ან სხვა ფორმით არაადამიანური მოპყრობის საფუძველზე, არ უნდა იქნეს დაშვებული სამართალწარმოებისთვის (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსგავსი ქმედების ბრალდება წარდგენილი აქვთ ასეთ მოქმედებაში ეჭვმიტანილ პირებს და ინფორმაცია ან განცხადება გამოყენებულია როგორც მტკიცებულება).[35]

40. საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს ქვემოთ ჩამოთვლილ პროგრესულად განვითარებად, კონკრეტულ სტანდარტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანების წამების ან სხვა ფორმის არაადამიანური მოპყრობისგან დაცვას, ან სხვა აკრძალული პრაქტიკების გამოყენებას, როგორიც არის იძულებითი გაუჩინარება და სხვა სადამსჯელო ზომების გამოყენება:

ა. ძალის გამოყენება დაკავების, აყვანის და დაპატიმრების დროს ნებადართულია მხოლოდ გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში და მხოლოდ მაშინ, თუ სხვა ზომები არაეფექტურია ან თუ მათი გამოყენებით

33. მუხლი 7, ICCPR; მუხლი 2, გაერთიანებული ერების კონვენცია წამების და სხვა არაადამიანური, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ (UNCAT); მუხლი 3, ჟენევის კონვენცია, 1949.

34. UNCAT, მუხლი 16; A/71/298, პარაგრაფი 44 (შენიშვნა 3); იხილეთ მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECTHR), სელმონი საფრანგეთის წინააღმდეგ, N25803/94, გადაწყვეტილება, 28 ივლისი, 1999 წელი; პარაგრაფი 102-105.

35. UNCAT მუხლი 15; ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N20, მუხლი 7, წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა, HRO/GEN/1/REV9 (ტომი 1), 1992 წლის 10 მარტი, პარაგრაფი 12; A/HRC/25/60, წამების შესახებ სპეციალური რეპორტიორის ანგარიში, 2014 წლის აპრილი; იხილეთ ასევე CAT/C/GC/2, წამების წინააღმდეგ კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N2, წევრი სახელმწიფოების მიერ მე-2 მუხლის დანერგვა, 24 იანვარი, 2008 წელი; პარაგრაფი 6; იხილეთ ასევე CAT/C/30/D/219/2002, პარაგრაფი 6.10.

ვერ ხდება დასახული მიზნის მიღწევა. მოქმედება უნდა იყოს კანონიერი, პროპორციული, ეფუძნებოდეს ლეგიტიმურ მიზნებს და დაცული იქნეს სიცოცხლის უფლება.[36]

ბ. ნაკლებად ლეტალური იარაღების გამოყენება უნდა მოხდეს ვითარების ყურადღებით შერჩევის და კონტროლის საფუძველზე. ცეცხლსასროლი იარაღების გამოყენება დაუშვებელია გარდა გადაუდებელი საჭიროების და ლეგიტიმური მიზნებისა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად სახიფათო საშუალებები არაეფექტურია დადგენილი მიზნების მისაღწევად.[37]

გ. დასჯა და ისეთი მოწყობილობების გამოყენება როგორიც არის ჯაჭვები, ფეხის ბორკილები და ელექტროშოკური ქამრები უკავშირდება ტკივილს და/ან პირის დამცირებას. შესაბამისად, მათი გამოყენება აკრძალულია.[38]

დ. შეკავების ხელსაწყოები და ტექნიკები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. გამოყენება ნებადართულია მხოლოდ ინდივიდუალური რისკების შეფასების საფუძველზე და ისე, რომ ნაკლები ზიანის მიყენებით მოხდეს უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნების მიღწევა. მათი გამოყენება უნდა რეგულირდებოდეს კანონით და ხდებოდეს მათი აღრიცხვა. მათი, როგორც დასჯის მეთოდის, გამოყენება დაუშვებელია და შეკავების მექანიზმები უნდა მოიხსნას დაუყოვნებლივ, როდესაც აღარ არსებობს გამოყენების საჭიროება.[39]

ე. აუცილებელია ოფიციალური ჩანაწერებისა და რეესტრის სისტემური შემოწმება და წარმოება ყველა იმ პირისთვის, რომელსაც შეეზღუდება თავისუფლება.[40]

ვ. განმარტოებით საკანში მოთავსება უნდა მოხდეს კანონის მკაცრი დაცვით. მისი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მხოლოდ მცირე დროით და კომპეტენტური უწყების ნებართვის საფუძველზე. მისი გამოყენება არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს და აკრძალულია გამოყენება ფსიქოსოციალური აშლილობების მქონე პირების, ბავშვების, ორსულების ან მეძუძური დედების შემთხვევაში.[41]

36. მუხლი 2, ICCPR; სამართალდამცავების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საბაზისო პრინციპები (საბაზისო პრინციპები), 1990; A/RES/34/169, სამართალდამცავების ქცევის კოდექსი, დეკემბერი, 1970 წელი; წესი 82 A/RES/70/175, გაერთიანებული ერების სტანდარტები- პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური წესები, (ნელსონ მანდელას წესები); A/HRC/RES/46/15, ადამიანის უფლებათა საბჭოს დადგენილება, 23 მარტი, 2021 წელი, პარაგრაფი 14; ასევე იხილეთ E/CN4/2004/56, წამების შესახებ სპეციალური რეპორტიორის ანგარიში, 2003, პარაგრაფი 44,

37. საბაზისო პრინციპები, 1990; A/HRC/46/15, პარაგრაფი 12; ასევე იხილეთ CCPR/C/GC/36, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N36; მუხლი 6, სიცოცხლის უფლება, 3 სექტემბერი, 2019, პარაგრაფი 14.

38. წესები 43 და 47, ნელსონ მანდელას წესები; წესი 67 A/RES/45/113, გაერთიანებული ერების წესები თავისუფლება აღკვეთილი არასრულწლოვანების დაცვა (ჰავანას წესები), 14 დეკემბერი, 1990.

39. წესები 47 და 48, ნელსონ მანდელას წესები; A/RES/43/173, პრინციპები ნებისმიერი ფორმით დაკავების ან პატიმრობაში მყოფი პირების დაცვისთვის (სახელმძღვანელო პრინციპები), 9 დეკემბერი, 1998.

40. მუხლი 17(3) საერთაშორისო კონვენცია ყველა იძულებით გაუჩინარებული პირის დაცვის შესახებ (იძულებით გაუჩინარების შესახებ კონვენცია), 2007; A/HRC/RES/31/31. ადამიანის უფლებათა საბჭოს გადაწყვეტილება, 24 მარტი, 2016 წელი, პარაგრაფი 9.

41. წესები 37, 43, 44 და 45, ნელსონ მანდელას წესები; ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N20, პარაგრაფი 6; A/66/268, წამების შესახებ სპეციალური რეპორტიორის ანგარიში, 2011; წესი 22, A/C3/65L.5, გაერთიანებული ერების წესები ქალ პატიმრებთან მოპყრობის და ქალი პატიმრებისთვის დადგენილი ზომების შესახებ (ბანკოკის წესები), 6 ოქტომბერი, 2010 წელი; წესი 67, ჰავანას წესები.

ზ. დისციპლინური სანქციები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ღირსების მოთხოვნებს, უნდა იყოს კანონიერი და პროპორციული, განხორციელდეს პროცედურული მოთხოვნების დაცვით და უნდა აღირიცხოს შესაბამისად.[42]

41. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და უსაფრთხოების უფლება ფუნდამენტურ როლს ასრულებს ყველა ადამიანის ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის დაცვაში. თავისუფლების უფლება მოითხოვს, რომ არცერთი ადამიანი არ დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას ან დაპატიმრებას. ისეთი პრაქტიკები როგორებიც არის იძულებითი გაუჩინარება, საიდუმლო დაკავება და ხანგრძლივი დროით დაკავება გარე სამყაროსთან კომუნიკაციის უფლების სრული შეზღუდვით, საერთაშორისო სამართლის მიზნებისთვის წარმოადგენს თვითნებურ და აბსოლუტურად აკრძალულ მოქმედებას.[43]

42. პირები, რომლებიც დაკავებულნი არიან, როგორც ეჭვმიტანილები ან ბრალდებულები, ხშირად ხდებიან თავისუფლების არაკანონიერი შეზღუდვის მსხვერპლი. შესაბამისმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთ პირებთან მოპყრობა მოხდეს ჰუმანური ფორმით და მათ მიეცეთ დაკავებისთვის განსაზღვრული მოპყრობა და პირობები საერთაშორისო სამართლის სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, გაერთიანებული ერების პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტების („ნელსონ მანდელას წესები") გათვალისწინებით.[44]

43. ნებისმიერი დაკავება დაპატიმრება ან თავისუფლების შეზღუდვა უნდა იყოს კანონიერი და განხორციელდეს იმ საფუძვლებისა და პროცედურების გათვალისწინებით, რომლებიც მკაფიოდ არის განსაზღვრული კანონმდებლობაში და შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართალთან. დაკავების და თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი შემთხვევა უნდა იყოს აუცილებელი, პროპორციული და უკანასკნელი მექანიზმი. გამოკითხვის ჩატარება ან გამოძიების გაგრძელება ცალკე აღებული არ წარმოადგენს საკმარის სამართლებრივ საფუძველს პოლიციის ან სასამართლო უწყების მიერ ადამიანის თავისუფლების აღკვეთისთვის.[45]

44. ნებისმიერი გადაწყვეტილება პირის დაკავების და დაპატიმრების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს პირთან დაკავშირებული პრაქტიკული გარემოებების შეფასებას და ნებისმიერ დასაბუთებულ და არსებით მიზეზს, რომ პირი შეიძლება მიიმალოს, გაანადგუროს მტკიცებულება, გავლენა მოახდინოს მოწმეზე, ან ჩაიდინოს ახალი დანაშაული. შესაბამისმა უწყებებმა უნდა გაითვალისწინონ შესაძლებელია თუ არა იდენტიფიცირებული რისკების შერბილება დაკავების ალტერნატიული მეთოდების გამოყენებით. ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის გათავისუფლება უნდა იყოს აუცილებელი, პროპორციული და არადისკრიმინაციული და ასეთი ზომა მიმართული უნდა იყოს კონკრეტული რისკების აცილებისკენ, როგორიც არის სასამართლოზე ან გამოკითხვაზე გამოცხადების გარანტია.

42. წესი 36 და 37, ნელსონ მანდელას წესები, პრინციპი 30, სახელმძღვანელო პრინციპები.

43. მუხლი 9(1) ICCPR; მუხლი 17, იძულებით გაუჩინარების კონვენცია; მუხლი 37 (b), ბავშვთა უფლებების კონვენცია (CRC), 20 ნოემბერი, 1989 წელი.

44. ნელსონ მანდელას წესები; A/HRC/RES/46/15, პარაგრაფი 6.

45. მუხლი 9(1), ICCPR, მუხლი 17, იძულებით გაუჩინარების კონვენცია.

შესაძლებელია გამოყენებული იქნეს გათავისუფლების პირობები, როგორიც არის მაგალითად გირაო, მაგრამ ეს უნდა იყოს ნაკლებად შემზღუდავი ზომა, რომელიც უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული რისკების შემსუბუქებას. ასევე, აუცილებელია, რომ გირაოს გამოყენება არ იყოს დისკრიმინაციული.[46]

45. უდანაშაულობის პრეზუმფცია გვეუბნება, რომ ეჭვმიტანილები ან ბრალდებულები მიიჩნევიან უდანაშაულოდ, ვიდრე სასამართლო არ დაადგენს მათ ბრალეულობას. ეს ნიშნავს, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა ბრალეულობის დამტკიცების ვალდებულება აკისრიათ პროკურატურის სამსახურებს და აუცილებელია სასამართლოს წარუდგინონ დანაშაულის უტყუარი მტკიცებულება.[47] პრაქტიკაში დამკვიდრებული სამართლებრივი პრინციპების გამოყენებით მოქმედებისას, ინტერვიუერი ზრდის იმის ალბათობას, რომ შეგროვებული ინფორმაცია არის სანდო, ზუსტი და ხელმისაწვდომი კანონიერი და რეალური მტკიცებულება სამართალწარმოებისთვის.

46. უდანაშაულობის პრეზუმფციით გათვალისწინებულია დუმილის უფლების და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან თავის შეკავების უფლება. ეს უფლება არის გარანტია იმისა, რომ შესაბამისი უწყებების მიერ გამოკითხვისას ადამიანს უფლება აქვს უარი თქვას კომენტარის გაკეთებაზე ან პასუხის გაცემაზე, რათა არ ისაუბროს საკუთარი თავის წინააღმდეგ, ან რაიმე სხვა მიზეზით. ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიერ დუმილის უფლების გამოყენება გავლენას არ ახდენს მისი ბრალეულობის ან უდანაშაულობის დადგენაზე სასამართლოში და ამან არ უნდა იმოქმედოს ადამიანის მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლების დაცვაზე.[48]

47. შესაბამისმა სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უკლებლივ ყველა გამოსაკითხ პირს დისკრიმინაციის გარეშე მიეცეს ადამიანის უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა.[49] დისკრიმინაციისგან დაცვის ეფექტური დანერგვა უზრუნველყოფს, რომ ყველა გამოსაკითხი პირი თანაბარი იყოს კანონის წინაშე და ყველას მოექცნენ პატივისცემით, ასევე, კონკრეტულ სიტუაციაში მათი მოწყვლადობის და დაცვის საჭიროების გათვალისწინებით.

48. ამ თავში განხილული ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპები ასევე საფუძვლად უდევს საკვანძო სამართლებრივი და პროცედურული დაცვის

46. A/RES/45/110. გაერთიანებული ერების სტანდარტი არასაპატიმრო ზომების მინიმალური წესების შესახებ (ტოკიოს წესები), 2 აპრილი, 1991 წელი; იხილეთ ასევე სახელმძღვანელო 4 UNHCR, თავშესაფრის მაძიებლების დაკავებასთან დაკავშირებული კრიტერიუმები და სტანდარტები და დაკავების ალტერნატივები, 2012; გვერდები 17-24, UNODC სახელმძღვანელო პატიმრობის ალტერნატივების საბაზისო პრინციპები და დაპირების პრაქტიკა, 2007.

47. მუხლი 14(3), ICCPR; CCPR/C/GC/32, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N32; მუხლი 14; თანასწორობის უფლება სასამართლოსა და ტრიბუნალის წინ და სამართლიანი სასამართლოს უფლება, 23 აგვისტო, 2007 წელი; პარაგრაფი 30.

48. მუხლი 692) და 14(3), ICCPR14(3); მუხლი 55(2)(b), რომის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდება, 17 ივლისი, 1998 წელი; ნელსონ მანდელას წესები, წესი 111; სახელმძღვანელო პრინციპების პრინციპები 15 და 24; ასევე იხილეთ ECTHR, ჯონ მიურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, N18731/91, გადაწყვეტილება, 1996, პარაგრაფი 45.

49. მუხლი 2(1), ICCPR; ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N18: დისკრიმინაციაზე უარის თქმა, მიღებული ოცდამეჩვიდმეტე სესიის ფარგლებში, 10 ნოემბერი, 1989 წელი.

მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია არაადამიანური მოპყრობის და ჩაგვრის სხვა პრაქტიკების წინააღმდეგ. აღნიშნული დაცვის მექანიზმები წარმოადგენენ გამოკითხვის ყოვლისმომცველი პროცესის განუყოფელ ნაწილს. ეფექტური დანერგვის შემთხვევაში, ისინი იცავენ ადამიანის უფლებებს[50] და უზრუნველყოფენ გამოკითხვის დროს მიღებული ინფორმაციის მთლიანობას.

პროფესიული ეთიკის საფუძვლები

49. ეფექტიანმა ინტერვიუერმა უნდა დაიცვას უმაღლესი ეთიკური სტანდარტები. პროფესიული რეგულაციები კანონის დანერგვის და სხვა ინფორმაციის შეგროვებისთვის, როგორიც არის ეთიკის კოდექსი ან პროფესიული ქცევის კოდექსი, განსაზღვრავს მიზნებს, ღირებულებებსა და ქცევით მოლოდინებს.[51] პროფესიული სტანდარტები უნდა მართავდნენ ოფიციალური ვალდებულებების შესრულების ყველა ასპექტს, მათ შორის, გამოკითხვის ჩატარებას საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების დაცვით.

50. ეთიკური გამოკითხვების ჩატარების ვალდებულება უნდა მოქმედებდეს ნებისმიერი ინტერვიუერის ქცევაზე. მათ არ უნდა შესწირონ პრინციპები მიზანშეწონილობას, მაშინაც კი, როდესაც არსებობს დიდი ზეწოლა საწინააღმდეგო ქმედებაზე (მაგალითად, დროის შეზღუდვის ან შედეგების მოთხოვნის გამო). ძალის გამოყენების პირობებში, როდესაც ხდება კანონის შესაბამისად მოქმედება, ინტერვიუერის მიზანი უნდა იყოს სანდო დასაყრდენი შედეგების მიღწევა, რომლებიც გაუძლებენ ეთიკურ, სამართლებრივ და საჯარო განხილვას.

51. პროფესიული ეთიკის კოდექსი სამართალდამცავი სამსახურების თანამშრომლებისთვის ხაზს უსვამს პატივისცემის, სამართლიანობისა და გულწრფელობის მნიშვნელობას:

    ა. პატივისცემა მოიცავს კანონის, უფლებებისა და ადამიანი ღირსების პატივისცემას, ასევე, ინფორმაციის შეგროვების პროცესის კეთილსინდისიერად წარმართვას. აქვე იგულისხმება ინდივიდუალური პირის ავტონომიის პატივისცემა, მათ შორის, ყველა გამოსაკითხ პირს აქვს უფლება თავად აირჩიოს ისაუბრებს თუ არა.
    ბ. სამართლიანობა ნიშნავს, რომ ინტერვიუერები გამოსაკითხ პირს ექცევიან სამართლიანად, ფავორიტიზმის ან დისკრიმინაციის გარეშე. სამართლიანობა ნიშნავს მოქმედებას საკუთარი თავის კონტროლით და პროფესიონალურად, ნებისმიერ დროს, მაშინაც კი, როდესაც ადგილი

50. A/HRC/RES/31/31; დამატებით იხილეთ რ. კრავერი და ლ. ჰანდლი, *მუშაობს თუ არა წამების პრევენცია?* (ლივერპული, დიდი ბრიტანეთი, ლივერპულის უნივერსიტეტის პრესა, 2016).

51. იხილეთ მაგალითად, A/RES/34/169; პოლიციის უფროსების საერთაშორისო ასოციაცია (IACP), სამართალდამცავთა ეთიკის კოდექსი, ოქტომბერი, 1957 წელი; სამხრეთ აფრიკის რეგიონალური პოლიციის უფროსების თანამშრომლობის ორგანიზაცია (SARPCCO), ჰარარეს რეზოლუცია SARPCCO-ზე, პოლიციის ოფიცრების ქცევის კოდექსი, 31 აგვისტო, 2001 წელი; ჩანაწერი (2001)10, ევროპული პოლიციის ქცევის კოდექსი, ევროპის საბჭო, 19 სექტემბერი, 2001 წელი.

აქვს პროვოკაციას და აუცილებელია პირადი შეხედულებების გვერდზე გადადება.

გ. გულწრფელობა ნიშნავს პირდაპირ და სანდომიან დამოკიდებულებას. ინტერვიუერმა არ უნდა მოახდინოს გამოსაკითხი პირით მანიპულაცია ან მისი შეცდომაში შეყვანა, მოტყუება, არ უნდა გააკეთოს გადაჭარბებული განცხადებები, არ უნდა გაუზიაროს მხოლოდ სიმართლის ნაწილი, ან სხვაგვარად შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს გამოსაკითხი პირი.

52. თანამდებობის პირებს ნებისმიერ დროს მოეთხოვებათ სახელმწიფო ძალაუფლების კანონიერად, სამართლიანად და პასუხისმგებლობით გამოყენება. ნებისმიერი უკანონო მოქმედება, რომელიც ჩადენილია თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, მიიჩნევა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად. არაეთიკური ქმედებები, როგორიც არის ტყუილი და მანიპულაცია, ასევე წარმოადგენს უფლებამოსილების გადაჭარბებას.

53. ინტერვიუერებს აკისრიათ ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება, რათა გამოიყენონ ყველაზე ეფექტური, ხელმისაწვდომი მეთოდები გამოსაკითხი პირის უფლებებისა და ღირსების დასაცავად, ასევე, პროცესის მთლიანობის შესანარჩუნებლად. ინტერვიუერებს აკისრიათ ვალდებულება უარი თქვან იძულების ტაქტიკებზე, რადგან ეს შესაძლოა საზიანო იყოს გამოსაკითხი პირისთვის და ხელი შეუშალოს ზუსტი ინფორმაციის მიღებას და გამოიწვიოს ადამიანის უფლებების დარღვევა.

◂ პრინციპი 2 ▸ პრაქტიკა

ეფექტური გამოკითხვა არის კომპლექსური პროცესი, რომელიც მოიცავს ზუსტი და სანდო ინფორმაციის შეგროვებას და პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი უსაფრთხოების ზომების დანერგვას.

ყოვლისმომცველი პროცესი

54. ეფექტური გამოკითხვა წარმოადგენს მიმდინარე პროცესს და არ არის განცალკევებული მოვლენა. ის მოიცავს საგამოძიებო და ინფორმაციის შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყებების მიერ გამოსაკითხ პირთან კომუნიკაციის სრულ პროცესს. ეს პროცესი იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირი იდენტიფიცირდება როგორც სუბიექტი, რომლისგანაც ოფიციალურ პირს სურს ინფორმაციის მოპოვება, გრძელდება უშუალოდ გამოკითხვის ჩატარებისას და სრულდება მას შემდეგ, რაც ინტერვიუერი განახორციელებს პროცესის შეფასებას და შედეგების ანალიზს. გამოკითხული პირის მოპყრობა მთელი პროცესის განმავლობაში, ნებისმიერი გამოკითხვის ჩატარებამდე, მისი მიმდინარეობისას და შემდეგ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროცესის მთლიანობისათვის.

55. გამოკითხვა არის კომპლექსური, ადაპტაციური პროცესი, რომელიც აერთიანებს ადამიანებს, ადამიანთა ქცევებსა და ადამიანთა უფლებებს. პროცესზე გავლენას ახდენს გარემო პირობები და შედეგებზე ზემოქმედება შესაძლოა მოახდინოს ინტერვიუერის და ყველა უწყების წარმომადგენლის მოქმედებებმა. შედეგად, ინტერვიუერი ორიენტირებულია ინფორმაციის მოგროვებაზე და არა აღიარების მიღებაზე, ასევე, ის ინარჩუნებს მოქნილობას და არ იყენებს სწორხაზოვან მიდგომას სანდო და ზუსტი ინფორმაციის მისაღებად. ამასთან, ყოველი გამოკითხვა განსხვავებულია, შესაბამისად, საჭიროა საუკეთესო პროფესიონალური განსჯის გამოყენება და გადაწყვეტილების მიღება თუ როგორ უნდა გაგრძელდეს პროცესი მოცემული პრინციპების გათვალისწინებით.

56. გამოკითხვის პროცესი დამოუკიდებელ მოვლენას არ წარმოადგენს, არამედ წარმოადგენს ფართო საგამოძიებო ან ინფორმაციის შეგროვების პროცესის ნაწილს.

გამოკითხვა ხდება ოპერაციის ზოგადი ამოცანების გათვალისწინებით და სხვა ხელმისაწვდომ მტკიცებულებაზე დაყრდნობით. გამოკითხვის დროს ინფორმაციის შეგროვებისას შესაძლებელია შეიცვალოს ზოგადი საგამოძიებო მიზნები და სტრატეგიები, შესაძლოა დამატებით გაჩნდეს კითხვებიც. ინფორმაციის მიღება გამოკითხვის დროს შესაძლოა იყოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რადგან შეიძლება საფუძვლად დაედოს მიღებულ გადაწყვეტილებებს, როგორიც არის პირის დასჯა ან გათავისუფლება და შესაძლოა გამოყენებული იქნეს როგორც მნიშვნელოვანი მტკიცებულება სამართლებრივ ან სხვა საქმის წარმოებაში.

57. ეფექტური გამოკითხვის პროცესი როგორც წესი მოიცავს შემდეგს:

   ა. ზედმიწევნით მომზადება და დაგეგმვა;
   ბ. შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გამოყენება;
   გ. წინასწარ განწყობასა და მიკერძოებაზე უარის თქმა;
   დ. ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნა;
   ე. თანამშრომლობის დამყარება და შენარჩუნება;
   ვ. კანონიერი და მეცნიერულად დადასტურებული გამოკითხვის მეთოდების გამოყენება;
   ზ. აქტიური მოსმენა და გამოსაკითხი პირისთვის დახმარება თავისუფლად საუბრისთვის;
   თ. შეგროვებული ინფორმაციის და გამოკითხვის პროცესის შეფასება და ანალიზი.

ზუსტი და სანდო ინფორმაცია

58. ყოველი გამოკითხვის მიზანი არის ზუსტი და სანდო ინფორმაციის მოპოვება. გამოკითხვის მიზანს არასდროს არ უნდა წარმოადგენდეს ინტერვიუერის ვარაუდის დადასტურება იმაზე, თუ რა მოხდა, ან ინფორმაციის მიღების მიზნით დაშინების გამოყენება. სანდო და ზუსტი ინფორმაცია წარმოადგენს შესაბამისი უწყებების მიერ მყარი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს გამოძიებებისა და ინფორმაციის შეგროვების პროცესში.

59. გამოკითხვის დროს ზუსტი ინფორმაციის მიღება ნიშნავს, რომ ინტერვიუერი ცდილობს მიიღოს მოვლენათა აღწერილობა, რომელიც თავისუფალია ნებისმიერი შესაძლო გადაცდომის ან ხარვეზისგან. ადამიანის მეხსიერება შეიძლება იყოს არასტაბილური, არაზუსტი, არასრული და შესაძლოა სწრაფად გაქრეს გარკვეული მოგონებები. შესაბამისად, ინტერვიუერის მიზანია გარკვეული მოვლენის შესახებ მიიღოს და დააფიქსიროს ნებისმიერი ინფორმაცია ისეთი სახით, რომ იგი იყოს ფაქტებზე დაფუძნებული და შესაძლებლობის ფარგლებში სრული.

60. გამოკითხვის დროს სანდო ინფორმაციის მიღება, რომელიც მიღებულია დაშინების გარეშე თავისუფალ გარემოში, ნიშნავს, რომ ასეთი ინფორმაცია იქნება მეტად სანდო და გაუძლებს შემოწმებას, მაგალითად სამართალწარმოების პროცესში.

სამართლებრივი დაცვის ზომები

61. სამართლებრივი და პროცედურული დაცვის ზომები გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში და გამოკითხვის პროცესის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნაწილს წარმადგენენ. მათი ეფექტური დანერგვა გამოკითხვის დაწყებამდე, მიმდინარეობის დროს და დასრულების შემდეგ ხელს უწყობს პროცესის ეფექტურობას უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას და აძლიერებს მიღებული ინფორმაციის სანდოობას და მტკიცებულებით ღირებულებას. ასევე იზრდება პროფესიონალური, ეფექტური გამოკითხვის და სამართლიანი მოპყრობის პრინციპების დაცვის ალბათობაც როგორც ინფორმაციის შეგროვების, ასევე სამართლებრივი პროცესების დროს. შესაბამისად, სწორედ უწყების, მათ შორის, ინტერვიუერის ინტერესებშია იმის უზრუნველყოფა, რომ გამოსაკითხ პირს მოეპყრონ ღირსეულად და პატივისცემით, სამართლებრივი სტანდარტების გათვალისწინებით, რადგან ასეთი მიდგომა განაპირობებს სამართლებრივად მდგრადი შედეგების მიღწევას.

62. გამოკითხვის მიმდინარეობისას უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ქვემოთ ჩამოთვლილი უსაფრთხოების ზომების ეფექტური დანერგვა:[52]

   ა. უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;
   ბ. დუმილის უფლება;
   გ. დაკავებასთან და დაკავების მომენტისთვის არსებულ ნებისმიერ ბრალდებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების უფლება;
   დ. თარგმანის ხელმისაწვდომობა;
   ე. დაკავების შესახებ ნათესავის ან მესამე მხარის ინფორმირების უფლება;
   ვ. ადვოკატის, მათ შორის, იურიდიული დახმარების მიღების უფლება;
   ზ. ექიმის და დამოუკიდებელი სამედიცინო შემოწმების ხელმისაწვდომობის უფლება;
   თ. გარე სამყაროსთან კონტაქტის დამყარების უფლება;
   ი. დაკავებული პირების რეგისტრაცია;
   კ. გამოკითხვის სრული ჩანაწერი;
   ლ. გამოკითხვის ოქმის გაცნობის და ხელმოწერის უფლება;
   მ. მოსამართლის ან სხვა სამართლებრივი უწყების წინაშე დროულად წარდგომის უფლება;
   ნ. ეფექტური და დამოკიდებელი საჩივრების მექანიზმებისა და ზედამხედველობის ხელმისაწვდომობა.

52. A/HRC/RES/31/31; A/HRC/RES46/15, პარაგრაფი 4 და 5.

გამოკითხვამდე - არაძალადობრივი გარემოს უზრუნველყოფა

63. ადამიანის უფლებების პატივისცემა და აღსრულება გამოსაკითხ პირთან პირველივე კომუნიკაციის მომენტიდან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად. ეს სამართალდამცავ, სადაზვერვო, უსაფრთხოების ან სამხედრო თანამდებობის პირებს საშუალებას აძლევს შექმნან პირობები ზუსტი და სანდო ინფორმაციის შეგროვების, სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და გამოსაკითხი პირის უფლებების დაცვისთვის.

64. უკანონო და არაპროფესიონალურმა ქცევამ, ასევე, კომუნიკაციის საწყის ეტაპზე ანგარიშვალდებულების ნაკლებობამ შესაძლოა, სამართლებრივი პროცესი შეუქცევადად დააზიანოს.

65. სტერეოტიპებსა და წინასწარგანწყობას შეუძლია შეაფერხოს გამოკითხვა და ხელი შეუშალოს ღია, თანამშრომლობაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებას, რაც აუცილებელია სანდო ინფორმაციის მისაღებად. ინტერვიუერმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება, რათა არ მოხდეს გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი წინასწარი განსჯის გამოყენება გამოსაკითხი პირის იდენტობის, მისი მახასიათებლების ან წარმომავლობის შესახებ, რათა ამან გავლენა არ მოახდინოს მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციაზე.

66. გასაუბრების დროს არ უნდა გამოიყენებოდეს არაფორმალური საუბარი[53], რომელიც საფრთხეს უქმნის ოფიციალური გამოკითხვის ან შესაბამისი უსაფრთხოების ზომების განხორციელებას. როდესაც მიიღება გადაწყვეტილება დაკავების შესახებ, ოფიცრებმა ოფიციალური გამოკითხვის აუცილებლობის მიღმა უნდა დასვან მხოლოდ შეზღუდული თემატიკის შეკითხვები, რომლებიც შეეხება პირის შესახებ პირადი ან ბიოგრაფიული მონაცემების მიღებას, რაც აუცილებელია დაკავების განხორციელების და ადმინისტრაციული პროცედურების გატარებისთვის.

67. უკანონო და არაადამიანური მოპყრობის რისკები განსაკუთრებით იზრდება დაკავების ან დაპატიმრების დროს და დაკავებულის შესაბამის ადგილამდე გადაყვანის პერიოდში. ამ დროის მონაკვეთთან დაკავშირებული რისკები მოიცავენ ძალის გამოყენებას, შემაკავებელი საშუალებების გადაჭარბებულ გამოყენებას, დამაშინებელ გამოკითხვას და სატრანსპორტო საშუალებებში ხანგრძლივი დროით განთავსებას - ყოველივე ზემოთჩამოთვლილი კი შეიძლება მიჩნეულ იქნეს წამებად.[54]

68. პირის დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მისი დაუყოვნებელი გადაყვანა ოფიციალურად აღიარებულ საპატიმრო დაწესებულებაში. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც

53. აღნიშნული შეეხება თანამდებობის პირსა და ეჭვმიტანილს, მოწმეს, მსხვერპლს ან ოფიციალური გამოკითხვის მიღამ საინტერესო ნებისმიერ პირს შორის კომუნიკაციას.

54. იხილეთ A/72/178, სპეციალური რეპორტიორის ანგარიში, 20 ივლისი, 2017 წელი.

პირი გადაჰყავთ საპატიმრო დაწესებულებიდან ან საპატიმრო დაწესებულებაში (ან სხვა ლოკაციაზე, მაგალითად, სასამართლოში) გამოკითხვის მიზნით, მისი ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს ჰუმანური, დაცული და უსაფრთხო წესით. დაკავებულთა უსაფრთხო ტრანსპორტირების პროცედურებს თან უნდა ერთვოდეს სრული და სათანადო დოკუმენტირება ოფიციალურ რეესტრში, რომელიც თითოეული პირისათვის აღრიცხვის ბარათს ხსნის და აღნუსხავს ისეთ დეტალებს, როგორიცაა: თავისუფლების აღკვეთის დრო, მის პატიმრობაზე პასუხისმგებელი პირები, მისი მდგომარეობა დაწესებულებაში მიყვანისას და დაკავების ადგილზე ჩამოსვლის დრო.[55]

69. საწყის ეტაპზე არაადამიანური მოპყრობის ან სტანდარტებთან შეუსაბამო პირობების შექმნამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს გამოძიებაზე და პირის დაკითხვის პროცესზე: გამოსაკითხმა პირმა შესაძლოა თავი შეიკავოს საუბრისგან და განიცადოს გონებრივი და ფიზიკური ტკივილი, რაც აზიანებს ხელმისაწვდომი უფლებების გააზრების და გამოყენების სრულად აღქმის უნარს, ასევე, უნარს, რომ გადმოსცეს ზუსტი და სანდო ინფორმაცია. გამოსაკითხი პირის ადამიანის უფლებების და ღირსების დაცვა ამ დროს სცდება თანამდებობის პირის ოფიციალურ ვალდებულებას და წარმოადგენს ყველა მომდევნო პროცედურის განუყოფელ ნაწილს.

70. როდესაც პიროვნება დაკავებულია გამოკითხვამდე ან გამოკითხვებს შორის, უწყებებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გარემო აკმაყოფილებდეს ადამიანის უფლებების მოთხოვნებს და მათთან მოპყრობა მოხდეს პატივისცემით. აქ იგულისხმება პიროვნების საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, როგორიც არის საკვები, წყალი, ტემპერატურა და ადეკვატური დასვენება.[56]

71. გამოკითხვა არ უნდა იყოს დროში გაწელილი და უნდა ჩატარდეს არა დაშინების, არამედ ადამიანის უფლებებთან შესაბამისობაში მყოფ გარემოში[57], კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების დაცვით. გამოსაკითხი პირისთვის ოპტიმალური პირობების შექმნამ შეიძლება გააუმჯობესოს მათი კონცენტრაციის უნარი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის სურვილი, ასევე, ხელის შეუწყოს ფაქტების გახსენებას.

გამოსაკითხი პირის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

72. გამოსაკითხი პირის მიმართ პირველივე კომუნიკაციისას ყურადღების გამოჩენა ხელს უწყობს ნდობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბებას. ამის ალბათობა კიდევ უფრო იზრდება თუ პიროვნებას ადრეულ ეტაპზე ეძლევა მკაფიო განმარტება თუ

55. მუხლი 17, იძულებითი გაუჩინარების კონვენცია.

56. მუხლი 16, UNCAT; A/HRC/RES/46/15, პარაგრაფი 6, იხილეთ ასევე CPT/Inf (2019)9, 28-ე ზოგადი ანგარიში CPT, აპრილი, 2019 წელი, პარაგრაფი 80; აფრიკის ადამიანებისა და ხალხთა უფლებების კომისია, სახელმძღვანელო დაკავების, პატიმრობაში აყვანის და წინა-სასამართლო დაკავების შესახებ აფრიკაში (ლუანდას სახელმძღვანელოები), 28 ივლისი, 2016 წელი, წესი 4(e); ინტერ-ამერიკული კომისია ადამიანის უფლებებზე, პრინციპებსა და ამერიკაში თავისუფლება შეზღუდული პირების დაცვის საუკეთესო პრაქტიკებზე დამტკიცებულია კომისიის მიერ 131-ე რეგულარული სესიების ფარგლებში, რომელიც გაიმართა 2008 წლის 3-14 მარტს, პრინციპი 11.

57. A/HRC/RES/31/31, პარაგრაფი 12.

რატომ მოხდა მისი გამოკითხვაზე მოყვანა, რა წესები ვრცელდება პროცესზე და როგორ ჩატარდება აღნიშნული პროცესი. პროცედურებისა და შესაძლო შემდგომი მოქმედებების განმარტება არის ინტერვიუერის პირველადი შესაძლებლობა, რათა გამოსაკითხ პირს აჩვენოს გულწრფელობა, განჭვრეტადობა, პატივისცემა, ყურადღება და ხელი შეუწყოს ნდობის ჩამოყალიბების პროცესს.[58]

73. როდესაც ადამიანს ეზღუდება თავისუფლება, უწყებებმა მკაფიოდ უნდა განუმარტონ პიროვნებას ეს საკითხი: აუხსნან მოქმედება, რომელიც ხორციელდება (მაგალითად დაკავება); მოქმედების სამართლებრივი და ფაქტიური საფუძვლები;[59] და მკაფიოდ მიაწოდონ ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ.[60] დაკავებაზე პასუხისმგებელმა უწყებამ პროცესის მიმდინარეობისას უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, რათა პიროვნებას ესმოდეს როგორც დაკავების მიზეზი, ასევე მისი უფლებები, მათ შორის, თუ როგორ შეიძლება ჰქონდეს წვდომა და გამოიყენოს მისთვის ხელმისაწვდომი უფლებები.

74. დაკავების მიზეზების შესახებ დამკავებელი უწყების მიერ ინფორმაციის მიწოდების უფლება ვრცელდება მიუხედავად დაკავების ფორმის, ან დაკავების განხორციელების ფორმალური თუ არაფორმალური სახისა და მიუხედავად თავისუფლების აღკვეთის მიზეზისა. დაკავების მიზეზებთან და ბრალდებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება არის გარანტია იმისა, რომ უწყება არ განახორციელებს თვითნებურ დაკავებას და არ მისცემს საშუალებას ადამიანს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მისი დაკავება. ასევე, აღნიშნული შესაძლებლობას აძლევს პირს მოითხოვოს დაკავების პირობების ცვლილება და მასთან მოპყრობის ცვლილება.

75. ინფორმაცია გამოსაკითხი პირის უფლებების და მათი გამოყენების შესახებ დაკავებულს უნდა მიეწოდოს სიტყვიერად, მკაფიოდ, არატექნიკური და კონკრეტული ენის გამოყენებით დაკავებისას; და ასევე საჭიროა აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება მოხდეს წერილობითი ფორმით დაკავების ადგილზე მიყვანისას. ინფორმაცია მომზადებული უნდა იყოს დაკავებულისთვის გასაგებ ენაზე და ფორმატში. უფლებების შესახებ წერილობით დოკუმენტს ხელი უნდა მოაწეროს დაკავებულმა პირმა და მას უნდა გადაეცეს ასლი.

76. პროფესიონალი და დამოუკიდებელი თარჯიმნები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა გამოსაკითხი პირისთვის, რომელიც არ საუბრობს ან არ ესმის უწყების მიერ გამოყენებული ენა, მათ შორის, ისეთი შეზღუდვების მქონე პირებისთვის, როგორიც არის მხედველობის, სმენის და სხვა დაზიანებების მქონე პირები. თარჯიმნის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს დროულად და ხელმისაწვდომი უნდა იყოს გამოკითხვის პროცესში, განსაკუთრებით დაკავებული პირის უფლებების

58. ს. ჯ. ფლეისი და ჯ. რ. მელოუ, „წინააღმდეგობის დაძლევა სისხლის სამართლისა და სასამართლო ექსპერტიზის გამოკითხვების დროს“, სასამართლო მენტალური ჯანმრთელობის საერთაშორისო ჟურნალი, გამოცემა 17, N4 (2018).

59. მუხლი 9(2), ICCPR; A/HRC/RES/31/31, პარაგრაფი 6; A/HRC/46/15, პარაგრაფი 4.

60. A/HRC/RES/31/31. პარაგრაფი 6; A/HRC/RES/46/15, პარაგრაფი 4; პრინციპი 13, სახელმძღვანელო პრინციპები.

განმარტების, ადვოკატის და ექიმის ან სამედიცინო პერსონალის დახმარების გამოყენების უფლებით სარგებლობის შემთხვევაში.[61]

ოჯახის ან მესამე მხარის ინფორმირება

77. დაკავებულის დაცვის მთავარი მექანიზმი არის უფლება დროულად აცნობოს ოჯახის წევრს, მეგობარს ან სხვა პირს მისი დაკავების ფაქტის, ადგილის და გარემოებების შესახებ.[62] უწყებას აქვს პასუხისმგებლობა უზრუნველყოს მესამე მხარესთან კომუნიკაცია და ჩაიწეროს, თუ ვის და როდის ეცნობა დაკავების შესახებ. სამართლებრივ ვალდებულებასთან ერთად, გარე სამყაროსთან კონტაქტის ხელშეწყობა არის ნდობის და თანამშრომლობის ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

78. უწყებებს შეუძლიათ შეაფერხონ მესამე მხარისთვის შეტყობინება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ მაშინ თუ მსგავსი შეფერხება ნებადართულია კანონით და აუცილებელია საგამოძიებო რისკების პრევენციისთვის (მტკიცებულების განადგურების პრევენცია, ან მიმალვა). მიზეზები უნდა დაფიქსირდეს დეტალურად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს იურისტის და იმ პირისთვის, რომელსაც შეეზღუდა თავისუფლება. ასევე, შეფერხებაზე საჭიროა პროკურორის ან მოსამართლის ან სხვა შესაბამისი ზემდგომი თანამდებობის პირის თანხმობა, ამავდროულად უნდა გაკონტროლდეს შეფერხების აუცილებლობა და პროპორციულობა.[63]

79. თუ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი არის უცხოეთის მოქალაქე, მაშინ დაკავების ან დაპატიმრების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პირის წარმომავლობის ქვეყნის საკონსულო ან დიპლომატიურ წარმომადგენლობას. ხოლო, თავშესაფრის მაძიებლებს უნდა ეცნობოთ შესაბამის საერთაშორისო სააგენტოებთან კონტაქტის დამყარების უფლების შესახებ.[64] კავშირის დამყარების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს დამკავებელი უწყების მიერ.

ადვოკატის ხელმისაწვდომობა

80. ყველა დაკავებულ პირს, რომელიც ექვემდებარება გამოკითხვას, აქვს ადვოკატის ყოლის უფლება, მათ შორის, სამართლებრივი დახმარების მიღების უფლება, გამოკითხვის პროცესის დაწყებამდე, დაკავებულის სტატუსისგან დამოუკიდებლად. ეს უფლება ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის დროსაც.[65]

---

61. A/HRC/RES/31/31, პარაგრაფი 12 (d); A/HRC/RES/46/15, პარაგრაფი 4ლ წესი 55(2), ნელსონ მანდელას წესები; პრინციპი 14, სახელმძღვანელო პრინციპები; ასევე იხილეთ A/RES/67/187, გაერთიანებული ერების პრინციპები და სახელმძღვანელოები სისხლის სამართლის სისტემაში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ (პრინციპები და სახელმძღვანელოები იურიდიული დახმარების შესახებ), 20 დეკემბერი, 2012 წელი, პარაგრაფი 42(d).

62. მუხლი 17(2)(d), იძულებით გაუჩინარების შესახებ კონვენცია; A/HRC/RES/46/15 პარაგრაფი 5; სახელმძღვანელო პრინციპები, პრინციპი 16 და 19.

63. სახელმძღვანელო პრინციპები, პრინციპი 16.4; პრინციპები და სახელმძღვანელოები იურიდიული დახმარებისთვის, პარაგრაფი 43(e).

64. მუხლი 17(2)(d), იძულებით გაუჩინარების შესახებ კონვენცია; A/HRC/RES/46/15 პარაგრაფი 4; პრინციპი 16.2, სახელმძღვანელო პრინციპები.

65. მუხლი 14(3)(d), ICCPR; პრინციპი 17, სახელმძღვანელო პრინციპები.

81. ადვოკატის ხელმისაწვდომობა უპირობოდ უკავშირდება ადამიანის უფლებების, წამებისგან და სხვა არაადამიანური მოპყრობისგან დაცვას, ასევე, ხელს უწყობს საკუთარი თავის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემისგან დაცვის უზრუნველყოფას.

82. გამოსაკითხ პირს აქვს უფლება ჰყავდეს მის მიერ არჩეული ადვოკატი, ან გამოეყოს უფასო ადვოკატი სამართლებრივი ინტერესების დასაცავად.[66] დაკავებულ პირს უფლება აქვს დაკითხვის დაწყებამდე, ადვოკატთან გაიაროს კონსულტაცია კონფიდენციალურ გარემოში. დამკავებელმა უწყებამ, გამოსაკითხ პირთან კოორდინაციით, უნდა უზრუნველყოს აღნიშნულ პროცესზე ადვოკატის დროული დასწრება.[67]

83. თუ გამოსაკითხი პირი მოითხოვს ადვოკატის დასწრებას, მაშინ გამოკითხვა ან ეგრეთ წოდებული „არაოფიციალური საუბრები" არ უნდა გაიმართოს იქამდე, ვიდრე გამოსაკითხი პირი არ შეხვდება მის ადვოკატს.

84. გამოსაკითხ პირს უფლება აქვს უარი განაცხადოს ადვოკატზე. როდესაც გამოსაკითხ პირს სურს უარი განაცხადოს ადვოკატზე, ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს დამოუკიდებელი, ნებაყოფლობითი და მოხდეს ამ პროცესის დოკუმენტის სახით ოფიციალურად აღწერა, რასაც დაკავებულმა პირმა უნდა მოაწეროს ხელი. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც უარს აცხადებს ადვოკატზე, უნდა იყოს ინფორმირებული, რომ შესაძლებელია შემდგომში გადაწყვეტილების შეცვლა.[68]

85. ადვოკატის დასწრება სავალდებულოა არასრულწლოვნების ეჭვმიტანილების სახით გამოკითხვის დროს.[69]

სამედიცინო შემოწმების და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა

86. უწყებებს ეკისრებათ ყველა დაკავებული პირის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა. დაკავებულებს უნდა ჰქონდეთ ექიმის და დამოუკიდებელი სამედიცინო პერსონალის მიერ სამედიცინო შემოწმების მიღების გარანტია. აღნიშნული ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეფერხების გარეშე, თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან. დამკავებელმა ორგანომ დაკავების სრული პერიოდის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს სამედიცინო ზედამხედველობის ხელმისაწვდომობა.[70]

87. ფიზიკური და მენტალური მდგომარეობა, რომელიც დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს გააჩნია დაწესებულებაში შესვლის დროს, მათ შორის, დაკავების და ტრანსპორტირების დროს ძალის გამოყენების ნიშნები ან ამასთან დაკავშირებული

66. მუხლი 14(3)(d), ICCPR; პრინციპი 17, იურიდიული დახმარების პრინციპები და სახელმძღვანელოები.

67. იურიდიული დახმარების პრინციპები და სახელმძღვანელოები, პარაგრაფი 43(d); პრინციპი 18.3, სახელმძღვანელო პრინციპები; CCPR/C/GC/32, პარაგრაფი 34.

68. იურიდიული დახმარების პრინციპები და სახელმძღვანელოები, პარაგრაფი 43(b).

69. მუხლი 37(d) და 40(2)(b)(ii), CRC; ასევე იხილეთ ბავშვთა უფლებების კომიტეტის, CRC/C/GC/10, ზოგადი კომენტარი N10 (2007); ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა სამართალში, 25 აპრილი, 2007 წელი, პარაგრაფი 49-50.

70. A/RES/34/169, მუხლი 6; პრინციპი 24, სახელმძღვანელო პრინციპები; ასევე იხილეთ A/RES/34/194, სამედიცინო ეთიკის პრინციპები პატიმრების წამებისგან დაცვისთვის (1983) (სამედიცინო ეთიკის პრინციპები) მიღებული გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ, 18 დეკემბერი, 1982 წელი.

საჩივრები უნდა აისახოს ექიმის ან სხვა სამედიცინო პერსონალის ჩანაწერებში. დამოუკიდებელი სამედიცინო შემოწმება, რაც გათვალისწინებულია სტამბოლის პროტოკოლით, უნდა განხორციელდეს შეუფერხებლად, თუ ამას ითხოვს დაკავებული, ან თუ არსებობს ეჭვი ან მინიშნება, რომ დაკავებული გახდა წამების ან არაადამიანური მოპყრობის ობიექტი.[71] სამედიცინო პერსონალი, რომელიც ახორციელებს შემოწმებას, არ უნდა იყოს დამკავებელი უწყების წარმომადგენელი. პირის გამოკითხვა არ უნდა განხორციელდეს სამედიცინო შემოწმების დასრულებამდე.

88. სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს უსასყიდლოდ, შესაბამისი და ადეკვატური ცოდნის მქონე, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სამედიცინო პერსონალის მიერ. უწყებებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გამოკვლევაში ჩართული სამედიცინო პერსონალი შეირჩეს დაკავებული პირის მიერ შერჩეული სასურველი სქესის მიხედვით. სამედიცინო პერსონალმა უნდა უზრუნველყოს, რომ დაკავებულებმა თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა განაცხადონ შემოწმებამდე და შემოწმების, გამოკვლევების, ან მკურნალობის დროს. სპეციალური ზომები მიღებული უნდა იქნეს, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეწოდოთ ინფორმაცია მათთვის გასაგები ფორმით, რაც შესაძლებელს გახდის თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის მიცემას.[72]

89. ყველა სამედიცინო შემოწმება უნდა განხორციელდეს სამართალდამცავი პერსონალის მოსმენისა და დაკვირვების გარეშე. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ექიმი მოითხოვს, შესაძლებელია განსაკუთრებული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ოფიცრის გამოძახება ან პროცესზე დაკვირვება ან მოსმენა. ასეთი პირობები უნდა აისახოს როგორც ჯანმრთელობის შემოწმების, ასევე, დაკავების ოქმში. სამედიცინო შემოწმების დროს დაუშვებელია ნებისმიერი ფორმის შემაკავებელი საშუალებების გამოყენება და ასეთი საშუალებების გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს სამედიცინო პერსონალის მიერ უსაფრთხოების ინდივიდუალურ შეფასებას.[73]

90. მენტალურ თუ ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები უნდა აისახოს დოკუმენტებში და ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც დაკავებულის, ასევე მისი ადვოკატისთვის და საჭიროების შემთხვევაში, სამართალწარმოების დროს. დაკავებულს ან ეჭვმიტანილს უფლება აქვს მიიღოს წვდომა სამედიცინო შემოწმებისა და მკურნალობის მონაცემებზე. სამედიცინო მონაცემების კონფიდენციალურობა მკაცრად უნდა იქნეს დაცული და სამედიცინო ისტორია, ან

71. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), წამებისა და სხვა არაადამიანური, სახელმძღვანელო არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მიპყრობის ან დასჯის შემთხვევების ეფექტური გამოძიება და დოკუმენტირება (სტამბოლის პროტოკოლი), 2004, HR/P/PT/ განახლება 1.

72. მუხლი 25(d) CRPD; მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ლისაბონის დეკლარაცია პაციენტების უფლებების შესახებ (ლისაბონის დეკლარაცია), მიღებული 1981 წლის სექტემბერ/ოქტომბერში, შესწორდა 1995 წლის სექტემბერში დამატებითი რედაქცია გაკეთდა 2005 წლის ოქტომბერში და დამტკიცდა 2015 წლის აპრილში; სტამბოლის პროტოკოლი; პარაგრაფი 63-64.

73. სტამბულის პროტოკოლი, პარაგრაფი 6, 82.

დაზიანებების შესახებ ანგარიში ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს არასამედიცინო პერსონალისთვის, გარდა აუცილებლობისა.[74]

91. პირები, რომელთა გამოკითხვაც უნდა განხორციელდეს, უნდა იყვნენ კარგ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში. ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ნდობის და თანამშრომლობის ფაქტორებზე, ასევე გამორიცხავს ფაქტების დავიწყების საშიშროებას.[75] ისეთი პირის გამოკითხვა, რომელიც ტრავმირებული ჩანს, იმყოფება სტრესულ მდგომარეობაში, დაღლილია, სახეზეა ინტოქსიკაცია ან პირი სხვა მიზეზებით არის დასუსტებული, შეიძლება გახდეს ხელახალი ტრავმის მიყენების მიზეზი, გამოიწვევს დაბალი ხარისხის ინფორმაციის მიღებას და რისკს, რომ მომდევნო საქმის წარმოების პროცესში მტკიცებულები გაბათილდეს ან უარყოფილ იქნეს. ინტერვიუერებმა დროებით უნდა გადადონ გამოკითხვა, თუ გამოსაკითხი პირი არ არის პროცესისთვის მზად, ან თუ სამედიცინო პერსონალი მიიჩნევს მის ჯანმრთელობის მდგომარეობას გამოკითხვის პროცესის შეუსაბამოდ.

ინტერვიუერის მომზადება

92. მას შემდეგ რაც განისაზღვრება გამოსაკითხი პირი, ხდება ინტერვიუერის დანიშვნა, რომელმაც უნდა დაიწყოს საფუძვლიანი მომზადების პროცესი. სამუშაოს ეს საწყისი საფეხურები ყოველთვის უნდა განხორციელდეს გამოკითხვის სტრატეგიის გათვალისწინებით, რათა გამოკითხვა განხორციელდეს საგამოძიებო, ან ინფორმაციის შეგროვების ოპერაციის ზოგად კონტექსტში.

93. სრულყოფილი მომზადება ზრდის ინტერვიუერის ეფექტური კომუნიკაციის უნარს და შესაბამისად, იმის ალბათობას, რომ მიიღებს სანდო ინფორმაციას. დაგეგმვის პროცესში გამოვლენილი ძალისხმევა ამცირებს პროცედურული ან სხვა ტექნიკური ხარვეზის მიზეზით საქმის დახურვის რისკებს. გამოკითხვის დაწყებამდე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაქსიმუმამდე გაიზარდოს მტკიცებულების საგამოძიებო და მტკიცებულებითი ღირებულება.

94. შესაძლებლობის ფარგლებში, ინტერვიუერებმა უნდა მიიღონ და განიხილონ რაც შეიძლება მეტი მტკიცებულება ან ინფორმაცია, როგორიც არის მოწმის და მსხვერპლის ჩვენებები, ეჭვმიტანილის წინასწარი ჩვენება, ექსპერტიზის ანგარიში, ფიზიკური მტკიცებულება, ელექტრონული გამოსახულებები და ინფორმაცია. ინტერვიუერმა უნდა შეაფასოს ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესაბამისობა, სანდოობა და განსაზღვროს ინფორმაციაში არსებული ხარვეზები, რომლებიც საჭიროებს გამოსწორებას გამოკითხვამდე და გამოკითხვის დროს.

95. გამოკითხვისთვის მომზადების დროს და პროცესის მიმდინარეობისას, ინტერვიუერებმა უნდა გამოიჩინონ ყურადღება, რათა თავი აარიდონ საკუთარი წინასწარი განწყობისადმი მიკერძოებას. ინტერვიუერებმა აქტიურად უნდა

74. სახელმძღვანელო პრინციპების პრინციპი 26; ლისაბონის დეკლარაცია, პარაგრაფი 7; სტამბულის პროტოკოლი, პარაგრაფი 65.

75. ს. ო/მარა (2020), „ტვინის დაკითხვა: წამება და ადამიანური დაკითხვის ნეირომეცნიერება“ დაკითხვა და წამება, ბარელა და სხვები (შენიშვნა 24).

მოიძიონ მტკიცებულება ან განმარტება, რაც სცდება მათ პირველად შეხედულებებს ან ვარაუდებს, მათ შორის, უნდა განიხილონ ისეთი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს უდანაშაულობაზე. ინფორმაციის შეგროვების მიმართ მოქნილი აზროვნების გამოყენებით, ინტერვიუერი შესაძლებლობის ფარგლებში ინარჩუნებს ობიექტურობას. მათ ასევე უნდა გაითვალისწინონ შესაძლო განმარტებები, რომლებსაც გამოიყენებენ გამოკითხვის დროს როგორც ეჭვის გამორიცხვის, ასევე, ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად.

96. თითოეულ ინტერვიუერს უნდა ჰქონდეს გამოკითხვის გეგმა, რომელიც ასახავს ისეთ დეტალებს, როგორიც არის მიზნები, კონკრეტული კითხვები, ჩაწერის რეჟიმი, დრო, გამოკითხვის ადგილი და ოთახში დამსწრე პირები. ეფექტური გამოკითხვა უნდა იყოს დროში შეზღუდული და მკაფიო მიზნებზე ორიენტირებული.[76] გეგმები უნდა მოიცავდეს მოქნილობის ელემენტს, რადგან თითოეული გამოკითხვა განსხვავებულია და კომუნიკაცია - დინამიკური.

97. იმის ცოდნა, თუ როგორ და როდის უნდა მოხდეს გამოკითხვის დროს მტკიცებულების და ინფორმაციის წარდგენა, უმნიშვნელოვანესი უნარია; ეს უნდა იყოს ინტერვიუერის მომზადების პროცესის ნაწილი. პოტენციური მტკიცებულების გაცნობის დროულობას შეუძლია გავლენა მოახდინოს გამოსაკითხი პირის პასუხის სანდოობაზე. თუ მტკიცებულების წარდგენა ხდება ძალიან ადრე, მაშინ ამის შემდეგ მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია შესაძლოა მარტივად ასახავდეს მიღებულ მონაცემებზე პასუხს ან მტკიცებულებაზე რეაგირებას და არა ავთენტურ მოგონებას.[77] ინფორმაციის გაზიარების შესაბამისი დროის დაგეგმვას შეუძლია გამოსაკითხი პირის მეხსიერების დაბინძურების რისკების შემცირება. მტკიცებულების ნებისმიერი სტრატეგიული გაზიარება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ კანონმდებლობას, რათა ეჭვმიტანილმა შეძლოს მისი დაკავების ან დაპატიმრების კანონიერების გასაჩივრება.

98. მომზადების პროცესში, ინტერვიუერმა უნდა გაითვალისწინოს თუ როგორ დააფიქსირებს მონათხრობს. გამოკითხვამდე, მან ყოველთვის უნდა აუხსნას გამოსაკითხ პირს და ადვოკატს თუ რა ფორმატში მოხდება გამოკითხვის ჩაწერა და მიიღოს მათი თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა.

99. აუდიო-ვიდეო ჩანაწერები საშუალებას აძლევს ინტერვიუერს ყურადღება გაამახვილოს თავად გასაუბრების პროცესზე და დაზოგოს დრო თუ შემდგომ აღნიშნულის განხილვა მოხდება სასამართლო პროცესის ფარგლებში. სრული გამოკითხვის აუდიო-ვიდეო ჩაწერა უზრუნველყოფს პირის არაადამიანური

76. ჯ. ჯ. კაბელი, ს. ა. მოდი და ი. იანგი, „დამნაშავე და უდანაშაულო ეჭვმიტანილებზე გავლენის შეფასება: დაკითხვის ტექნიკების ეფექტის ტაქსონომია“, ფსიქოლოგია, საჯარო პოლიტიკა და კანონი, გამოცემა 26, N2 (2020); დ. დევისი და რ. ა. ლეო, „დაკითხვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ცვლილება: ეგო, თვით-რეგულირების წარუმატებლობა და აღიარების გადაწყვეტილება“, ფსიქოლოგია, საჯარო პოლიტიკა და კანონი, გამოცემა 18, N4 (2012).

77. გრანაგი და ჰარტვიგი „მტკიცებულების ტექნიკის გამოყენების სტრატეგია“, (შენიშვნა 31).

მოპყრობისგან დაცვის მნიშვნელოვან ფორმას.[78] პროცესის სწორად წარმოების შემთხვევაში, ჩანაწერი გვაძლევს სრულყოფილ და ავთენტურ ინფორმაციას გამოკითხვის შესახებ.[79] ხსენებული ტექნოლოგიის გამოყენება ხელს უწყობს არაადამიანური მოპყრობის ნებისმიერი ბრალდების გამოძიებას, რაც მნიშვნელოვანია როგორც გამოსაკითხი პირის, ასევე, ინტერვიუერისთვის გადაცდომის ბრალდების შემთხვევაში.

100. თუ ხელმისაწვდომია ჩამწერი აღჭურვილობა, მაგრამ არ ხდება მისი გამოყენება, ოქმში უნდა აისახოს კონკრეტული მიზეზები და დასაბუთება. დამატებით აუცილებელია დაფიქსირდეს დეპარტამენტის ან უწყების პოლიტიკიდან ნებისმიერი სხვა გადახვევა, რომელიც უკავშირდება გამოკითხვის ჩაწერის მოთხოვნას. გამოკითხვის ნებისმიერი ელექტრონული ჩანაწერი შენახული უნდა იქნეს გონივრული ვადით და ხელმისაწვდომი იყოს შესაბამისი პირის მიერ აღნიშნულის გაცნობის მოთხოვნის შემთხვევაში.[80]

101. ინტერვიუერმა უნდა გადაამოწმოს გამოკითხვის წინა აქტივობის ყველა ასპექტი და გამოსაკითხ პირთან წინარე მოპყრობის ყველა ასპექტი, მათ შორის, ოქმები, რათა განისაზღვროს, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს გასაუბრებაზე ადრე განხორციელებულმა ქმედებებმა.

102. ინტერვიუერმა უნდა უზრუნველყოს, რომ გამოკითხვის წინ გამოყენებული ყველა დაცვის მექანიზმი ხელმისაწვდომი იყოს გამოსაკითხი პირისთვის, მათ შორის, ამ მიზნით უნდა იმუშაოს პირის იურიდიულ წარმომადგენელთან. ასეთი მიდგომა წარმოადგენს თანამშრომლობის საფუძველს, რადგან ავლენს ინტერვიუერის მიერ ადამიანის უფლებების და ღირსების პატივისცემას და აუმჯობესებს სანდო ინფორმაციის მიღების ალბათობას.

103. ინტერვიუერი პასუხისმგებელია გამოსაკითხი პირის იმ საჭიროებების გათვალისწინებაზე, რომლებიც განისაზღვრა სხვა თანამდებობის პირების მიერ, მათ შორის, უნდა შეაფასოს მოწყვლადობის გაზრდილი დონე (ემოციური მდგომარეობის ჩათვლით) და მოემზადოს ამ საჭიროებებზე შესაბამისად რეაგირებისთვის. მაგალითად, გამოსაკითხმა პირმა შეიძლება მოითხოვოს გასაუბრებაზე სხვა მხარის დასწრება, მაგალითად, იურიდიული წარმომადგენლის და ბავშვების ან ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შემთხვევაში დამხმარე პირის დასწრება.

78. წესი 9 (c), ლუანდას სახელმძღვანელოები; ECTHR, დოილი ირლანდიის წინააღმდეგ, განაცხადი N51979/17, გადაწყვეტილება, 23 მაისი, 2019 წელი, პარაგრაფი 99; CPT მე-12 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2005)14, პარაგრაფი 36; ასევე იხილეთ სამართლიანი სასამართლოები საერთაშორისო და უნგრული ჰელსინკის კომიტეტი, შეხვედრის ანგარიში- გამოცდილების გაზიარება სისხლის სამართლის საქმისწარმოების დროს დაკითხვების აუდიო-ვიდეო ჩაწერა, 9 ნოემბერი, 2018 წელი.

79. აუდიო-ვიდეო ჩანაწერში უნდა ჩანდეს როგორც ინტერვიუერი, ასევე გამოსაკითხი პირი. ყურადღების მხოლოდ გამოსაკითხ პირზე გამახვილება არღვევს სურათის მთლიანობის აღქმას (მაგალითად, მოსამართლეების ან ნაფიცი მსაჯულებისთვის), იხილეთ გ. დ. ლასიტერი, ლ. ჯ. ლინდბერგი და ჯ. ჯ. რეტკლიფი, „დაკთხვის ვიდეო ჩაწერა: მეცნიერებაზე დაფუძნებული პოლიტიკა“, პოლიციის დაკითხვები და ცრუ ჩვენებები, ლასიტერი და მესნერი (შენიშვნა 8).

80. სახელმძღვანელო პრინციპები, პრინციპი 23.

104. ინტერვიუერმა უწყვეტად უნდა აკონტროლოს საკუთარი ემოციები როგორც საქმის, ასევე გამოსაკითხი პირის მიმართ. ასევე, უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე და კონტროლი. თუ ინტერვიუერი ვერ ახერხებს აღნიშნულის დაკმაყოფილებას, მაშინ საჭიროა დაინიშნოს შემცვლელი.

გამოკითხვის დროს - თანამშრომლობის დამყარება და შენარჩუნება

105. ეფექტურ ინტერვიუერს შეუძლია ადაპტაცია, ყურადღებით მოსმენა, ემპათიის გამოხატვა და იზიარებს იმ აზრს, რომ დაშინების გარეშე, ადამიანური, ეთიკური, კანონიერი და შესაბამისი გამოკითხვის ჩატარება ემსახურება პროცესში მონაწილე ყველა პირის ინტერესებს: ინტერვიუერი, გამოსაკითხი პირი და ინფორმაციის შემგროვებელი ორგანო. ისინი აცნობიერებენ, რომ ინტერვიუერის როლი არის გადაწყვეტილებისთვის საუკეთესი ინფორმაციის მიღება. გადაწყვეტილებას პირის ბრალეულობის შესახებ იღებს მხოლოდ სასამართლო.

106. რწმენისა და ნდობის ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის შეგროვების ეფექტურობისთვის. გამოკითხვის დროს, რწმენისა და ნდობის ჩამოყალიბება გულისხმობს ისეთი ურთიერთობის განვითარებას და შენარჩუნებას, რომელიც ხასიათდება შემდეგით: პატივისცემა და ნდობა; განკიცხვის გამორიცხვა; არაგრესიული სხეულის ენა; გულისხმიერება და მოთმინება. ეს ყოველივე ამცირებს იმ თანდაყოლილი ძალთა დისბალანსის ეფექტებს, რაც გამოკითხვის პროცესში ბუნებრივად არსებობს.

107. ინტერვიუერმა დრო უნდა დაუთმოს გამოსაკითხ პირთან კომუნიკაციას და მკაფიოდ გაუმეოროს უფლებებთან და პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაცია; საჭიროების შემთხვევაში, აქ იგულისხმება თარჯიმნის გამოყენება და ნებისმიერი მესამე მხარის დამხარება კომუნიკაციაში. თუ გამოსაკითხი პირი დარწმუნებული არ არის მის უფლებებში, მაშინ ინტერვიუერმა ხელახლა უნდა მისცეს განმარტება და დარწმუნეს, რომ გამოსაკითხმა პირმა ყველაფერი გაიგო. სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირების შემთხვევაში, ინტერვიუერმა პირს უნდა შეახსენოს, რომ მას აქვს დუმილის უფლება და რომ გაკეთებული განცხადება შეიძლება გამოყენებული იქნეს მის საწინააღმდეგო მტკიცებულებად.

108. გამოკითხვაზე დამსწრე ადვოკატი წარმოადგენს სამართლის წყაროს, მოწმეს იმისა, რომ პროცესი სამართლიანად მიმდინარეობს და ასევე გვევლინება დაცვის მექანიზმად, რომელიც იცავს გამოსაკითხ პირს გაუგებრობის, არასწორი ინტერპრეტაციის და გამოკითხვის უკანონოდ წარმოების ნებისმიერი შესაძლებლობისგან. ეს ფუნქციები აძლიერებენ გამოკითხვის დროს შეგროვებული ინფორმაციის მტკიცებულებით ღირებულებას.

109. ეფექტურმა ინტერვიუერმა ადვოკატთან უნდა დაამყაროს ღირსეული და პროფესიონალური სამუშაო ურთიერთობა. გამოკითხვის პროცესზე დამსწრე ადვოკატი უფლებამოსილია დასვას კითხვა, მოითხოვოს განმარტებები, კითხვის

ნიშნის ქვეშ დააყენოს წარმოდგენილი მტკიცებულება, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს უსამართლო კითხვები ან ჩაგვრის შემთხვევა, რაც შეიძლება განხორციელდეს ინტერვიუერის მიერ და ზოგადად, აქტიურად დაიცვას კლიენტის უფლებები.

110. თუ გამოსაკითხი პირი მოითხოვს ადვოკატის დასწრებას, მაშინაც კი თუ მას უარი აქვს ნათქვამი ამ უფლების გამოყენებაზე, ინტერვიუერი შეაჩერებს გამოკითხვის პროცესს, ვიდრე ადგილზე არ მივა მისი უფლებადამცველი.

111. ინტერვიუერმა ყურადღება უნდა გაამახვილოს გამოსაკითხი პირის მენტალურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე. გამოსაკითხ პირს უნდა მიეცეს საკმარისი დრო შეუფერხებლად დასვენებისთვის და ადეკვატური რაოდენობის საკვები და სასმელი.

112. მოლოდინების განსაზღვრა გამოკითხვის დაწყებამდე ხელს უწყობს პროცესის ეფექტურობას. მაგალითად, ინტერვიუერმა უნდა მოუწოდოს გამოსაკითხ პირს, რომ მან დააფიქსიროს ნებისმიერი საკითხი, რომელიც მას არ ესმის ან თვლის რომ რაიმე საკითხი არასწორად იქნა გაგებული. გამოსაკითხ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა წარმოადგინოს რაც შეიძლება მეტი დეტალი, პასუხის გაცემამდე დაფიქრდეს რამდენი ხანიც იქნება საჭირო და განაცხადოს, თუ სჭირდება მას რაიმე.

ინფორმაციის შეგროვების ტექნიკები

113. აქტიური მოსმენა ხელს უწყობს ინტერვიუერს მიღებული ინფორმაციის დამუშავებაში. აქტიური მოსმენით, ინტერვიუერი გამოსაკითხ პირს აჩვენებს, რომ იგებს და ისმენს ნაამბობს. ინტერვიუერმა არ უნდა გამოიყენოს რაიმე სახის სიტყვიერი ან ვიზუალური მინიშნებები, მათ შორის, ხმები, ჟესტები ან კითხვები, რომლებიც მიანიშნებს გამოსაკითხი პირის მიერ ნათქვამზე თანხმობას ან წინააღმდეგობას.

114. გამოსაკითხმა პირმა საკუთარი სიტყვებით უნდა გააკეთოს განმარტება განსახილველ საკითხზე და უნდა მიეცეს შესაძლებლობა გასცეს სრული პასუხი. ეს მიდგომა შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი ხარვეზის ან უზუსტობის გამოსასწორებლად.

115. ინტერვიუერმა არ უნდა შეაფერხოს გამოსაკითხი პირი საუბრის დროს ან არ უნდა დაარღვიოს აზრის მსვლელობა, ყოველთვის ყურადღებით უნდა მოეკიდოს მოწოდებულ ინფორმაციას, რათა ამოიცნოს მნიშვნელოვანი დეტალები და დაადგინოს კონკრეტული საკითხები, რომლებიც მოითხოვენ შემდგომ რეაგირებას. სიჩუმის შენარჩუნებით ინტერვიუერი გამოსაკითხ პირს აძლევს მინიშნებას, რომ მისაღებია დროის გამოყენება გაჩერებისა და დაფიქრებისთვის და რომ ის მზად არის მეტი დრო მოიცადოს დამატებითი დეტალების გაზიარებამდე.

116. გამოკითხვის მეთოდები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დასახული ამოცანებისა და ზოგადი მიზნების მიღწევას. პროცესის მიზანი არის რაც შეიძლება მეტი ნებაყოფლობითი და სრული ინფორმაციის მიღება. თითოეულ კითხვას უნდა ჰქონდეს მიზანი და კითხვის დასმა უნდა მოხდეს არაგანსჯადი ფორმით.

გამოყენებული ენა უნდა იყოს მკაფიო და ნაკლებად უნდა მოხდეს ტექნიკური ტერმინების, ან ჟარგონის და აკრონიმების გამოყენება.

117. ღია კითხვები, როგორიც არის „ამიხსენით", „მითხარით", ან „გთხოვთ აღწეროთ", ამცირებენ არასწორი ინფორმაციის მიღების ალბათობას. ამგვარი კითხვებით ვიღებთ მეტ დეტალს და სრულ პასუხებს, რაზეც დაბალია ინტერვიუერის გავლენა.

118. ისეთი კითხვები როგორიც არის „ვინ", „რა" და „სად", შეიძლება საჭირო გახდეს ღია კითხვაზე მიღებული პასუხის დეტალების გასარკვევად. ასეთი კითხვები გვეხმარება დამატებითი ინფორმაციის მიღებაში და ისეთი ხარვეზების და შეუსაბამობების აღმოფხვრაში, რომლებიც დამატებით გამორკვევას საჭიროებენ. ამ დროს, გამოსაკითხმა პირმა შესაძლოა დამატებით ისაუბროს საკითხზე, რომელიც აქამდე არ დაუფიქსირებია.

119. ინფორმაციის სტრატეგიული გამოყენება ეხმარება ინტერვიუერს იმის უზრუნველყოფაში, რომ მიღებული ინფორმაცია შეესაბამება გამოკითხვის მიზნებს.

120. იმის ზუსტი შეჯამება, თუ რა თქვა გამოსაკითხმა პირმა, შესაძლოა დადებითად აისახოს გამოკითხვის მიმდინარეობაზე და დაეხმაროს ინტერვიუერს და მონაწილე პირს მნიშვნელოვანი დეტალების გახსენებაში. თუმცა, ცუდად ჩამოყალიბებული შეჯამება შეიძლება შეიცავდეს უზუსტობებს და გამოიწვიოს შეუსაბამობა ან ცდომილება. ასევე, არასწორი შეჯამების საფუძველზე გამოკითხვაში მონაწილე პირმა შეიძლება იფიქროს, რომ ინტერვიუერი მას არ უსმენდა, ან ცდილობდა მისი მონაყოლის მანიპულირებას.

გამოსაკითხი პირის პასუხების გაცემისგან თავშეკავება

121. ინტერვიუერი შეიძლება შეხვდეს ისეთ გამოსაკითხ პირს, რომელსაც არ სურს საუბარი და შესაბამისად, მზად უნდა იყოს ასეთ სიტუაციასთან გასამკლავებლად. კითხვებზე პასუხის სურვილის არ არსებობა ან უარის თქმა შეიძლება იყოს მიზანმიმართული არჩევანი. მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ პირს აქვს დუმილის უფლება და ზოგიერთი მათგანი აუცილებლად გამოიყენებს ამ მეთოდს. ყოველთვის აუცილებელია გადაწყვეტილების პატივისცემა და ამ გადაწყვეტილებამ გავლენა არ უნდა იქონიოს უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებაზე.

122. გამოსაკითხი პირის თავშეკავება შესაძლოა გამოწვეული იყოს ისეთი ფაქტორებით, როგორიც არის ზოგადი შფოთვა, ან პროცესის დეტალების არცოდნა, განსაკუთრებით თუ ადამიანს არასდროს მიუღია მონაწილეობა ასეთ პროცედურაში. შიშმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს; მაგალითად, პოლიციის და სხვა სახელმწიფო სამსახურების მიმართ შიში, ან დასჯის შიში ან სხვა პირების შიში თუ ცნობილი გახდება, რომ მათ ითანამშრომლეს შესაბამის უწყებებთან. გამოკითხვაში მონაწილე პირებზე ასევე შეიძლება იმოქმედოს იმან, რაც მან

ნახა, მოისმინა ან გადაიტანა. თავშეკავება შესაძლოა ასევე გამოწვეული იყოს გამოსაკითხი პირის, ინტერვიუერის ან თარჯიმნის მიმართ პირადი განწყობით.

123. ასევე შესაძლებელია, რომ გამოსაკითხ პირს უნდოდეს ინფორმაციის გაზიარება, თუმცა არ შეეძლოს ამის გაკეთება. აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ პირს არ მიუღია შესაბამისი ინფორმაცია საწყის ეტაპზე, ან ვერ შეძლო დეტალების დაფიქსირება. ასევე შესაძლებელია, რომ დროის გასვლასთან ან გამოსაკითხი პირის მიერ მიღებულ გამოცდილებასთან ერთად მას დაავიწყდა გარკვეული დეტალები ან უკვე აღარ შეუძლია მოვლენების შესახებ მეხსიერების აღდგენა.

124. ინტერვიუერმა უნდა გაზარდოს ეფექტური გამოკითხვის ჩატარების ალბათობა, რისთვისაც გაგებით უნდა მოეკიდოს იმ ფაქტს, რომ პიროვნება თავს იკავებს საუბრისგან, აქვე უნდა განუმარტოს, რომ დაიცავს მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას კანონით დაშვებულ ფარგლებში და პატივს სცემს გადაწყვეტილებას საუბრისგან თავის შეკავებაზე. ინტერვიუერმა არ უნდა გააკეთოს უარყოფითი დასკვნები პირის მიერ კითხვებზე პასუხის შეუძლებლობის ან უარის დროს და არ უნდა განსაჯოს ის, თუ პიროვნება აღიარებს დანაშაულს, ან დაფარავს მისთვის შეურაცხმყოფელ/სასირცხვილო ინფორმაციას.

გამოკითხვის შეწყვეტა

125. შესაძლებელი და ნებადართულია ინტერვიუერის მიერ გამოკითხვის შეწყვეტა, რათა რეაგირება მოხდეს მიღებულ ინფორმაციაზე, ან დაისვას დამატებითი კითხვები. ანალოგიურად, ადვოკატმა ან გამოსაკითხმა პირმა შესაძლოა მოითხოვოს შესვენება, მაგალითად დასვენების ან პირადი კონსულტაციის მიზნებისთვის. აღნიშნულ მოთხოვნაზე უარის თქმამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს გამოკითხვის დროს მიღებული ინფორმაციის სანდოობაზე.

126. თუ გამოსაკითხი პირი მოითხოვს სამედიცინო დახმარებას, მაშინ ინტერვიუერმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს გამოკითხვა და უზრუნველყოს სამედიცინო დახმარების დროული მიწოდება.

127. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს პირების გამოკითხვა მოწმის როლში, რათა თავიდან ავიცილოთ ეჭვმიტანილის დაკითხვასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნები.[81] თუ პირი, რომელიც თავიდან გამოიკითხა მოწმის როლში, ხოლო გამოკითხვის პროცესში გახდა ეჭვმიტანილი, მაშინ ინტერვიუერმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს სესია, მკაფიოდ აცნობოს გამოსაკითხ პირს სტატუსის ცვლილების შესახებ, განუმარტოს მისთვის, როგორც უკვე ეჭვმიტანილისთვის არსებული უფლებები და მისცეს მას საკმარისი დრო და შესაბამისი რესურსები ამ უფლებების გასაანალიზებლად.

81. A/71/298 (შენიშვნა 3).

გამოკითხვის დასრულება - შეფასება და ანალიზი

128. პროფესიონალი ინტერვიუერი ყოველთვის პატივისცემითა და პროფესიონალიზმით ეკიდება გამოკითხვის დასრულების ეტაპს. ეს ზრდის ალბათობას, რომ სამომავლო კომუნიკაციის შესაძლებლობები შენარჩუნდეს, გაუგებრობა არ მოხდეს და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობა შენარჩუნდეს.

129. ინტერვიუერმა უნდა განიხილოს მიღებული ინფორმაცია გამოკითხულ პირთან ერთად (ასევე ადვოკატთან ერთად, თუ ის მონაწილეობდა პროცესში) და წერილობითი ჩანაწერების შემთხვევაში (განსხვავებით აუდიო/ვიდეო ჩანაწერისა) მოუწოდოს გამოსაკითხ პირს, თანხმობის ნიშნად ხელი მოაწეროს ოქმს. ნებისმიერი ცვლილება აუცილებელია დაფიქსირდეს ოქმში და საჭიროების შემთხვევაში უნდა მიეთითოს, თუ გამოსაკითხი პირი უარს ამბობს გამოკითხვის ოქმის ხელმოწერაზე.[82] წერილობითი ოქმის ასლი უნდა გადაეცეს გამოკითხულ პირს და მის ადვოკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).[83] ამის შემდეგ, ინტერვიუერმა გამოკითხულ პირს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მომდევნო ნაბიჯების შესახებ.

130. გამოკითხვის დასრულების შემდეგ, ინტერვიუერმა უნდა უზრუნველყოს მიღებული ინფორმაციის შესაბამისად დაცულობა. აღნიშნული შეიძლება ნიშნავდეს ისეთი ზომების მიღებას, რომ ინფორმაცია არ გავრცელდეს საჯარო წყაროებში და სხვადასხვა ინსტიტუციებში, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას გამოსაკითხი პირის უფლებებს.

131. შეფასება და ანალიზი წარმოადგენს წარმატებული გამოკითხვის პროცესის განუყოფელ ნაწილს. შეფასებასა და ანალიზზე დახარჯული დრო დამოკიდებულია საკითხის სირთულესა და მნიშვნელობაზე, თუმცა აღნიშნული არ უნდა მოხდეს დაჩქარებულად. ინტერვიუერმა უნდა შეაფასოს და გააანალიზოს შემდეგი:

   ა. მიღებული ინფორმაციის ღირებულება და სანდოობა და რამდენად თავსებადია ეს ინფორმაცია უკვე ხელმისაწვდომ მტკიცებულებებთან, არსებულ ხარვეზებთან და სხვა მოპოვებულ ინფორმაციასთან;
   ბ. რა დამატებითი კითხვები არის საჭირო გამოძიების ან ოპერაციის პროგრესისთვის;
   გ. ეფექტურად მოხდა თუ არა ყველა შესაბამისი უსაფრთხოების ზომის გამოყენება.

82. იხილეთ წესი 9(e)(v), ლუანდას სახელმძღვანელოები; CPT, მეორე ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (92)3, პარაგრაფი 39.
83. პრინციპი 23(2), სახელმძღვანელო პრინციპები.

◂ პრინციპი 3 ▸ მოწყვლადობა

ეფექტური გამოკითხვა მოითხოვს მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი გამოსაკითხი პირის საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათზე რეაგირებას.

გამოკითხვა, როგორც მოწყვლადი მდგომარეობა

132. როგორც წესი, ყველა პირი, რომელიც გამოკითხვაში მონაწილეობს, თავს მოწყვლად მდგომარეობაში გრძნობს, რაც გამოწვეულია პროცესთან დაკავშირებული ძალთა უთანასწორობის განცდით. ძალთა უთანასწორობა განსაკუთრებით მწვავეა, როდესაც გამოსაკითხი პირი დაკავებულია და სრულად არის დამოკიდებული/დაქვემდებარებული უწყებებზე, რათა ჰქონდეს მისი უფლებების გამოყენების შესაძლებლობა.

133. ინტერვიუერი ინფორმირებული უნდა იყოს ძალთა უთანასწორობის შესაძლო გავლენაზე და მიიღოს შესაბამისი შემამსუბუქებელი ზომები, რითაც უზრუნველყოფს თითოეული პირის კანონის ფარგლებში დაცვას და ღირებული ინფორმაციის მიღებას. ძალთა უთანასწორობამ შეიძლება გამოიწვიოს გამოსაკითხი პირის როგორც უბრალო შფოთვა, ასევე ძლიერი შიშიც. ასეთმა რეაქციამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადამიანის ფიზიკურ, შემეცნებით და ემოციურ რეაგირებაზე, შესაძლოა პიროვნებას გაუჭირდეს კითხვის აღქმა და შესაბამისად პასუხის გაცემა. ამან ასევე შეიძლება გავლენა იქონიოს პიროვნების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უნარზე, ან დეტალური და ზუსტი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობაზე. უკიდურეს შემთხვევაში, ასეთ მდგომარეობაში ყოფნა ზრდის სტრესის მაჩვენებელს და შესაძლოა დააზიანოს გახსენების უნარი, რამაც შესაძლოა განაპირობოს ცრუ ინფორმაციის მიწოდება.

134. ამ პრინციპებში მოცემული მითითებების გათვალისწინება ხელს უწყობს გამოსაკითხი პირებისთვის მშვიდი გარემოს შემქნას. ასეთი ქცევა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ინტერვიუერის მიერ უფლებამოსილების გადაჭარბების პრევენციაზე, რაც უარყოფითად აისახება გამოკითხვის პროცესზე და ხელს უწყობს რისკის შემცველ პრაქტიკას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს არაადამიანური მოპყრობის რისკების მატებას.

მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირები

135. ზოგიერთი გამოსაკითხი პირი შესაძლოა იმყოფებოდეს ძლიერ მოწყვლად მდგომარეობაში, თუ გამოკითხვა კვეთაშია სხვა კონკრეტულ რისკ-ფაქტორებთან. ასეთ სიტუაციაში, გამოსაკითხ პირს ექმნება დამატებითი საჭიროებები და უფლებები, რომლებზეც რეაგირება უნდა მოახდინონ შესაბამისმა უწყებებმა.[84] ზემოთხსენებული რისკ-ფაქტორები შეიძლება ნიშნავდეს შემდეგს:

   ა. ასაკი, სქესი, გენდერი, გენდერული იდენტობა ან გამოხატვა, ან სექსუალური ორიენტაცია;
   ბ. ეროვნება ან ეთნიკური წარმომავლობა;
   გ. კულტურული ან რელიგიური შეხედულებები;ფიზიკური, ინტელექტუალური, ან ფსიქოლოგიური შეზღუდული შესაძლებლობები;
   დ. კომუნიკაციის სირთულე;
   ე. აღქმის სირთულე (მათ შორის, ენობრივი ბარიერი);
   ვ. წერის და/ან კითხვის უნარის არ არსებობა;
   ზ. ასაკთან დაკავშირებული მდგომარეობა, როგორიც არის დემენცია;
   თ. უმცირესობის ან მარგინალიზებული სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფის წარმომადგენლობა.

136. მივიღებთ რა ,,მოწყვლადობას", როგორც დინამიკურსა და განვითარებად კონცეფციას, სხვა სიტუაციური მახასიათებლები, რომლებმაც შესაძლოა გაზარდოს მოწყვლადობის დონე, მოიცავს შემდეგს:

   ა. ჯანმრთელობის სტატუსი, როგორიც არის ფიზიკური ტრავმა, დაავადება, დეპრესია, შფოთვა, ინტოქსიკაცია, პოსტტრავმული, სტრესული აშლილობა, ან სხვაგვარი სისუსტის მდგომაროება.
   ბ. წინა ტრავმული გამოცდილება, მათ შორის, ძალადობის ან ადამიანის უფლებების დარღვევის გამოცდილება ან მოწმედ ყოფნა.
   გ. ემიგრაციის სტატუსი, როგორიც არის თავშესაფრის მაძიებელი ან ლტოლვილი, უცნობი მიგრანტი მუშახელი, უკანონო მიგრანტი ან ტრეფიკინგის მსხვერპლი.
   დ. ორსულობა, ან ძუძუთი კვება, ან მოვლა და მოვლის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების შესაძლებლობის ნაკლებობა.

84. კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), A/RES/34/180, 18 დეკემბერი, 1970 წელი. საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD), გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 2106; (XX), 21 დეკემბერი, 1965 წელი; კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებზე (CPRD), A/RES/61/106, 2007 წლის 24 იანვარი; საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტი მუშაკის და მათი ოჯახების უფლებების დაცვის შესახებ, A/RES/45/158; 18 დეკემბერი, 1990 წელი; ასევე იხილეთ გაერთიანებული ერების დეკლარაცია მკვიდრი მოსახლეობის უფლებებზე, A/RES/61/295, 2 ოქტომბერი, 2007 წელი; ბანკოკის წესები, გაერთიანებული ერების სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სამართლის ადმინისტრირების შესახებ (პეკინის წესები); A/RES/40/33, 29 ნოემბერი, 1985 წელი; ჰავანას წესები; იურისტთა საერთაშორისო კომისია (ICJ), ჯოკიაკარტას პრინციპები- საერთაშორისო ადამიანის უფლებათა კანონების გამოყენება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისთვის, მარტი, 2007 წელი.

ე. გამოსაძიებელი დანაშაულის ხასიათი, როგორიც არის პედოფილია, პოლიტიკური დანაშაული, ან ტერორისტული აქტები.[85]

137. რისკი შესაძლოა იყოს ცვალებადი ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიც არის კონტექსტი, კულტურა და დრო. მახასიათებლები, რომლებიც მიუთითებენ მოწყვლადი მდგომარეობის გაუარესებაზე, შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი ხასიათის. ზოგიერთ შემთხვევაში, მოწყვლადი მდგომარეობის გაუარესება შეიძლება იყოს თვალსაჩინო ან უკვე დოკუმენტირებული; სხვა შემთხვევებში, ეს მდგომარეობა შეიძლება არ იყოს თვალსაჩინო. ანალოგიურად, ეს მდგომარეობა შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე ფაქტორის გადაკვეთით, რომლებიც ქმნიან განცდილი რეალობებისა და გამოცდილებების უნიკალურ ერთობლიობას, ასევე, დისკრიმინაციის და არაადამიანური მოპყრობის მიმართ მოწყვლადობის ზრდას.

138. მათი ასაკიდან გამომდინარე, ბავშვები გამოკითხვის დროს ყოველთვის იმყოფებიან გაზრდილი მოწყვლადი მდგომარეობის რისკის ქვეშ და ესაჭიროებათ განსაკუთრებული ზომების მიღება ადეკვატური დაცვის უზრუნველსაყოფად. ასეთ დროს, გამოკითხვის ჩატარებისთვის უმჯობესია ისეთი ინტერვიუერის გამოყენება, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური სწავლება. დამატებითი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვებთან კომუნიკაციის ფორმებსა და თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, ასევე გამოკითხვის ჩატარების დროსა და ადგილს. ბავშვ მსხვერპლთან და მოწმესთან გასაუბრების დროს საჭიროა პროცესი ჩაატაროს სპეციალური ცოდნის მქონე ინტერვიუერმა.

139. თუ ეჭვმიტანილი არის ბავშვი, მაშინ დაუშვებელია მისი დაკითხვა ან მის მიერ განცხადების გაკეთების მოთხოვნა, ან დანაშაულთან დაკავშირებული დოკუმენტის ხელმოწერის მოთხოვნა, თუ მას არ ახლავს ადვოკატი, ან ზრდასრული ადამიანი, რომელსაც ბავშვი ენდობა და რომელიც მოქმედებს შუამავლის როლში.[86] ბავშვებს არ აქვთ ადვოკატზე უარის თქმის უფლება.[87]

140. ინტერვიუერი ინფორმირებული უნდა იყოს გარკვეული ქცევების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გაზარდოს პირის მოწყვლადობა და უზრუნველყოს, რომ ხსენებულმა ქცევებმა გავლენა არ მოახდინოს გამოსაკითხი პირის პასუხებზე. აქ იგულისხმება შემდეგი:

ა. მინიშნება - როდესაც გამოსაკითხი პირი, განსაკუთრებით ბავშვი და ფსიქოსოციალური ან ინტელექტუალური შეზღუდვების მქონე პირი მარტივად ექცევა გავლენის ქვეშ და მოწყვლადი ხდება დამაბნეველი

85. იხილეთ ასევე, A/68/295, წამებაზე სპეციალური რეპორტიორის შუალედური ანგარიში, 9 აგვისტო, 2013 წელი, 67-72.

86. იხილეთ დამატებით UNICEF ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური ოფისი, სახელმძღვანელოები ბავშვებზე მორგებული სამართლებრივი დახმარებისთვის, 2018 წლის ოქტომბერი; ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტი, ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტის სახელმძღვანელო ბავშვებზე მორგებული სამართლისთვის; 17 ნოემბერი, 2010 წელი, პარაგრაფი 12, 88.

87. მუხლი 37(d) და 40(2)(b)(ii), CRC; იხილეთ ასევე CRC/C/GC/10, პარაგრაფი 49-50.

კითხვების დასმის ან დაკითხვის წნეხის და მოტყუების დროს, რაც იწვევს ცრუ ან არასანდო ინფორმაციის მიწოდებას.

ბ. თანხმობა, კერძოდ, პასუხზე დათანხმება დაფიქრების გარეშე, ხშირად იმ მიზნით, რომ გამოკითხვა დასრულდეს დროულად.

გ. შესაბამისობა, როდესაც გამოსაკითხი პირი ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, რომ ინტერვიუერს უნდა, რომ მისგან მოისმინოს და ამით თავს არიდებს უარის მიღებას ან სასტიკ მოპყრობას.

141. გამოსაკითხი პირის მოწყვლადი მდგომარეობის კუთხით გაუარესება შესაძლოა ასევე გამოწვეული იყოს ინსტიტუციონალური წინასწარი განწყობით, დისკრიმინაციით ან ცნობიერების, სწავლების ან შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობით. აღნიშნული ხარვეზები გავლენას ახდენენ ინსტიტუციონალურ სტრუქტურებსა და მიდგომებზე, ასევე ინდივიდუალურ განსჯასა და მოქმედებებზე.

მომატებული მოწყვლადობის შეფასება და რეაგირება

142. უწყებებმა უნდა დანერგონ გაძლიერებული დაცვის და სპეციალური ზომები, რათა რეაგირება მოახდინონ მოწყვლადობის მომატებულ მდგომარეობაში მყოფი პირების კონკრეტულ საჭიროებებსა და უფლებებზე, განსაკუთრებით კი დისკრიმინაციის და საკუთარი თავის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემისგან დასაცავად. აღნიშნულს შესაძლოა დასჭირდეს სხვადასხვაგვარი სამართლებრივი და პროცედურული დაცვის ზომების გამოყენება.

143. გამოკითხვის ჩატარებამდე, უწყებებმა უნდა შეაფასონ იმყოფება თუ არა პირი მოწყვლად მდგომარეობაში და ხომ არ საჭიროებს სპეციალურ დახმარებას. განხორციელებული მოქმედება მოითხოვს მოქნილობას, მორგებულ რეაგირებას. ინტერვიუერმა და სხვა შესაბამისმა სამსახურებმა უნდა გაითვალისწინონ ყოველი ინდივიდუალური შემთხვევა და განსაზღვრონ საჭიროა თუ არა გამოკითხვაზე სხვა ინტერვიუერის გამოძახება - მაგალითად, განსხვავებული გენდერის წარმომადგენელი, ან სპეციალური ცოდნის მქონე, ან კონსულტაცია ექსპერტებთან. ზოგიერთი საფეხური განსაზღვრული უნდა იყოს კანონით, სხვა ელემენტები დამოკიდებულია თვითონ ინტერვიუერის შეფასებაზე.

144. გამოსაკითხი პირის საჭიროებების შეფასების და მათზე რეაგირების დროს, ინტერვიუერმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს კითხვები და განხილვა გამოსაკითხი თემის შესახებ. აღნიშნული ხელს უწყობს გამოსაკითხი პირის მეხსიერების ცვლილების ან დაბინძურების რისკის თავიდან არიდებას, ვიდრე მოხდება უშუალოდ გამოკითხვა.

145. მოწყვლადობა აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ გამოსაკითხ პირს არ შეუძლია სანდო ინფორმაციის მიწოდება; სანდო ინფორმაციის მიღება ხშირად შესაძლებელია მხარდაჭერის აღმოჩენით, მაგალითად, გამოსაკითხ პირს, რომელსაც აქვს სმენის ან მეტყველების სირთულეები, შესაძლოა დასჭირდეს გამოცდილი თარჯიმანი ან დამხმარე პირი. ისეთ პირებთან გასაუბრება, რომლებიც იცნობენ გამოსაკითხ

პირს - მაგალითად ოჯახის წევრთან ან სოციალურ მუშაკთან შეხვედრა - ხელს უწყობს გამოსაკითხ პირთან კომუნიკაციას.

146. მოწყვლადობის შეფასების სრულყოფილი წერილობითი ჩანაწერი, მათ შორის, ნაბიჯები, რომლებიც ინტერვიუერმა გადადგა გამოსაკითხი პირისთვის დახმარების აღმოსაჩენად, წარმოადგენს დაცვის მნიშვნელოვან მექანიზმს. ასეთი ჩანაწერები გვეხმარება იმ ნაბიჯების განსაზღვრისთვის, რომლებიც ხელს უწყობენ ეფექტურ კომუნიკაციას, ინფორმაციის შეგროვების პროცესში მონაწილეობას და გამოსაკითხი პირის უსაფრთხოებას. ეჭვმიტანილების შემთხვევაში, ინტერვიუერმა უნდა აცნობოს გამოსაკითხი პირის იურიდიულ წარმომადგენელს ნებისმიერი გამოვლენილი მოწყვლადობის ფაქტორის შესახებ და იმ საფეხურების შესახებ, რომლებიც გადაიდგა ამ კუთხით გამოსაკითხი პირის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

147. ინტერვიუერებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირის გამოკითხვაზე, სასურველია შესაძლებლობის შემთხვევაში გავლილი ჰქონდეთ სპეციალური სწავლება ან მიიღონ ექსპერტის დახმარება. ბავშვების შემთხვევაში, გამოკითხვის პროცესი უნდა განხორციელდეს სპეციალური პროცედურების დაცვით და სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტების მიერ.

148. ინტერვიუერმა უნდა მიიღოს გონივრული ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ გამოკითხვის ჩატარების ადგილმა და გარემომ მოწყვლად გამოსაკითხ პირებში არ გამოიწვიოს სტრესი.

◂ პრინციპი 4 ▸ სწავლება

ეფექტური გამოკითხვა პროფესიული ვალდებულებაა, რომელიც მიზნობრივ სწავლებას საჭიროებს.

149. ყველა იმ თანამშრომელს, რომელიც ატარებს გამოკითხვას, მათ შორის, პოლიციელსა და სხვა სამართალდამცავ პირებს, ამასთან, სადაზვერვო და სამხედრო მოსამსახურეებს, გავლილი უნდა ჰქონდეთ ეფექტური გამოკითხვის სპეციალური სწავლება - წინამდებარე დოკუმენტში განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად. სწავლება საშუალებას მისცემს ზემოაღნიშნულ პირებს მიიღონ ცოდნა, მოემზადონ და ჩაატარონ გამოკითხვები საერთაშორისო და ეროვნული კანონების, ინსტიტუციური წესებისა და უმაღლესი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.

150. ეფექტური გამოკითხვის ტექნიკების შესწავლა უნდა განხორციელდეს უწყების მასშტაბით, რათა წახალისდეს ინსტიტუციური ცვლილებები სხვადასხვა პოლიტიკისა და მეთოდების კუთხით და მოხდეს ღია მიდგომის დანერგვა ზუსტი და სანდო ინფორმაციის მოპოვების უზრუნველსაყოფად.

151. მაღალი პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება უნდა მოხდეს თანამშრომელთა კონკურენტული და მკაცრი საკონკურსო პროცესის გავლის გზით აყვანის შემთხვევაში, შერჩევის კრიტერიუმებისა და იმ პროცესის შესაბამისად, რომელიც ავითარებს გამოკითხვაში მონაწილე პირების უნარების მრავალფეროვნებას.

მიზნობრივი სწავლება

152. მიზნობრივი სწავლება უზრუნველყოფს კომპეტენციის მაღალი დონის მიღწევას გამომკითხველის მიერ გამოკითხვისთვის მომზადების და გამოკითხვის პროცესის სტრუქტურულად წარმართვისათვის. სწავლებით გამომკითხველი მიიღებს ცოდნას პრაქტიკული მეთოდოლოგიის კუთხით, რაც დაფუძნებული იქნება კვლევაზე და მიუთითებს ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიღებისთვის საჭირო ტექნიკების გამოყენებაზე, ამასთან, შეამცირებს ყალბი ინფორმაციის მიღების რისკებს.

153. გამომკითხველის მომზადების პროცესი უნდა მოიცავდეს იმის მნიშვნელობის გააზრებას, რომ გასაუბრება არის გადამწყვეტი ნაწილი ფართო საგამოძიებო ან ინფორმაციის შეგროვების პროცესისა და საბოლოოდ, მართლმსაჯულების პროცესისა, მიუხედავად იურისდიქციისა. გასაუბრების ეფექტურობაზე და შესაბამის გარანტიებზე აქცენტის გაკეთება გადამწყვეტია, რათა უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს ადამიანის უფლებებით სარგებლობას და, აგრეთვე, წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციას.[88]

154. ეფექტური გამოკითხვის სწავლების მთავარი ელემენტები მოიცავს შემდეგს:

   ა. მიმღებლობა და წინასწარი შეფასებების თავიდან აცილება
   ბ. სტრატეგიული დაგეგმვა და მომზადება
   გ. ურთიერთნდობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება
   დ. გამოსაკითხი პირების კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება
   ე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობა
   ვ. გამოკითხვის პროცესში დაცვის მექანიზმების გამოყენების უზრუნველყოფა
   ზ. მეცნიერულად აღიარებული გამოკითხვის ტექნიკების გამოყენება
   თ. აქტიური მოსმენის უნარების გამოყენება და გამოსაკითხი პირისთვის დასმულ კითხვაზე სრული პასუხის გაცემის შესაძლებლობის მიცემა
   ი. თავშეკავებულ პირებთან კომუნიკაცია
   კ. გამოსაკითხი პირის ადვოკატთან კომუნიკაცია
   ლ. გამოკითხვის პროფესიონალური ფორმით დაწყება და დასრულება
   მ. შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი
   ნ. უნარების გაუმჯობესების მიზნით, გამოკითხვის პროცესის შეფასება.

155. სწავლება გამოკითხვის თემატიკაზე უნდა გრძელდებოდეს საკმარისი დროით, რათა ადამიანმა შეძლოს აუცილებელი თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკული ცოდნის დაგროვება. სწავლება უნდა მოიცავდეს რამდენიმე პრაქტიკულ სესიას რეალისტური ოპერაციული სცენარებითაც, ამასთან, უკუკავშირს ზედამხედველისა და კოლეგებისაგან.

156. სცენარებზე დაფუძნებულ სესიებში ყოფილი გამოსაკითხი პირებისა და სხვა პროფესიონალების მონაწილეობა (როგორიც არის სამედიცინო პერსონალი, თარჯიმნები და დამხმარე პირები) გაამდიდრებს სასწავლო გამოცდილებას.

157. დამატებითი სწავლება უნდა ჩატარდეს გამომკითხველების, შუამავლებისა და თარჯიმნებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ მაღალი მოწყვლადობის მქონე პირების, მაგალითად, ბავშვებისა და ფსიქოსოციალური შეზღუდვების მქონე პირების, გამოკითხვებში. ასეთი სწავლებით მსმენელებმა უნდა მიიღონ მითითებები, თუ როგორ უნდა დააკვირდნენ გამოსაკითხი პირის ფსიქოლოგიურ

88. მუხლი 10, UNCAT

კეთილდღეობას და საჭიროების შემთხვევაში, შეწყვიტონ გამოკითხვა და მოითხოვონ დახმარება შესაბამისი უნარების მქონე პროფესიონალებისაგან.[89]

158. სწავლებას ასევე უნდა გადიოდეს ის პერსონალი, რომელიც ახორციელებს გამომკითხველების მართვასა და ზედამხედველობას, რათა მათ არა მხოლოდ საკუთარი გასაუბრების უნარები გაიუმჯობესონ, არამედ ისიც ისწავლონ, როგორ შეაფასონ გასაუბრების საერთო ხარისხი. ეს მათ საშუალებას მისცემს გამომკითხველებს მისცენ შესაბამისი უკუკავშირი და აღმოუჩინონ დახმარება.

159. სხვა შესაბამის პირებს, როგორებიც არიან მოსამართლეები, პროკურორები, ოფიცრები და დაცვის ადვოკატები, უნდა ჩაუტარდეთ მოკლე კურსი ეფექტური გამოკითხვის საკითხებზე. ეს ხელს შეუწყობს თითოეულ როლსა და გამოწვევაზე საერთო აღქმის ჩამოყალიბებას და შესაძლო საჩივრების შემთხვევაში, ხელს შეუწყობს გარე მონიტორინგსა და შეფასებას.

160. სწავლებაში ტექნოლოგიის გამოყენებას შეუძლია ხელი შეუწყოს სამომავლო გამოკითხვების ხარისხის გაუმჯობესებასა და შემდგომი კვლევებისათვის მნიშვნელოვანი მონაცემების გენერირებას. აქ იგულისხმება სასწავლო სესიების ჩაწერისთვის აუდიო-ვიდეო მოწყობილობების გამოყენება და ელექტრონულად ჩაწერილი გამოკითხვის ჩანაწერების გამოყენება სცენარებზე დაფუძნებული სესიებისათვის.

161. სამართალდამცავ სამსახურებს, სამხედრო და სადაზვერვო პერსონალს, საზედამხედველო ორგანოებს, აკადემიურ და საერთაშორისო პარტნიორებს შორის უნდა წახალისდეს სასწავლო თანამშრომლობა. აკადემიურ და დამოუკიდებელ მკვლევარებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მათ მიერ ჩატარებული კვლევა გახდეს საჯარო და ხელმისაწვდომი.

162. სასწავლო პროგრამები უნდა განახლდეს რეგულარულად და ასახოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და სამეცნიერო კვლევები. მუდმივად განვითარებადი კვლევებისა და გადამოწმების ტექნიკის პრაქტიკაში დანერგვა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების დამატებით გაძლიერებას.[90]

უწყვეტი პროფესიული განვითარება

163. გამოკითხვის ცოდნა და უნარები დროთა განმავლობაში უნდა შენარჩუნდეს. უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამებში ეფექტური გამოკითხვის ჩართვა დაეხმარება ინსტიტუტებს, შეინარჩუნონ ეთიკური და ეფექტური გასაუბრების პრაქტიკა.

89. მუხლი 13 CRPD; წესი 12, პეკინის წესები, ასევე იხილეთ სახელმძღვანელოები ბავშვ მსხვერპლებთან და დანაშაულის მოწმეებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები; ECOSOC გადაწყვეტილება, 2005/20. 22 ივლისი, 2005 წელი.

90. მუხლი 11, UNCAT; დამატებით იხილეთ A/HRC/RES/31/31, პარაგრაფი 11-12; A/HRC/RES/46/15, პარაგრაფი 10.

164. უწყვეტი პროფესიული განვითარების კრიტიკული ელემენტები მოიცავენ ხელმძღვანელობის ძალისხმევას, რეგულარული სწავლების წახალისებასა და სწავლებების განახლებას ტექნიკების დახვეწის, შეცდომების გამოსწორებისა და გამომკითხველებისათვის უახლესი კვლევების გაცნობის გზით.

165. უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამები უნდა ეხმარებოდნენ უწყებებსა და განსაკუთრებით ზედამხედველებს, უკეთ განახორციელონ მონიტორინგი და გააკონტროლონ გამოკითხვის ხარისხი, განსაზღვრონ სამომავლო სწავლების საჭიროებები, გააუმჯობესონ ტექნოლოგიების გამოყენება და განავითარონ კვლევითი ცოდნა.

◂ პრინციპი 5 ▸ ანგარიშვალ-დებულება

ეფექტური გამოკითხვის პროცესი გამჭირვალე და ანგარიშვალდებულ ინსტიტუტებს საჭიროებს

ინსტიტუციური პროცედურები და განხილვა

166. სტანდარტული ოპერაციული პროცედურები, ქცევის კოდექსები თუ სხვა ინსტიტუციური დირექტივები ხელს უწყობენ ეფექტური გამოკითხვის პრაქტიკებს და ინსტიტუციური კულტურის ცვლილებას.

167. გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად, უწყებებმა სისტემურად, ზედმიწევნით და ფართოდ უნდა განიხილონ წესები, ინსტრუქციები, მეთოდები და პრაქტიკები, რომლებიც პირთა დაკითხვას შეეხება.[91] წინამდებარე შეფასების საფუძველზე, საგამოძიებო უწყებებმა უნდა მიიღონ და გამოაქვეყნონ სტანდარტული ოპერაციული პროცედურები, პოლიტიკა და ქცევის კოდექსები, რათა დაამკვიდრონ აღსრულებადი სტანდარტები გამოკითხვის/დაკითხვის განმახორციელებელი პირებისთვის. ასეთი ნორმები უნდა შეესაბამებოდეს გამოკითხვაში მონაწილე სამართალდამცავი უწყების თანამშრომლებისა და სხვა თანამდებობის პირებისთვის დადგენილ საერთაშორისოდ აღიარებულ ქცევის სტანდარტებს.

168. უწყებების მიერ რეგულარულად ჩატარებული განხილვებით, უნდა შეფასდეს გამოკითხვისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების დონეც, მათ შორის, ტექნოლოგიების სათანადო გამოყენება. რეგულარულ განხილვას შეუძლია ხელი შეუწყოს ეროვნულ დონეზე შეთანხმებული სტანდარტების გამოყენებას და შესრულებას, რასაც ემატება პერიოდული გაუმჯობესება.

169. განხილვა შეიძლება ეფუძნებოდეს ცოდნას და დამოუკიდებელი მკვლევარების დახმარებას, გამოცდილი პრაქტიკოსებისა და ორგანიზაციების ცოდნას, რომლებსაც აქვთ ეფექტური გამოკითხვის ჩატარების გამოცდილება და ვალდებულება.

91. მუხლი 11, UNCAT; დამატებით იხილეთ A/HRC/RES/31/31, პარაგრაფი 11-12; A/HRC/RES/46/15, პარაგრაფი 10.

170. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება გამოყენებული უნდა იქნეს ყველა უფლებამოსილი პირის მიერ, მიუხედავად მათი წოდებისა, მათ შორის, ინდივიდუალურ, საზედამხედველო და ორგანიზაციულ დონეებზე.

171. გამჭვირვალობა გადამწყვეტია ინსტიტუტის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნებისა და სამართლიანობისთვის. უწყებებმა ხელმისაწვდომი უნდა გახადონ მათი შიდა წესები და პროცედურები, რომლებიც გამოკითხვას უკავშირდება.

172. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება გარანტირებული უნდა იყოს ყველა გამოსაკითხი პირისთვის, მათი ოჯახების, ადვოკატებისა და სხვა იურიდიული მომსახურების მიმწოდებლების, ამასთან, საზედამხედველო მექანიზმისათვის.[92]

173. ყველა პერსონალური ინფორმაცია, რომელიც გროვდება გამოკითხვის დროს, კონფიდენციალურობის პრინციპებზე დაყრდნობით დაცული უნდა იქნეს შეუსაბამო გამოყენებისგან. ამასთან, მსგავსი ინფორმაციის დაცვა უნდა მოხდეს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.[93]

ჩანაწერების ეფექტური შენახვა

174. ინფორმაციის ეფექტური ჩაწერა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების წინაპირობაა. ჩანაწერების სწორად შენახვა, ხელს უწყობს ადრეულ ეტაპზე რისკების იდენტიფიცირებას, სამუშაოს დაგეგმვას, რესურსების გამოყოფას, აუდიტის პროცესის წარმოებასა და კვლევასაც.

175. როდესაც ხდება პირის დაკავება, მისი საქმე სასურველია შენახული იქნეს ელექტრონულ ფორმატში და უნდა გაიხსნას საჭიროების შესაბამისად.[94]

176. ზუსტი ჩანაწერი უნდა გაკეთდეს ყველა გამოკითხვისთვის, სასურველია აუდიო-ვიდეო ტექნოლოგიის გამოყენებით. ცალსახაა, რომ აუდიო-ვიზუალური ჩაწერა პროგრესული პროცესია, არსებობს მისი მატერიალური სარგებელი და დანაზოგი, რომელიც უკავშირდება სანდო ჩანაწერების არსებობას.

177. აუდიო-ვიდეო ჩანაწერების წარმოება ხელს შეუწყობს გამოკითხვის დროს ნებისმიერი არასათანადო მოპყრობის ბრალდების ეფექტურ გამოძიებას. აღნიშნული ემსახურება როგორც იმ პირის ინტერესებს, რომელიც აფიქსირებს არასათანადო მოპყრობის შემთხვევას, ამასთან, გამოსაკითხი პირის ინტერესებს, რომელსაც ბრალს სდებენ არასათანადო მოპყრობაში.

92. მუხლი 18, იძულებითი გაუჩინარების კონვენცია; მუხლი 20 დამატებითი ოქმი, კონვენცია წამების წინააღმდეგ (OPCAT), A/RES/57/199, 18 დეკემბერი, 2002 წელი.

93. მუხლი 20, იძულებითი გაუჩინარების კონვენცია; მუხლი 21 OPCAT.

94. მუხლი 17(3), იძულებითი გაუჩინარების კონვენცია; პრინციპი 12, სახელმძღვანელო პრინციპები; ასევე იხილეთ წესი 9(c), ლუანდას სახელმძღვანელოები; ECTHR, დოილი ირლანდიის წინააღმდეგ, პარაგრაფი 99.

პრევენცია და ანგარიშგება

178. ეფექტური გამოკითხვისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომების პატივისცემა და ამ პროცესზე პასუხისმგებლობის აღება ასახული უნდა იყოს შესაბამისი უწყების შიდა წესებში, ქცევის კოდექსებსა და სამუშაოს შესრულების შეფასებაში.

179. თითოეულ უწყებას, რომელიც ატარებს გამოკითხვას უნდა ჰქონდეს შიდა საჩივრებისა და გამოძიების განყოფილებები, რომლებსაც, თავის მხრივ, ექნებათ ხელმძღვანელობის ჯაჭვი, მიუკერძოებელი ანგარიშგება, შურისძიებისგან დაცვა და კონკრეტული პროცედურები ნებისმიერი ძალადობის ან ვალდებულების დარღვევის შემთხვევების გამოსწორების, დისციპლინური რეაგირების ან სისხლის სამართლის გამოძიებაში გადაცემისათვის.[95]

180. გამოკითხვის შიდა წესებთან შეუსაბამობამ უნდა განაპირობოს შესაბამისი ინსტიტუციური რეაგირება - დაწყებული დისციპლინური მოქმედებიდან დამთავრებული გადამზადებით. სამართლებრივი ვალდებულებების სერიოზულმა დარღვევებმა, როგორიცაა წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვის წესის დარღვევა, უნდა გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პროცედურები და სანქციები.[96] დისციპლინის ან კარგი ქცევის პრაქტიკების დარღვევაზე რეაგირება უნდა მოხდეს მიუკერძოებლად და საერთაშორისო სამართლისა და სტანდარტების პროპორციულად.

181. სახელმწიფო მოხელეებმა არასოდეს უნდა უგულებელყონ უკანონო ქმედება, მიუხედავად შესაბამისი პირის წოდების, რანგისა თუ ფუნქციისა და არ აქვს მნიშვნელობა, რა გარემოში ან კონტექსტში ხდება ეს.

182. ზედამხედველებმა უნდა შეაფასონ, მიიღონ პოზიტიური ზომები, მოახდინონ ანგარიშგება ან სხვაგვარად მოახდინონ ნებისმიერი არაპროფესიული ქცევის ან გადაცდომის შემთხვევის ესკალაცია, რომელიც მათ დაქვემდებარებაში მყოფ პირს უკავშირდება.[97]

183. წამების და არასათანადო მოპყრობის შემთხვევების შეტყობინების ვალდებულება უნდა იყოს სავალდებულო და დაცული. თუ თანამდებობის პირი თვლის, რომ მას არ შეუძლია უშუალოდ ჰკითხოს ან დაუპირისპირდეს კოლეგას, მაშინ, აუცილებელია, საკითხი დადგეს უშუალო მენეჯერთან, სამსახურის ანგარიშგების მექანიზმების ან სხვა შესაბამისი საშუალებების, მათ შორის, საზედამხედველო მექანიზმების გამოყენებით. ეს ვალდებულება უნდა გავრცელდეს თუ პიროვნებას ექმნება შთაბეჭდილება, რომ მის მიერ საკითხის დაფიქსირებას არ მოჰყოლია შესაბამისი რეაგირება.

95. იხილეთ პრინციპი 33, სახელმძღვანელო პრინციპები; წესი 38, ლუანდას სახელმძღვანელოები; CPT/Inf (2018)4, 27-ე ზოგადი ანგარიში CPT, დეკემბერი, 2007 წელი, გვერდები 25-31; CPT/Inf (2019)9, 28-ე ზოგადი ანგარიში CPT, 2019 წლის აპრილი.

96. მუხლი 6-8 UNCAT.

97. იხილეთ CPT/Inf (2018) 4, 27-ე ზოგადი ანგარიში CPT, 2017 დეკემბერი, პარაგრაფი 70.

184. პირისთვის, რომელიც აფიქსირებს შეტყობინებას ძალადობის შესახებ, მაგალითად მამხილებლისათვის, ხელმისაწვდომი უნდა იყოს შურისძიების ან უარყოფითი მოპყრობისაგან შესაბამისი დაცვა.

185. სისხლის სამართლის სხვა პროფესიონალებს, როგორებიც არიან ადვოკატები, პროკურორები და მოსამართლეები, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ გასაუბრებასთან დაკავშირებულ დარღვევებთან ან ეჭვი აქვთ მათ ჩადენაზე, ასევე, ეკისრებათ ვალდებულება, რომ ეს სათანადო გზებით აცნობონ შესაბამის სააგენტოს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს.

186. სისხლის სამართლის სპეციალისტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციაში და გამოკითხვის პრაქტიკების გაუმჯობესებაში. აღნიშნული, განსაკუთრებით, მოიცავს სამართალწარმოების პროცესიდან ისეთი მტკიცებულების ამოღებას, რომელიც მიღებული იქნა წამების, არასათანადო მოპყრობის, პროცედურული დარღვევების ან ნებისმიერი ფორმის დაშინების გამოყენებით.

187. სამართალწარმოების პროცესში აღიარებაზე გადაჭარბებული დამოკიდებულება განაპირობებს გამომკითხველის დამოკიდებულებას, რომელიც გამოკითხვის მთავარ მიზნად სწორედ აღიარებას აღიქვამს. შესაბამისად, წინამდებარე დამოკიდებულება თავიდან უნდა იქნას აცილებული.

გარე ზედამხედველობა და დამოუკიდებელი მონიტორინგი

188. გარე საზედამხედველო ორგანოებს - როგორიც არის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები, ომბუდსმენის სამსახური, ან სპეციალური საზედამხედველო ორგანიზაციები - უნდა ჰქონდეთ წვდომა ნებისმიერ დაწესებულებაზე, სადაც ხდება დაკავებული პირის გამოკითხვა და დაკავებული პირისგან ინფორმაციის მიღება.

189. გარე მონიტორინგის უწყებებს უნდა შეეძლოთ დაკავებულ პირებთან კონფიდენციალური კომუნიკაციის დამყარება. პირებს, რომლებიც აფიქსირებენ სახელმწიფოს წარმომადგენლის მხრიდან, არასათანადო მოპყრობის ან გადაცდომის შემთხვევებს, უნდა ჰქონდეთ თავისუფალი კომუნიკაციის შესაძლებლობა და დამოუკიდებელი მონიტორინგის ორგანოებთან კონფიდენციალური კონტაქტის უფლება, მათ არ უნდა ეშინოდეთ შურისძიების, მათთვის უნდა შეიქმნას გონივრული პირობები დაკვირვების და წესრიგის დაცვის მიზნებისათვის.

190. ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების შესახებ პარიზის პრინციპების[98] შესაბამისად, გარე მონიტორინგის ორგანოები უნდა იყვნენ დამოუკიდებელი და ჰქონდეთ შესაბამისი რესურსები სიღრმისეული, დროული, მიუკერძოებელი

98. პრინციპები ეროვნული ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების სტატუსის შესახებ (პარიზის პრინციპები), A/RES/48/134, 20 დეკემბერი, 1993 წელი.

და სამართლიანი ანალიზის ჩასატარებლად, რათა განსაზღვრონ იმ ადგილების გამართული ფუნქციონირება, სადაც ხდება პირების გამოკითხვა. წინამდებარე მიდგომით შესაძლებელია გამოსაკითხი პირების უფლებებისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფა.

191. გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვეციის ფაკულტატური ოქმის მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ეროვნული პრევენციული მექანიზმის გაძლიერებას, რათა საპატიმრო დაწესებულებებში შეძლონ წინასწარი შეტყობინების გარეშე ვიზიტების განხორციელება. მათ უნდა ჰქონდეთ წვდომა ინფორმაციასა და ფაილებზე, ამასთან, უფლება, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირებთან, ამასთან, პერსონალთან ჩაატარონ პირადი გასაუბრება. [99]

192. სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ისეთი სისტემები და პროცესები, რომლებიც საშუალებას მისცემს გარე მონიტორინგის ორგანოებს, წარმოადგინონ რეკომენდაციები ნებისმიერი რეფორმისათვის, რომელიც აუცილებელია გასაუბრების ეფექტურობისა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გაძლიერების უზრუნველსაყოფად. უწყებებმა უნდა აიღონ ვალდებულება, რათა დიალოგი აწარმოონ გარე ორგანოებთან მათი დასკვნებისა და რეკომენდაციების საკითხზე.

193. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ დამოუკიდებელ ზედამხედველობასა და მონიტორინგში. უწყებები ღიად უნდა შეხვდნენ მათ მონაწილეობას და გაითვალისწინონ ნებისმიერი ანგარიში, რომელსაც ასეთი ორგანიზაციები მოამზადებენ საპატიმრო და გამოკითხვის დაწესებულებების მონიტორინგის საფუძველზე. აქ იგულისხმება ისეთი ადგილებიც, სადაც ხდება მოწმეებისა და მსხვერპლის დაკითხვა.

საჩივრები და გამოძიებები

194. ყველა გამოსაკითხ პირს აქვს უფლება განაცხადოს ცუდი მოპყრობის, მათ შორის, მინიჭებული უფლებების გამოყენებაზე უარის შემთხვევაში. ასეთი საჩივრები მოითხოვს დროულ, დეტალურ და მიუკერძოებელ გამოძიებას, რომელიც უნდა დაევალოს კომპეტენტურ სამსახურებს.[100]

195. საჩივრების მექანიზმებზე წვდომა უნდა იყოს მარტივი, პირდაპირი, უფასო და კონფიდენციალური. შესაბამისი ზომები მიღებული უნდა იქნას, რათა საჩივრების მექანიზმები ხელმისაწვდომი იყოს ყველა, განსაკუთრებით კი, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის. მომჩივნებმა უნდა მიიღონ მკაფიო მითითებები საჩივრების პროცესებზე, გასაჩივრების მექანიზმებსა და შედეგებზე.[101]

99. მუხლი 19-20, OPCAT

100. მუხლი 12-13, UNCAT.

101. ასევე, იხილეთ, წესი 37, ლუანდას სახელმძღვანელოები; CPT/Inf (2018)4, 27-ე ზოგადი ანგარიში CPT, დეკემბერი, 2017 წელი, გვერდები 25 - 31.

196. ყველა საჩივარი უნდა აღირიცხოს, მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდა ის. ასეთი საჩივრები უნდა გახდეს ოფიციალური საქმის ნაწილი. ყოველთვის როდესაც დაფიქსირდება საჩივარი გამოსაკითხი პირის სახელით და გამოკითხვის მიმდინარეობისას, ჩანაწერში შეიძლება აისახოს გამოკითხვის დროებითი შეჩერება.

197. თუ გამომკითხველს აქვს გონივრული ეჭვი იფიქროს, რომ გამოსაკითხ პირს ცუდად მოექცნენ ან მას არ მიეცა უფლებების გამოყენების შესაძლებლობა, მაშინ გამომკითხველმა ამის შესახებ შესაბამის ოფიცერს ან სამსახურს უნდა აცნობოს, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებელია რეაგირებაზე.

198. ყოველთვის, როდესაც არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ განხორციელდა წამების ფაქტი, საჩივრის არ არსებობის პირობებშიც კი აუცილებელია შემთხვევის დეტალურად, დროულად და მიუკერძოებლად გამოძიება როგორც ეს გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-12 მუხლით არის დადგენილი.[102]

199. სერიოზული ბრალდებების შემთხვევაში როგორიც არის წამება, საჩივრების გამოძიება უნდა მოხდეს დამოუკიდებელი სუბიექტის მიერ. სახელმწიფოებმა უნდა შექნან გარე მექანიზმები გამოძიების და საჩივრებისთვის, რომლებიც იმუშავებენ და იქნებიან ფინანსურად დამოუკიდებელი როგორც სამართალდამცავი, ამასთან, პროკურატურის სამსახურების ან სხვა სამსახურებისგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თავისუფლებააღკვეთილ პირებზე. მექანიზმების ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის ასეთ მექანიზმებს უნდა ჰქონდეთ გამოძიების ადეკვატური უფლებამოსილება, პოლიტიკური მხარდაჭერა, ადამიანური და ფინანსური რესურსები და კომპეტენცია რეკომენდაციების როგორც მომზადების, ასევე, მათი შესრულების მონიტორინგისათვის.

200. ყველა მომჩივანი დაცული უნდა იყოს ნებისმიერი უარყოფითი გავლენის და შურისძიებისგან, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს საჩივრის დაფიქსირებას.[103]

რეაგირება და რეპარაცია

201. წამებისა ან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა შემთხვევებზე რეაგირება არის ადამიანის უფლება, რომელიც ხელს უწყობს ანგარიშვალდებულებას და ღირსების აღდგენას. რეპარაცია არსებული ვალდებულებების დარღვევის მიმართ მტკიცე წინააღმდეგობის ნიშანია და უნდა მოიცავდეს რესტიტუციის, კომპენსაციის, რეაბილიტაციის დაკმაყოფილებისა და განმეორებისაგან დაცვის გარანტიების ერთობლიობას. მაკორექტირებელი მოქმედებები უნდა იყოს მიყენებული ზიანის პროპორციული.[104]

102. მუხლი 12 UNCAT.

103. მუხლი 13, UNCAT.

104. მუხლი 14, UNCAT; იხილეთ A/RES/60/147, საერთაშორის ადამიანის უფლებათა კანონის მნიშვნელოვანი დარღვევების მსხვერპლების მაკორექტირებელი მოქმედებების და რეპარაციის უფლებების საბაზისო პრინციპები და სახელმძღვანელოები, 16 დეკემბერი, 2005 წელი.

202. წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის შემთხვევებში, გამოსასწორებელ ქმედებებზე წვდომა არ უნდა იყოს დამოკიდებული მოძალადის იდენტიფიკაციაზე, გამოძიებასა თუ დასჯაზე; ეს აუცილებელთა მხოლოდ ჩადენილი ქმედების გამოსავლენად. [105]

203. ისეთი მტკიცებულებების არ აღიარება, რომლებიც მიღებულია წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის საფუძველზე, არის გამოსაკითხი პირის უფლება და არის ეფექტური საშუალება გამომკითხველის მხრიდან გადაცდომებისგან თავის დასაცავად.[106]

105. მუხლი 14, UNCAT; CAT/C/GC/3, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N3 (2012), მე-14 მუხლის დანერგვა წევრი სახელმწიფოების მიერ, 13 დეკემბერი, 2012 წელი, პარაგრაფი 3.

106. A/HRC/30/37, გაერთიანებული ერების საბაზისო პრინციპები და სახელმძღვანელოები სასამართლოში საქმის აღძვრის უფლებები შესახებ, თვითნებური დაკავების სამუშაო ჯგუფის ანგარიში, 6 ივლისი, 2015 წელი.

პრინციპი 6
იმპლემენტაცია

ეფექტური გამოკითხვის პრაქტიკაში იმპლემენტაცია მოითხოვს მძლავრ ეროვნულ მექანიზმებს.

204. ამ პრინციპების იმპლემენტაციისათვის, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ და განავითარონ შესაბამისი სამართლებრივი, პოლიტიკური, მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო დოკუმენტები და უზრუნველყონ გამოკითხვის განმახორციელებელ სამსახურებზე სასამართლო ზედამხედველობა.

205. მძლავრი ეროვნული ზომების დანერგვით, უწყებები ახდენენ მათი მონდომებისა და გრძელვადიანი მზაობის დემონსტრირებას:

   ა. გამოკითხვის პროცესში არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;
   ბ. ყველა უწყებისათვის შესაბამისი და სრულყოფილი სწავლებების უზრუნველყოფას;
   გ. შესაბამისი და ეფექტური გამოკითხვის სტრატეგიებისა და პრაქტიკის შემუშავების უზრუნველსაყოფად, ექსპერტებს, პრაქტიკოსებსა და პოლიტიკოსებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას;
   დ. გამოკითხვასთან, ინსტიტუციურ კორუფციასთან და დაუსჯელობის პრობლემასთან ბრძოლისათვის ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების წახალისებას;
   ე. სისხლის სამართლის სისტემისა და სამართლის აღსრულების გაუმჯობესებას.

206. წინამდებარე ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ წამებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის პრევენციას, პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესებასა და კანონის უზენაესობის დაცვას, არამედ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, ყველაზე ეფექტური მეთოდების დანერგვას.

ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო დოკუმენტები

207. სახელმწიფოებმა სისტემატურად უნდა განიხილონ მათი სამართლებრივი ჩარჩო დოკუმენტები, ამასთან, აამოქმედონ და გამოსცენ კანონები, ბრძანებები და პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ გამოსაკითხ პირებთან მოპყრობის საკითხებს, მათ შორის, გამოკითხვის პროცესს. ასეთი კანონმდებლობა და პროცედურები სრულად უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სამართლებრივ ვალდებულებებს, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლით, განსაკუთრებით კი, გასათვალისწინებელია წამების და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის აკრძალვა.[107]

208. უსაფრთხოების ინტერვიუს/დაკითხვის ეფექტიანობისთვის აუცილებელი სამართლებრივი გარანტიები უნდა დაინერგოს კანონსა და რეგულაციებში. ეს გარანტიები მინიმუმ უნდა მოიცავდეს: ოჯახის დაუყოვნებლივ ინფორმირებას, სამედიცინო შემოწმებაზე ხელმისაწვდომობასა და ადვოკატთან შეხვედრის უფლებას. ამ კუთხით, სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა და სახელმწიფო დაცვა როგორც გამოკითხვის დაწყებამდე, ამასთან, მისი მიმდინარეობისას.[108]

209. წამებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის ადეკვატური კრიმინალიზაცია გადამწყვეტ როლს ასრულებს ეფექტური დაკითხვის ხელშეწყობაში. არავითარი განსაკუთრებული გარემოება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას წამებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის გასამართლებლად.[109]

210. სამართლებრივი ჩარჩო დოკუმენტები უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ ნებისმიერ აღიარებას ან სხვა ჩვენებას, რომელიც მოპოვებულია წამების ან სხვა სახის იძულების გზით მოპყრობის პირობებში, არ ჰქონდეს მტკიცებულებითი ღირებულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე შეეხება ასეთ დანაშაულში ეჭვმიტანილებს და მათ მიერ მიცემულ ჩვენებას. ეროვნულმა კანონებმა უნდა უზრუნველყონ მოძალადეების პასუხისგებაში მიცემა.[110]

ინსტიტუციური კულტურა და შესაძლებლობები

211. ინსტიტუციური ლიდერები უნდა იყვნენ ეფექტური გამოკითხვის მხარდამჭერები, რისთვისაც ხელი უნდა შეუწყონ მკაფიო და გრძელვადიან ცვლილებას. ინსტიტუციური კულტურის ცვლილება გამოკითხვასთან მიმართებით მოითხოვს სწორ მმართველობას და გონივრულ დაგეგმვას.

107. მუხლი 11, UNCAT; A/HRC/RES/31/31, პარაგრაფი 11; A/HRC/RES/46/15, პარაგრაფი 10.

108. A/HRC/RES/31/31, პარაგრაფი 4-9; A/HRC/RES/46/15, პარაგრაფი 5.

109. მუხლი 4-6, UNCAT

110. მუხლი 15, UNCAT; A/HRC/RES/31/31, პარაგრაფი 11; A/HRC/RES/46/15, პარაგრაფი 22; A/HRC/25 /60, პარაგრაფი 68; A/71/298, პარაგრაფი 100 (შენიშვნა 3).

212. ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაკითხვასთან დაკავშირებული ყველა ცვლილება ეროვნულ საკანონმდებლო და პოლიტიკურ ჩარჩოებში, სრულად იყოს ინტეგრირებული ინსტიტუციურ წესებსა და პროცედურებში და ფართოდ იყოს გაზიარებული პერსონალთან. უშუალოდ დაკითხვაში ჩართულ თანამშრომლებს უნდა მიეცეთ პრაქტიკული მითითებები ნებისმიერი ახალი სამართლებრივი და პოლიტიკური მოთხოვნის შესახებ.

213. აზრობრივი და გრძელვადიანი ცვლილებები დაკითხვის პრაქტიკაში მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა ადეკვატური ადამიანური და ფინანსური რესურსები მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ჩადონ. ეს უზრუნველყოფს ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და პოტენციალის გაძლიერებას, განსაკუთრებით კი, მიზნობრივი სწავლებებისა და ჩამწერი აპარატურის ხელმისაწვდომობის მეშვეობით.

214. საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება, რათა სისხლის სამართლის და სხვა საგამოძიებო უწყებებმა იმოქმედონ ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით და რომ მათი მუშაობა იყოს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სასამართლო და საზოგადოებრივი ზედამხედველობის მიზნებისთვის.

215. სამართალდამცავი და სხვა ინფორმაციის შემგროვებელი უწყებების ინსტიტუციური შესაძლებლობები შეიძლება გაძლიერდეს სხვა უწყებებთან, კვლევით და აკადემიურ საზოგადოებასთან კონსტრუქციული თანამშრომლობით. ასეთი თანამშრომლობა, რომელიც შეიძლება გასცდეს ეროვნულ საზღვრებს სასარგებლოა ანალიზის და ინფორმაციის მიღებისთვის, რაც ხელს უწყობს გამოკითხვის პრაქტიკების გაუმჯობესებას.

სასამართლო უწყებები

216. სასამართლოსა და პროკურატურის დამოუკიდებლობა უნდა იყოს გარანტირებული და დაცული, რათა მათ შეძლონ ეფექტური გამოკითხვის სისტემის დანერგვაში აქტიური როლის შესრულება.[111] აღნიშნული ვრცელდება ექსპერტიზის და დაკავშირებული სამსახურების პროფესიულ და სამეცნიერო დამოუკიდებლობაზეც.

217. ისეთი ფუნდამენტური გარანტიების დანერგვისას, როგორიც არის სამართლიანი სასამართლოს უფლება, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ეტაპზე დაცული იყოს გამოსაკითხი პირის უფლებები. ეს მოითხოვს როგორც იმის შესწავლას თუ როგორ ჩატარდა გამოკითხვა, ამასთან, იმის გათვალისწინებას, შეძლო თუ არა ეჭვმიტანილმა სამართლებრივი და პროცედურული დაცვის ზომებით სარგებლობა, მათ შორის, ხელმისაწვდომი იყო თუ არა მისთვის ადვოკატი და ექიმი.

111. იხილეთ A/HRC/13/I19, ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია, 23 მარტი, 2010 წელი; ასევე, იხილეთ მუხლი 14, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენცია.

218. სასამართლომ უნდა აღმოფხვრას საგამოძიებო უწყებების მიერ ნებისმიერი გზით აღიარების მიღების სურვილი და ხელი შეუწყოს ეთიკური და მეცნიერულად დადასტურებული მეთოდების გამოყენებას.

219. სასამართლომ უნდა მიიღოს მხოლოდ კანონიერად მოპოვებული მტკიცებულება და ყურადღება გაამახვილოს ნიშნებზე, რომლებიც მიუთითებს, რომ ჩვენება მიცემული იქნა დაშინების ან არაადამიანური მოპყრობის პირობებში. წამებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობით ან იძულების გზით მიღებული ჩვენება ამოღებული უნდა იქნას სამართალწარმოებიდან, გამონაკლისების გათვალისწინებით.[112]

220. ეჭვმიტანილები და ბრალდებულები ფიზიკურად უნდა გამოცხადნენ სასამართლო უწყებაში, რათა დარწმუნდნენ დაკავების ლეგიტიმურობაში, რომლის გასაჩივრების უფლებაც მათ აქვთ. თუ არსებობს გონივრული ეჭვი იმისა, რომ პიროვნება შესაძლოა გამხდარიყო არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი, მაშინ პროკურატურამ და სასამართლომ უნდა გამოიძიონ წინამდებარე საკითხი.[113] მათ უნდა მოთხოვონ სასამართლო სამედიცინო შემოწმება მაშინაც კი, თუ არ არსებობს ბრალდება ან საჩივარი.

221. და ბოლოს, სასამართლომ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა უზრუნველყოს, რომ წამებაზე ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობაზე პასუხისმგებელი პირები წარსდგნენ სასამართლოს წინაშე და მათზე გავრცელდეს შესაბამისი სანქციები.[114]

გავრცელება

222. სახელმწიფოებმა პრინციპები უნდა გაავრცელონ ყველა შესაბამის აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო უწყებაში, განსაკუთრებით კი, სამართალდამცავ და ინფორმაციის შეგროვებაზე პასუხისმგებელ უწყებებში.

223. პარტნიორ საზედამხედველო ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და ფართო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ამ პრინციპების გავრცელება ზრდის საგამოძიებო სამსახურების მიმართ საზოგადოების ნდობას.

224. სახელმწიფოებმა უნდა შეაგროვონ ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომლებიც გამოიყენება ეფექტური გამოკითხვის პრინციპების დანერგვაზე მომუშავე უწყებების მიერ და პროგრესის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ შესაბამის საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანოებს.

112. მუხლი 15, UNCAT; ასევე, იხილეთ A/HRC/25/60, პარაგრაფი 66, 82.

113. მუხლი 12, UNCAT; ასევე, იხილეთ CPRT/Inf (2002), ნაწილი 15, პოლიციაში CPT სტანდარტების დაცვის საკითხები; 2002; პარაგრაფი 45.

114. იხილეთ, მაგალითად, გაეროს სახელმძღვანელო პროკურორის როლის შესახებ, წესი 16, გაეროს მე-8 კონგრესი დანაშაულის პრევენცია და დამნაშავეებთან მოპყრობა, ჰავანა, კუბა, 1990, წესი 16 და პროფესიული პასუხისმგებლობის სტანდარტები და პროკურორების ვალდებულებები და უფლებები, რომლებიც დამტკიცებულია პროკურორების საერთაშორისო ასოციაციის მიერ, 1999 წლის 23 აპრილს, წესი 4.3 (f).

ეფექტური გამოკითხვის პრინციპები გამოძიებისა და ინფორმაციის შეგროვებისათვის

პრინციპი 1
საფუძვლები

ეფექტური გამოკითხვა ხდება მეცნიერების, კანონისა და ეთიკის საფუძველზე.

პრინციპი 2
პრაქტიკა

ეფექტური გამოკითხვა არის კომპლექსური პროცესი, რომელიც მოიცავს ზუსტი და სანდო ინფორმაციის შეგროვებას და პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი უსაფრთხოების ზომების დანერგვას.

პრინციპი 3
მოწყვლადობა

ეფექტური გამოკითხვა მოითხოვს მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი გამოსაკითხი პირის საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათზე რეაგირებას.

პრინციპი 4
სწავლება

ეფექტური გამოკითხვა პროფესიული ვალდებულებაა, რომელიც მიზნობრივ სწავლებას საჭიროებს.



პრინციპი 5
ანგარიშვალდებულება

ეფექტური გამოკითხვის პროცესი გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ ინსტიტუტებს საჭიროებს.

პრინციპი 6
იმპლემენტაცია

ეფექტური გამოკითხვის იმპლემენტაცია მოითხოვს მძლავრ ეროვნულ მექანიზმებს.

„გამოკითხვის პრინციპები ეფუძნება მეცნიერებას და სისხლის სამართლის გამომძიებლების მრავალწლიან გამოცდილებას. ისინი აუმჯობესებენ მტკიცებულების შეგროვების ეფექტურობას და სიზუსტეს, ახდენენ სამართლის აღუსრულებელების პრევენციას, რასაც ვაწყდებით წამების და დაშინების გზით აღიარების მიღების კუთხით. ისინი შექმნილია დანაშაულში ეჭვმიტანილი ადამიანების, მსხვერპლისა და მოწმეების ფუნდამენტური უფლებების დაცვისთვის და აძლიერებენ სამართალდამცავი ორგანოების მიმართ საზოგადოების ნდობას.“

ხუან ე. მენდესი
ექსპერტთა მუდმივმოქმედი კომიტეტის თამჯდომარის მოადგილე

ეფექტური გამოკითხვის პრინციპები გამოძიებისა და ინფორმაციის შეგროვებისათვის

პრინციპი 1 - საფუძვლები
ეფექტური გამოკითხვა ხდება მეცნიერების, კანონისა და ეთიკის საფუძველზე.

პრინციპი 2 - პრაქტიკა
ეფექტური გამოკითხვა არის კომპლექსური პროცესი, რომელიც მოიცავს ზუსტი და სანდო ინფორმაციის შეგროვებას და პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი უსაფრთხოების ზომების დანერგვას.

პრინციპი 3 - მოწყვლადობა
ეფექტური გამოკითხვა მოითხოვს მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი გამოსაკითხი პირის საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათზე რეაგირებას.

პრინციპი 4 - სწავლება
ეფექტური გამოკითხვა პროფესიული ვალდებულებაა, რომელიც მიზნობრივ სწავლებას საჭიროებს.

პრინციპი 5 - ანგარიშვალდებულება
ეფექტური გამოკითხვის პროცესი გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ ინსტიტუტებს საჭიროებს.

პრინციპი 6 - იმპლემენტაცია
ეფექტური გამოკითხვის იმპლემენტაცია მოითხოვს მძლავრ ეროვნულ მექანიზმებს.